გამოდის ორშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

№22 (286)

# ქართული სიტყვა

ფასი 1 ლარი

3 მაისი – 9 ივნისი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

# „პატარკაციშვილი მოკლულია!“



მე-12-13 გვ.

## ყოფილი დეპუტატი სკანდალურ ინფორმაციებს ასაჯაროებს – ვისი დავალებით უთვალთვალებდა სომხეთის უშიშროება ირანში

„საჯაიამაც თავი ზუსტად მაშინ მოიკლა, როცა ეს ჟვანია-სააკაშვილის დუეტს აწყობდა... საჯაიას სეიფის შიგთავსი მომენტალურად გაქრა, თუ თავს იკლავდა, მაშინ სეიფი რატომ ადარდებდა? რატომ არავინ იძიებს ამ მკვლელობას? ნახონ უშიშროების საბჭოს იმდროინდელი თანამშრომლების სია, ვინ ვისი ცოლი გახდა, ვინ რა თანამდებობაზეა და ყველაფერს მიხვდებიან. ეს მკვლელობა სააკაშვილის საჭიროებასთან სინქრონიზირებული იყო. მიშას უნდოდა, რომ ძალოვანი სტრუქტურები მის ხელში ყოფილიყო და ერთადერთი ხელისშემშლელი საჯაია გახლდათ. ამ მკვლელობის შემდეგ, ყველაფერს სააკაშვილი აკონტროლებდა“.

# თემო მურვანიძე: „სააკაშვილს, დაჭერის შიშით, პანიკური შეტევები ემართება!“





მე-9 გვ.

## „გვიშველეთ, მოსალოდნელია თავდასხმა!“



მე-14-15 გვ.

„5 ივლისს სასამართლოს წინ, პროტესტის ნიშნად, ფლეშმობს გავმართავ!“ – ადვოკატი ელზა ჯმუხაძე მთავარ პროკურორთან შეხვედრას ითხოვს

## პეტრე მამრაძე ფილმ „9+1“-ის კონსულტანტად მუშაობს?



„უცხოეთში ბიზნესმენებს პარლამენტში ვერ შეიყვან, ჩვენთან სხვა ვითარებაა – ბიზნესმენი პარლამენტის გარედან საკუთარ ბიზნესს ვერც დაიცავს და ვერც განავითარებს. ვიდრე ქვეყანაში პატრონ-კლიენტური დამოკიდებულებაა, სამოქალაქო საზოგადოება ვერ ჩამოყალიბდება“.

## „მომავალ პრემიერად ნოდარ ჯავახიშვილი განიხილება!“



მე-2-3 გვ.

## კობა ნარჩემაშვილი: „ოცნება“ ხელისუფლებაში უმრავლესობით ველარ მოვა!“

მე-8 გვ.

№ 22 (286)
3 – 9 ივნისი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

# „მომავალ პრემიერად ნოდარ ჯავახიშვილი განიხილება!“

**მართალია, ბოლო დღეების მთავარი პოლიტიკური მოვლენა მიხეილ სააკაშვილის საქართველოს მოქალაქეობიდან, როგორც იტყვიან, გასვლა და ოდესის გუბერნატორად დანიშვნაა, მაგრამ უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში აქცენტს აღწერის წინასწარ მონაცემებზე აკეთებს და აცხადებს, რომ პრემიერმა ღარიბაშვილმა, რომელმაც ამ მონაცემებზე დიასპორის კონგრესზე ისაუბრა, პრაქტიკულად, ბომბი ააფეთქა. „დიახ, წესიერი ქვეყანა რომ ვიყოთ, ამ განცხადების შემდეგ, წესით, სისხლის სამართლის გამოძიება უნდა დაწყებულიყო“, – აცხადებს ქართველი სპეცსამსახურელი და განმარტავს, რომ საქმე დღევანდელი პრეზიდენტის, მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არალეგიტიმურობას ეხება. ამასთან, ფორჩხიძე, პროცესების ანალიზსა და კულუარულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ ქვეყნის მომავალ პრემიერად ნოდარ ჯავახიშვილს ამზადებენ.**

**კონსტანტინე ფორჩხიძე:** – ...ღარიბაშვილი გამოვიდა და ყველაფერი თავდაყირა დააყენა, საქართველოში 3 მილიონ 700 ათასი ადამიანი ცოხვრობსო.

**– ეს სტატისტიკური მონაცემებია...**

– კი ბატონო, მაგრამ ოფიციალურად, ქვეყანაში 3 მილიონ 545 ათასი ამომრჩეველია და იცით, პრემიერის განცხადება რას ნიშნავს?

**– რას?**

– თუკი ეს სტატისტიკური მონაცემები მართალია, მაშინ გამოდის, რომ ყველა არჩევნები, რომელიც ბოლო წლებში ჩატარდა, არალეგიტიმურია, რადგან ყალბი სიითაა ჩატარებული.

**– გაყალბებული საარჩევნო სია ყბადაღებული თემაა...**

– გეთანხმებით, მაგრამ საარჩევნო სია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ დაზუსტდა და ითქვა, რომ ქვეყანაში 3 მილიონ 545 ათასი ამომრჩეველია. აღწერის წინასწარმა მონაცემებმა კი, ეს სია დარტყმის ქვეშ დააყენა.

**– რატომ?**

– თუკი ქვეყანაში 3 მილიონ 700 ათასი ადამიანი ცხოვრობს, ამომრჩეველი კი, 3 მილიონ 545 ათასია, რა გამოდის – 0-დან 18 წლამდე ასაკის სულ 150 ათასამდე ადამიანი გვყავს?

მოკლედ, ვთქვი და ვიმეორებ, ყველა, მათ შორის, 2012 წლის საპარლამენტო, 2013 წლის საპრეზიდენტო და შარშანდელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც გაყალბებული სიითაა ჩატარებული! სხვათა შორის, ამაზე აქცენტი პირველად ხათუნა ლაგაზიძემ გააკეთა.

**– ბატონო კოტე, თქვენი ანალიზით, რეალურად, რამდენი ამომრჩეველია?**

– ეს მაჩვენებელი, ალბათ, 2 მილიონ 700-800 ათასს არ სცილდება. ყველაფერ აქედან გამომდინარე კი, საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი, მის მიერ დამტკიცებული მთავრობა და თვითმმართველობის ყველა ორგანო არალეგიტიმურია!

ასეთი რაღაც დასავლეთში რომ მომხდარიყო, ერთი ამბავი ატყდებოდა და გამოძიება დაიწყებოდა. დიახ, ყველაფერი, რაც ვთქვი, გამოძიების საქმეა. პოლიტიკური პარტიების ლიდერები, რომლებიც გულზე ხელს იბრახუნებენ და რომელთაც მთელი თავიანთი პოლიტიკური პიარი საარჩევნო სიის დაზუსტებაზე ჰქონდათ აწყობილი...

**– მაპატიეთ, გაწყვეტინებთ, მაგრამ საარჩევნო სიის დაზუსტებისთვის, როგორც მახსოვს, თანხა თავის დროზე ბიუჯეტიდან გამოიყო, არა?**

– დიახ, ფულიც გამოიყო და სპეციალური სახელმწიფო კომისიაც შეიქმნა. სწორედ ამიტომ პასუხისმგებლობის საკითხი დგება.

**– მორალური?**

– არავითარი მორალური, ლაპარაკი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზეა!

**– თქვენი აზრით, სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში ვინ უნდა მიეცეს?**

– პირველ რიგში, მამუკა კაციტაძე, რომელიც ზემოხსენებულ კომისიას ხელმძღვანელობდა, ასევე, ყველა იმ სახელმწიფო ორგანოს თანამშრომელი, რომელიც ამ კომისიასთან თანამშრომლობდა, რადგან მინიმუმ, 700–800 ხმა არჩევნებზე ვიღაცებმა მიიწერეს.

**– ვინ „ვიღაცებმა“?**

– ეს გამოძიებამ უნდა გაარკვიოს... მოკლედ, პრემიერ–მინისტრმა თავისი განცხადებით ხელისუფლების ლეგიტიმურობის




ხარისხს სერიოზული დარტყმა მიაყენა. ამიტომ, წესიერი ქვეყანა რომ ვიყოთ, ლაპარაკი იმაზე დაიწყებოდა, რომ ვადამდელი არჩევნები იმ დაზუსტებული სიით ჩატარდეს, რომელიც იუსტიციის სამინისტროს უკვე აქვს. დიახ, აღწერის წინასწარი შედეგები იმის აღიარებაა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულია ჩადენილი!

**– ბატონო კოტე, საარჩევნო სია გასაგებია, მაგრამ ახლა, ისეთი პოლიტიკური ფონია, რომ ამ თემას გაგრძელება, მგონი, არ ექნება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა დატოვა და ოდესის გუბერნატორი გახდა. პარალელურად, უკრაინაში, როგორც ამბობენ, ქართული დესანტით უკმაყოფილონი არიან და სანდრო კვიტაშვილის საქმიანობის შემოწმებას გეგმავენ. პროცესები საითკენ წავა?**

– პროცესები იქითკენ წავა, რაც ადრე გითხარით.

**– ანუ?**

– მიშა უკრაინიდან საკუთარ ცხენს გაასწრებს! საქართველოში კი, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ კოალიციური მთავრობა მოვიდეს!

რაც შეეხება „ნაცმოძრაობას“, ეს პარტია, ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, ნაწილებად დაიშლება. სხვათა შორის, როცა პირველად ვთქვი, რომ „ნაცმოძრაობა“ დაიშლება–მეთქი, ვიღაცებს სასაცილოდაც არ ეყოთ, მაგრამ ყველაფერი უკვე ნათელია.

**– ჩვენში დარჩეს და, პრემიერი ღარიბაშვილიც თქვენსავით წინასწარმეტყველებს...**

– ღარიბაშვილი რა შუაშია? არ მაინტერესებს, რას ამბობს...

**– თქვენი ვერსიით, კოალიციური მთავრობა ვისგან დაკომპლექტდება?**

– „რესპუბლიკელებისგან“, „თავისუფალი დემოკრატებისა“ და სახეშეცვლილი „ნაცმოძრაობისგან“. კოალიციურ მთავრობას სათავეში, ალბათ, დავით უსუფაშვილი ჩაუდგება, თუმცა მაქვს ინფორმაცია, რომ მომავალ პრემიერად ნოდარ ჯავახიშვილის კანდიდატურაც განიხილება!

**– ამ მოცემულობით, ვადამდელი არჩევნები დღის წესრიგში, ცხადია, აღარ დადგება...**

– რა თქმა უნდა, აღარ დადგება, თუმცა ვითარება ძალიან გართულდა და თუკი მიხვდნენ, რომ ე.წ. პროდასავლური კოალიცია, რომელიც უნდა შეიქმნას, 2016 წელს ხელისუფლებაში უმრავლესობით ვერ მოვა, მაშინ საპარლამენტო გადატრიალებას უნდა ველოდოთ.

ისე, არ გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთი „ნაციონალის“ თუნდაც მერკანტილური მიზეზებით გადაბირება მოხდეს...

**– რა ამის პასუხია და, ლევან ვასაძე ისევ გააქტიურდა – პარლამენტს „არანორმატიული სექსუალური ცხოვრების წესის“ მიღებას მოუწოდებს...**

– იცით, ეს გააქტიურება რითი აიხსნება?

**– რითი?**

– რუსულმა ფლანგმა იგრძნო და საამისოდ ყველა ბერკეტი არსებობს, რომ მომავალი არჩევნების შემდეგ, საქართველოს კოალიციური მთავრობა მხოლოდ პროდასავლურმა ძალებმა დააკომპლექტონ! ისე, თუკი პარლამენტში „რესპუბლიკელები“ უფრო არ გაძლიერდნენ, მაშინ კოალიციურ მთავრობაში, არ გამოვრიცხავ, რებრენდირებული „ნაციონალები“ უფრო სოლიდურად იყვნენ წარმოდგენილნი...

**– მიხეილ სააკაშვილის უკრაინულმა აქტივობამ ზელიმხან ხანგოშვილის დაჭრა რაღაცნაირად გადაფარა...**

– ასეა, არადა, ეს ინციდენტი, ასე ვთქვათ, მნიშვნელოვანია.

**– რატომ?**

– ზელიმხან ხანგოშვილი ჩეჩნეთის ომის მონაწილე და პანკისის ჯამაათის ემირი, ანუ პრაქტიკულად, სულიერი ლიდერია.

**– ხანგოშვილი ლაფანყურის სპეცოპერაციას რითი უკავშირდებოდა?**

– იმ ჯგუფის წევრებთან, რომლებიც ჩახოცეს, მოლაპარაკებას აწარმოებდა. შესაბამისად, ხანგოშვილი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ლაფანყურის სპეცოპერაციაზე სრულ ინფორმაციას ფლობს. ამიტომ, ორი აზრი არ არსებობს, რომ მისი დაჭრა, ირიბად მაინც, სწორედ ლაფანყურის სპეცოპერაციას არ უკავშირდებოდეს. მართალია, ოჯახი და ვიღაც-ვიღაცები ამ ვერსიას არ იზიარებენ, მაგრამ ლაფანყურის ოპერაციის გამოძიება შსს-ს მაშინდელი ხელმძღვანელობის – ვანო მერაბიშვილის, ბაჩო ახალაიას, გია ლორთქიფანიძის, გია გაბუნიასა თუ სხვების ინტერესში არ შედის.

არადა, ამ საქმის გამოძიება ძალიან ადვილია: ბოლოს და ბოლოს, იმ ჯგუფიდან ორი წევრი გადარჩა, რომელიც ახლა ავსტრიაშია. ასევე, ცოცხალია მოწმე ზელიმხან ხანგოშვილი, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა და რომელსაც ახლა ესროლეს. ასევე, ცოცხალია უმარ იდიგოვი, რომელზეც წინა ინტერვიუებში ვრცლად ვისაუბრე და რომელმაც, როგორც აღვნიშნე, „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობას ლაფანყურის ამბებზე სრული ინფორმაცია მიაწოდა. ამასთან, არსებობს საზღვრის დაცვის მონაცემები, რომლითაც ავსტრიაში მყოფი „ტიპების“ იდენტიფიცირება შეიძლება.

**– როგორ?**

– უნდა დადგინდეს, საზღვარი როდის, საიდან გადმოკვეთეს და საქართველოდან როგორ გავიდნენ.

**– მაშასადამე, საუბარი იქითკენ მიგყავთ, რომ ზელიმხან ხანგოშვილი რიგითი თავდასხმის მსხვერპლი კი არ გახდა, არამედ, ვიღაცებს მისი მოცილება უნდოდათ?**

– დიახ, ამის გონვრული ეჭვი არსებობს.

**– თუკი ხანგოშვილის მოსაცილებლად ქილერი დაიქირავეს, მიზანს მიაღწევდნენ კიდეც...**

– ხანგოშვილი მეომარია და შეიძლება, შეამჩნია... მადლობა ღმერთს, გადარჩა!

ვანო, თუ გახსოვთ, წინა ინტერვიუებში ისმაილ საიდაევზეც ვილაპარაკეთ, რომლის თქმითაც, ზელიმხან ხანგოშვილს შსს-ს სპეცსამსახურებთან, კერძოდ, გია ლორთქიფანიძესთან, ანტიტერორისტული ცენტრის მაშინდელ ხელმძღვანელობასა და სხვებთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა.

**– დაძაბულობა როდის ჰქონდა, ლაფანყურის მოვლენების დროს?**

– არა, მანამდე, ანუ 2008 წლის შემდეგ, როცა დოკუ უმაროვის ე.წ. კავკასიის იმპერია – „კავკასიის ემირატი“ ჩამოყალიბდა, რომელსაც თავიდან ბოლომდე სპეცსამსახურები აკონტროლებდნენ. ხანგოშვილს, ასევე, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ვინმე ალი ზონასთან, რომელიც სერგო ამირიძესა და სპეცსამსახურის სხვა მაღალჩინოსნებთან პირდაპირ კავშირზე იყო. ისმაილ საიდაევის თქმით, უთანხმოების მიზეზი სწორედ ეს კავშირი გახდა.

**– თუკი ზელიმხან ხანგოშვილს სპეცსამსახურებთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა, აბა, ე.წ. ლაფანყურის მოლაპარაკებებში რატომ ჩართეს?**

– იმიტომ ჩართეს, რომ ავტორიტეტი იყო...

**– ბატონო კოტე, მოდით, ყველაფერს მეორე კუთხიდანაც შევხედოთ, ანუ თქვენი ვერსიით, ვიღაცებს ხანგოშვილის მოცილება იმიტომ უნდათ, რომ ბევრ ინფორმაციას ფლობს. შესაძლოა, ასეცაა, მაგრამ ლაფანყურის მოვლენებიდან ორ წელზე მეტი გავიდა და, წესით, აქამდე უნდა მოეცილებინათ...**

– მაშინ დოკუ უმაროვი და სხვებიც უნდა მოეკლათ, თან არ ეგონათ, რომ „ლაფანყურის საქმე“ ასე შემოტრიალდებოდა.

**– როგორ „ასე“?**

– ასეთ პრობლემებს, როგორც წესი, საქმის გამოუძიებლობა აჩენს ხოლმე. ისე, გამორიცხული არაა, ხანგოშვილზე თავდასხმა მხოლოდ ლაფანყურის კი არა, სირიაში დღეს მიმდინარე მოვლენებსაც უკავშირდ-

**„გენერალი ნინუა ერთ–ერთი იმათგანი იყო, ვინც საქართველოში „კა-გე-ბე“-ს ყოფილ აგენტურაზე სრულ ინფორმაციას ფლობდა. სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას, ერთხანობას, ნინუა უშიშროების მინისტრიც გახლდათ. მეტიც, თავის დროზე ნინუამ, ერთ-ერთ გენერალთან ერთად, რომელიც მერე, „ნაცმოძრაობის“ წევრი გახდა, საბჭოთა არქივი საქართველოდან სმოლენსკში გაიტანა. ამიტომ, გამორიცხული არაა, რომ სპეცსამსახურებმა მოკლეს“.**

გაგრძელება მე-3 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

3 – 9 ივნისი 2015

№ 22 (286)



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

## სკანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

ებოდეს.

— **ეს რაღა შუაშია?**

— ხანგოშვილი შეცვლილი საიდენტიფიკაციო დოკუმენტებით, ანუ თორნიკე ქავთარაშვილის პასპორტით ცხოვრობს. საერთოდ, ასეთი რაღაცები სპეცსამსახურების გარეშე არ ხდება, ანუ ვიღაცას თავის დროზე მისი შეფუთვა სჭირდებოდა, თორემ გვარი, მით უმეტეს, სახელი რატომ უნდა შეეცვალა?! სხვათა შორის, ხანგოშვილი წლებია, გაგარინზე ცხოვრობს და ესეც მნიშვნელოვანია...

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ გვარ–სახელშეცვლილი ადამიანის საცხოვრებელი ცნობილია და საინტერესოა, საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლას რაღა აზრი ჰქონდა?

— **როგორც ვიცი, სწორედ გაგარინზე ესროლეს, არა?**

— დიახ... მოკლედ, ლაფანყურის საქმე აუცილებლად უნდა გამოიძიონ და ამ გამოძიებას არც დიდი პროფესიონალიზმი სჭირდება და არც — ტვინის ჭყლეტა, მით უმეტეს, რომ მოწმეებიც ცოცხლები არიან!

— **ბატონო კოტე, რა ამის პასუხია და, ვინაიდან ყბადაღებულ 9 წელზე ვლაპარაკობთ, იმ დროს მომხდარი ერთი გახმაურებული მკვლელობა გამახსენდა — უშიშროების გენერალი, თამაზ ნინუა, მეუღლესთან ერთად, საკუთარ სახლში მოკლეს. ამის შესახებ რამე იცით?**

— ნინუა ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც საქართველოში „კა-გე-ბე“-ს ყოფილ აგენტურაზე სრულ ინფორმაციას ფლობდა. სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას, ერთხანობას, ნინუა უშიშროების მინისტრიც გახლდათ. მეტიც, თავის დროზე ნინუამ, ერთ-ერთ გენერალთან ერთად, რომელიც მერე, „ნაცმოძრაობის“ წევრი გახდა, საბჭოთა არქივი საქართველოდან სმოლენსკში გაიტანა. ამიტომ, გამორიცხული არაა, რომ სპეცსამსახურებმა მოკლეს.

— **ნინუას მკვლელობა გამოძიებულია?**

— თუ არ ვცდები, ვიღაც გოგია დააკავეს, თუმცა არ მგონია, რომ ამ მკვლელობის მიზეზი ე.წ. საყოფაცხოვრებო მოტივი გახდა. თამაზ ნინუა სერიოზული ფიგურა გახლდათ და მისი სიცოცხლე რუსული სპეცსამსახურების ინტერესში არ შედიოდა! ამასთან, ის საფრთხეს მათთვისაც წარმოადგენდა, ვინც „ნაცმოძრაობის“ დროს ხელისუფლებაში აღმოჩნდნენ — გამორიცხულია, არქივები არ ენახა და არ სცოდნოდა, ქართულ პოლიტიკაში ვინ ვინაა. ეს კი, რუსეთის ინტერესში არ შედიოდა. აქვე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მკვლელობისთვის გასამართლებული, როგორც ვიცი, კაზაკების გენერალია.

— **ამას ხაზს რატომ უსვამთ?**

— „კაზაკების გენერლობას“ ისე არ იძლევიან, თუ რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირი არ გაქვს, თუმცა ამ წოდებისთვის ვიღაცები 500 დოლარსაც იხდიდნენ.

— **ვერ გავიგე...**

— „ვარდების რევოლუციამდე“ ვინმე კადენეცი ყოფილ სამხედროებს, ზემოხსენებული თანხის სანაცვლოდ, „კაზაკების გენერლის“ წოდებას აძლევდა.

— **და აქ რუსული სპეცსამსახურების კვალი სად ჩანს?**

— კაზაკები სპეცსამსახურების შექმნილი ძალაა, რომელიც თავის დროზე ძალიან აქტიურობდა და თბილისში ყრილობასაც ატარებდა ხოლმე. სხვათა შორის, პოლიტიკურ სპექტრში ბევრია ისეთი, ვინც ამ წოდებას ატარებს. „კაზაკების გენერლები“ ნინო ბურჯანაძესთანაც არიან, თუმცა მათ ვინაობას არ დავასახელებ!

მოკლედ, გენერალი ნინუა საფრთხეს, პირველ რიგში, რუსული სპეცსამსახურებისთვის წარმოადგენდა! ამიტომ ვამბობ, რომ ლუსტრაციის კანონი აუცილებლადაა მისაღები, თუმცა ამ თემაზე ლაპარაკი რამდენჯერაც დაიწყო, იმდენჯერ ჩაკვდა.

სხვათა შორის, ზვიად გამსახურდია ლუსტრაციის მომხრე იყო და მგონია, რომ მისი სიკვდილის ერთ–ერთი მიზეზიც სწორედ ეს გახდა... „ნაციონალებმა“ ამ თემაზე გაურკვეველი შინაარსის დოკუმენტი მიიღეს...

**„ჩვენი პრობლემა ისაა, რომ საქართველოში პოლიტიკურ ამინდს არალუსტრირებული ადამიანები ქმნიან! არალუსტრირებულები ძალოვან უწყებებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებში, მათ შორის, ადგილობრივ თვითმმართველობებშიც არიან! ამიტომ, ხელისუფლების ნომერ პირველი ამოცანა ლუსტრაციის კანონის მიღება უნდა იყოს!“**



— „თავისუფლების აქტს“ გულისხმობთ?

— დიახ, რომელიც არ სრულდებოდა...

— **ისე, ამ აქტით, საქართველოში საბჭოთა სიმბოლიკის გამოყენება აკრძალულია, თუმცა 9 მაისს, გორში, საბჭოთა დროშები და სხვა ატრიბუტები გამოიყენეს, მაგრამ ამის გამო არავინ დასჯილა. მეტიც, ხელისუფლებას ყველაფერი ეს ყასიდადაც არ გაუპროტესტებია... სხვათა შორის, კარგი ამბავი უნდა გითხრათ, ბატონო კოტე.**

— რა ამბავი?

— **გედი ფოფხაძე „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანდა...**

— გედი ვინაა?

— **ფოფხაძე, არ გაგიგიათ?**

— ვინ ფოფხაძე, გედევანი?

— **დიახ...**

— „ქართულ ოცნებას“ გედევან ფოფხაძე არსად დაეკარგოს!

მოკლედ, ლუსტრაციაზე ლაპარაკი „ოცნებამაც“ დაიწყო და, მგონი, რაღაც კომისიაც შექმნა, თუმცა ყველაფერი ისევ გაჩერდა.

ჩვენი პრობლემა ისაა, რომ საქართველოში პოლიტიკურ ამინდს არალუსტრირებული ადამიანები ქმნიან! არალუსტრირებულები ძალოვან უწყებებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებში, მათ შორის, ადგილობრივ თვითმმართველობებშიც არიან! ამიტომ, ხელისუფლების ნომერ პირველი ამოცანა ლუსტრაციის კანონის მიღება უნდა იყოს!

— **ბატონო კოტე, წეღან უნდა მეკითხა და დამავიწყდა, ხანგოშვილი რომ მოეკლათ, ეს ქართულ პოლიტიკაში რა რყევებს გამოიწვევდა?**

— ზელიმხან ხანგოშვილი, როგორც გითხარით, პანკისის ემირია და ემირის მოკვლას სერიოზული რყევები მოჰყვებოდა! ისე, ამ თავდასხმის მიზანი შეიძლება, სწორედ ის იყო, რომ პანკისში სიტუაცია არეულიყო. ისიც საინტერესოა, პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლაზე ხანგოშვილს რა პოზიცია ეკავა...

— **„ოცნებისტებს“ უხარიათ, „ნაცები“ დაიქსაქსნენო, მაგრამ ეგებ, ყველაფერი ეს კარგად შეფუთული ავანტიურაა?**

— დიახ, ყველაფერი კარგად შეფუთული ავანტიურაა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერ ამის უკან ვანო მერაბიშვილი დგას. უფრო მგონია, რომ ეს ქვეყნის გარედანაა ინსპირირებული. ასე რომ არ იყოს, „ნაცმოძრაობის“ მონოლითურობა არ დაინგრეოდა...

**ესაუბრა ვანო პავლიაშვილი**

**(თემის გაგრძელება იქნება)**

## სტოპკადრი

# თბილისი უკრაინას საპროტესტო ნოტას არ გაუგზავნის




ოფიციალური თბილისი არ აპირებს, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ოდესის ადმინისტრაციის უფროსად დანიშვნის გამო უკრაინას საპროტესტო ნოტა გაუგზავნოს.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, უკრაინის მთავრობის სუვერენული უფლებაა, თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე საკადრო გადაწყვეტილებები მიიღოს.

რაც შეეხება თავად სააკაშვილის მიერ ამ ნაბიჯის გადადგმას, ბერუჩაშვილი ექსპრეზიდენტის ნაბიჯს არაადეკვატურს უწოდებს.

„რაოდენ დიდი არ უნდა იყოს რეფორმატორობის პროექტი, რაოდენ დიდი არ უნდა იყოს ზოგადად, იდეა ე.წ. რეფორმების გატარებისა უკრაინაში, რომელიც ბოლო ინფორმაციის საფუძველზე ეჭვქვეშ არის და ამის თაობაზე ძალიან ბევრი გამოხმაურებები გვაქვს, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი უარს ამბობს საქართველოს მოქალაქეობაზე, ვთვლი, რომ ეს არაადეკვატური დამოკიდებულებაა ზოგადად პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს მიმართ,“ — განაცხადა ბერუჩაშვილმა.

რაც შეეხება იმას, უნდა ჩამოერთვას თუ არა მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა, ბერუჩაშვილი აცხადებს, რომ პროცედურა გარკვეულ ფორმალობებს ითვალისწინებს და „უნდა დავაკვირდეთ, როგორ განვითარდება ეს ფორმალობები.“

**„ინტერპრესნიუსი“**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სტოპკადრი

# სახალხო დამცველი: „სასჯელაღსრულებაში მდგომარეობა მაქსიმალურად გაუმჯობესებულია!“




სახალხო დამცველის თქმით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მდგომარეობა მაქსიმალურად გაუმჯობესებულია, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 წლის ანგარიშში პენიტენციურ სისტემაში განხორციელებულ დადებით ცვლილებებზე გაამახვილა ყურადღება. უჩა ნანუაშვილის თქმით, სასჯელაღსრულების სისტემაში გატარებული რეფორმები უნდა გამოიყოს, როგორც დადებითი ტენდენცია და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მდგომარეობა მაქსიმალურად გაუმჯობესებულია.

სამინისტროს ცნობით, ანგარიშში აღიშნულია, რომ პოლიტიკური ნებისა და გატარებული რეფორმების წყალობით, პატიმართა წამება და არასათანადო მოპყრობის ფაქტები მთავარ გამოწვევას აღარ წარმოადგენს.

„საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმა სასჯელაღსრულების სისტემაში დაგეგმილ ინსტიტუციურ რეფორმას და ყურადღება გაამახვილა 2014 წლის განმავლობაში პატიმრობის კოდექსში შესულ ცვლილებებზე, რომელთა თანახმადაც, უსაფრთხოების რისკის მიხედვით, განისაზღვრა ოთხი ტიპის დაწესებულება, სადაც პატიმრებს აქვთ დიფერენცირებული უფლებრივი მდგომარეობა და პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა საკანონმდებლო დონეზე გაუმჯობესდა. უჩა ნანუაშვილმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივა და განსახილველ კანონის პროექტს დაემატა შესაბამისი დებულება, რომელიც მინისტრის ბრძანებით საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს ანიჭებს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ფოტოგადაღების განხორციელების უფლებამოსილებას,“ — აცხადებენ სასჯელაღსრულების სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, სახალხო დამცველმა პოზიტიურად შეაფასა პენიტენციური ჯანდაცვის რეფორმა და ჯანდაცვის გაზრდილი დაფინანსება, რამაც შესაძლებელი გახადა სამედიცინო პერსონალისათვის ხელფასების გაზრდა და პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა ყველა დაწესებულებაში. ასევე, სასჯელაღსრულების ცენტრალური საავადმყოფოს გახსნა, ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის განახლება. ც ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის დაწყება.

„უჩა ნანუაშვილი დადებითად მიიჩნევს რეფორმით შემოთავაზებულ ინიციატივას, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სარეაბილიტაციო პროგრამების გაძლიერებას. ასევე განვლილ წლებთან შედარებით რიგ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გაუმჯობესებულ ფიზიკურ გარემოსა და სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას. საქართველოს სახალხო დამცველმა ცალსახად წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნია მსჯავრდებულთა რისკების შეფასების და პერიოდული გადაფასების სისტემის შემოღება და მიესალმა სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს ინიციატივას, დარეგულირდეს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის საკითხი,“ — აცხადებენ სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, სახალხო დამცველი ასევე პოზიტიურად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 90 დღიდან 15 დღემდე შემცირდა.

უჩა ნანუაშვილის თქმით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დასაქმებულ პატიმართა რაოდენობის გაზრდა (2012 წელი -102 მსჯავრდებული, 2014 წელი- 804 მსჯავრდებული) მისასალმებელია და აუცილებელია ამ დადებითი ტენდენციის შემდგომი გაძლიერება.

როგორც სახალხო დამცველი აღნიშნავს, 2014 წელს დასრულდა პენიტენციური ჯანდაცვის 18 თვიანი სამოქმედო გეგმის განხორციელება, რომელიც ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა პოზიტიურად შეაფასეს. სახალხო დამცველის ანგარიშში ასევე მითითებულია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველო თავად ცდილობს გამოავლინოს სამედიცინო მომსახურების მიწოდების ხარვეზები, რაც 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში ერთ-ერთ რეკომენდაციად იყო მოცემული.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს სახალხო დამცველი ასევე მიესალმება ქალი პატიმრების პირობით ვადამდე გათავისუფლების მზარდ პრაქტიკას და დადებითად აფასებს 5 ქალთა დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მსჯავრდებულთა მოთავსების შემცირებული პრაქტიკას.

უჩა ნანუაშვილის განცხადებით, პენიტენციურ სისტემაში აღინიშნება პროგრესი და ბევრი შენიშვნა, რომელიც გასული წლის ანგარიშში იყო გაცემული, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გაითვალისწინა.

**„ინტერპრესნიუსი“**

# არჩილ ხაბაძე: 2016 წლის ოქტომბრამდე დავრჩები ჩემს პოზიციაზე!“



არჩილ ხაბაძე მისი შესაძლო გადადგომის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას აბსურდს და ჭორს უწოდებს.

როგორც ხაბაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, არ შეიძლება, მისი და აჭარის მთავრობის მუშაობით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უკმაყოფილო იყოს, რადგან რეგიონის საინვესტიციო დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში მზარდია.

„წყაროს, საიდანაც ეს ინფორმაცია მოდის, აქამდეც ძალიან ბევრი აბსურდული ინფორმაცია გაუვრცელებია. ამას არ დავასტურებ. ეს არის აბსურდი. აჭარის საინვესტიციო დინამიკა ბოლო წლებში მზარდია, შესაბამისად, ვერ იქნება უკმაყოფილო ვერც ბატონი პრემიერი, ვერც — ვერავინ, ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ფინანსებში. ასე რომ ეს მორიგი ჭორია, რომელსაც მოსახლეობა არ უნდა აჰყვეს,“ — განაცხადა ხაბაძემ.

მისივე განმარტებით, გადადგომას მორიგ, 2016 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე არ აპირებს.

„ვადასტურებ, რომ 2016 წლის ოქტომბრამდე, სანამ მორიგი არჩევნები არ იქნება, დავრჩები პოზიციაზე და გავაგრძელებ მუშაობას. ჩვენი მთავრობის მოქმედება წარმატებულია და ვფიქრობ, ამას მოსახლეობა ადეკვატურად შეაფასებს,“ — აღნიშნა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

**„ინტერპრესნიუსი“**

პოლიტპოეზია

### ჭორი

ხალხში ასეთმა ჭორმა იარა:
სიტყვა იკლებს და ასოც მცირდება.
ეს კი, რატომღაც ჩვენთან კი არა,
ამერიკასთან ასოცირდება.

### გილიოტინა

შენ შიგადაშიგ იცავდი სიტყვას,
სიტყვას, რომელიც გიყვარდა ასე.
მაგის მერეა, თავში რომ გირტყამს
რუსი პრობლემებს, ძველ აზრით სავსეს.
გადაწყვეტა კი იყო სულ ერთი,
ეს სულერთობა ახლა ახია,
გილიოტინა არის რუსეთი,
მაგრამ ჯალათი შენი ხალხია.

### „ერის მამა“

ხმლებით ხელში გვირბენია,
დღეს კი, ბევრი იქცა ლაჩრად.
„ერის მამა“ იმდენია,
თვითონ ერი აღარ დარჩა.

### ჯანსულს!

შეიშალა მთელი ერი
და გამხელას ითხოვს ცოდვა,
ჯანსულია ქვეყნად ბევრი,
მაგრამ ჩარკვიანი – ცოტა!

### „სკამი“

„ამისტი“, „იმისტი“, „ამისტი“, „იმისტი“,
დიდება ყველა ძველს, ქვეყნიდან გამავალს.
გუშინწინ სკამითურთ შევჭამეთ მინისტრი
და ისევ სკამითურთ გამოჰყვა განავალს.

## ბექა ღიბრაძის კაიფური კაფიები

### მშიშარას!

მას მშიშრის ბოლმა სულ თან დასდევდა,
მიშა ცუდია, უშნო და მძაღე,
ისე მოგვი..ნა სუყველას დედა,
მამა ერთხელაც ვერ დავუძახეთ!

### ნოსტალგია

ნუ ცხოვრობთ გლოვით,
ნუღარც შიშით,
ნუღარც გოდებით,
სამშობლო ახლა ხომ,
უბრალო, სენტიმენტია,
ათიდან ერთი ფულს
შოულობს თავგამოდებით
და როგორც ადრე,
ახლაც ისევ, ხალხზე მეტია.
დროს გადაცდა და,
შეიძლება, იქნებ, ვინ იცის,
სადღაც პირდაპირ,
ჩრდილოეთში, თოვლმაც კი დადო
და არაფერი აღარ შეგრჩა
სუფთა სინდისის.
ვალოდია ხარ მოსკოვში და
კასპში ხარ ლადო.



### საუცბისო

*39 წლის ვანო პავლიაშვილს*

კაცობას ვერსად გასცლიხარ,
შენზე კარგი ვინ მეგულვის?
შენ სიყვარულის კაცი ხარ,
მამულიშვილთა ერთგული!
მეტის უფლება ვინ მოგცა,
ვანო, შენ გამეც პასუხი,
ოცდაცხრამეტ წელს გილოცავ,
ოთხმოცდასამის ჯანსული!
და თუნდაც ბედი მასხრობდეს,
ასაკი გახლავს მსგავსი ცის,
მე გითამადებ, გახსოვდეს,
როცა გახდები ასი წლის!

ჯანსულ ჩარკვიანი

პოეზია

# ომარ ხაიამის რობაიები

## (ალექსანდრე ელერდაშვილის თარგმანი)

91
ჭკვიანი თუ ხარ, გადამალე, რაც გულში გიდევს,
რადგან ცხოვრება ნებიერთა სიბრიყვით გიტევს;
სადაფში მალვით მარგალიტად იქცევა ხოლმე
წვეთი, რომელიც ზღვის იდუმალ საფიქრალს იტევს.

92
დილა თენდება... ყაყაჩოებს ფერი ეცვლებათ,
ფიალებს ცვარით ივსებენ და დარდი ეცლებათ;
ვარდიც კალთას შლის და ჩურჩულით გვიამბობს ზღაპარს:
„დღეს მოილხინეთ, ხვალ ამისთვის აღარ გეცლებათ".

93
არცერთი სიბრძნე მე ამქვეყნად არ დამიგმია,
თითქმის ყოველი საიდუმლო ფეხქვეშ მიგია...
სამოცდათორმეტ წელიწადს მე ფიქრები მდევდნენ
და გავიგე, რომ არაფერი არ გამიგია.

94
თუ ეს საწუთრო ჩვენს სიცოცხლეს სიკვდილს არჩევდა,
ნეტავ იმედის კვალში დევნა რისთვის დაგვჭირდება?! -
ჩვენი ქონება მოყვარესთან ლხინში გავხარჯოთ,
თორემ წავალთ და ყველაფერი მტერთან დაგვრჩება.

95
აღარავინ მყავს, არვინ ისმენს ამ ჩემს ღაღადისს,
მარტოღა ვუმზერ ქვეყანას და არც ღირს ნახვად ის.
მეგობრის ნაცვლად სუფრის თავში ზმანებას დავსვამ —
უცებ რომ მოვკვდე, ამან მაინც მითხრას „ნახვამდის".

96
ას გზა-კვალს გიჯობს, ღვინის კვალზე თუ იარები,
მის წვეთად არ ღირს თვით ჩინეთის მთა და ბარები,
ლალისფერ ღვინოს რაგინდ ბევრი სიმწარე ახლდეს,
მაინც შესვი და ათას სიტკბოს ეზიარები.

97
ის წვეთი ზღვამ გადაყლაპა, ზღვამდე რომ დიდხანს იგორა,
მიწის ნამცეცით საფლავმა მუცელი ამოიყორა...
ამქვეყნად შენი მოსვლა და იმქვეყნად წასვლა იყო რა?
პატარა ბუზმა იფრინა... იყო და არა იყო რა!

98
ორი დღის სარჩოდ ერთი პური თუ გსურს იკმარო
და წყალს რომ დალევ, გულის ჯავრი გადაიყარო,
არც შენი მსგავსის სამსახურში ჩადგე ოდესმე
და ბატონობა ფიქრადაც კი არ გაიკარო.

99
მეგობრებივით რადგან ვუმზერთ ჩვენ ამ ფიალებს,
გულში მცირედი სიხარული რადგან წრიალებს,
ჩვენს მოლოდინში რადგან კბილებს ილესავს მიწა,
დაგვისხი ღვინო, სანამ ბედი თავს დაგვეტრიალებს.

100
შენ მომავალი სულ ამაო ფიქრით განაღვლებს,
რადგან მის გზა-კვალს არვინ გახდის შენთვის გასაგებს.
გამხიარულდი! - შენთვის რჩევა მას არ უკითხავს,
დასაბამიდან ვინც საწუთროს საქმეს განაგებს.

101
თავს დაგვედგომია ბედისწერა მხუთავ სულივით
და ყოველ დილას გვტაცებს თითო აღსასრულივით;
ჯერარშობილებს რომ ენახათ ჩვენი ვაება,
არ ისურვებდნენ დაბადებას თავის სურვილით.

102
გულო, გერჩივნოს ყველა დარდის განზე დადგება,
ამაო ყოფნის აღსასრული სანამ დადგება.
რადგან წამსვლელი წავიდა და მომსვლელი არ ჩანს,
ყოფნა-არყოფნის ფიქრი შენ არ გამოგადგება.

103
გულო, ლხინისთვის ყველა კარი რომ მაქვს ღია მე,
აი, ეს არის სიკეთე და აი, სიამე!
მაშ, შენც ცვარივით ჩამოჯექი ლამით მდელოზე,
რომ მომახარო დილაა თუ აისია მე.

104
მიწაში ჩასულს ჯერ მიწად რომ აქცევს განგება,
მერე მტვერივით ის მიწაზე გაიფანტება;
მიტომაც ვეძებ ისეთ ღვინოს, რითაც გონება
თავდავიწყებით დათვრება და დაიბანგება.

105
თვალში არ მომდის სასახლეთა კოშკის თავები,
გადამავიწყდა მთელი ქვეყნის სალოცავები,
აღარც კეთილი მახსოვს ვინმე, აღარც ავები,
რადგან დღეს ღვინის სურნელების ქსელში გავები.

106
ქვეყნიერებას თავს რომ ადგას ცის ლაჟვარდები,
შენ მათს მზერაში სულ ამაოდ გდევენ დარდები;
ღვინო დალიე, იმ ყოფაში შენც ჩავარდები,
ცაში კი არა, მიწაში რომ გადაგვარდები.

107
გუშინ მექოთნეს შევასწარი თვალი ბაზარში,
წიხლებს უშენდა სველ თიხაში, მტვერთან ნაზავში,
თიხა კი თითქოს შესჩიოდა - „ფრთხილად მომეპყარ! —
მაგ ქვეყანაში მეც ვცხოვრობდი, უზარმაზარში".

108
ღვინოში არის სიცოცხლე და შენ ის დალიე,
რადგან ის ლამაზ სიჭაბუკეს ჰშვენის, დალიე;
თუკი რამ დარდი გექცა ცეცხლად, ღვინის ანდე და
იქ უკვდავების წყაროს წყალს რომ შექმნის, დალიე.

109
ღვინოს თუ დალევ, ჭკვიან კაცთან უნდა დალიო
და ეს ცხოვრება ლამაზებში უნდა გალიო;
ოღონდ, თუ დალევ, ჩუმად სვი და ფრთხილად იყავი,
დღევანდელი დღე სიკეთით რომ გაიხვალიო.

110
ცისკარს რომ უმზერ, გაიხარე, ძმაო, დღეს ამით,
ღვინო დალიე, არ მოიკლა გული დღეს ავით;
ამ ერთ დილასაც გამოსტაცე სიამე, რადგან,
რაგინდ ეძებო, ხვალ ვერ ნახავ წარსულ დღესავით.

111
გრძელ გზას ვინც გაჰყვენენ, მარტონი თუ ბრბო თუ გუნდები,
აქ რომ არავინ დაბრუნდება, შენც დარწმუნდები;
შენც გზას ადგახარ და ქონების თვლას ნუ უნდები, —
თუ რამეს ტოვებ, წასაღებად ვერ დაბრუნდები.

112
ბრძენო მოხუცო, ჩააქსოვე რისხვა რამ ხმაში
და იმ ბიჭს უთხარ, მიწასთან რომ უყვარს თამაში,
რომ მხოლოდ მიწა არ ეგონოს... რომ ურევია
მეფე ყობადის და ფარვიზის მტვერი ამაში.

113
უკვე თენდება, ღვინო მასვი, ჩემო ფერია,
და ის მიმღერე, რაიც ჯერაც არ გიმღერია;
ვინც დღეს აქ არის, ხვალ მიწაში ჩაესვენება,
იქით წასულს კი დაბრუნება არ უწერია.

114
ერთმა ყორანმა გადიფრინა კედელი ტუსის,
კლანჭებში ჰქონდა თავის ქალა ქეიქაუსის,
ზედ დასჩხაოდა შემზარავად - რა კაცი იყავ
და შენს დაფდაფებს რა ხმა ჰქონდა! აფსუს, აფსუს ის!

115
ამ ფიალაში წუთისოფლის მადლი დაუნჯდა,
ვინც მას აკოცა, გაირინდა, თითქოს დამუნჯდა;
ეს მექოთნე კი მასში მხოლოდ თიხას ხედავს და
დაამსხვრევს კიდეც, ჭკვაში რამე თუ არ დაუჯდა.

116
ომარ, თუ დათვერ, ნუ ინაღვლებ ასეთ საქციელს,
ღვინო ეძიე, სანამ ყველგან ზურგი გაქცევს;
თუ არყოფნაში გელის წასვლა, ჯერ იქით წადი,
სადაც ღვინო სვეს და არყოფნა ყოფნად აქციეს!

117
თიხის მზელავთა გზას დავადექ ფიქრით სავსე და
ორი ათასი დოქი ვნახე, გზას რომ გასდევდა;
უცებ მე ერთმა დოქმა მითხრა: „აქ ვისაც ხედავ,
ზოგი დოქს ზელდა, ზოგი ყიდდა, ზოგიც ავსებდა".

118
წუთისოფლის სივაგლახით მხოლოდ იგი მოისრა,
ვინც ცხოვრება დარდებით და მწუხარებით მონისლა;
მაშ, დავცალოთ ღვინით სავსე ფიალები ბროლისა,
სანამ კვდომის, სანამ ნგრევის და მსხვრევის ხმა მოისმა.

119
შავ მიწასა და ზუალს შორის სივრცე თუ არი,
თუ სიმართლეა, რასაც ვხედავთ ან თუ ცრუ არი,
ყველაფრის კარი შევაღე და შევეხმიანე...
მხოლოდ სიკვდილის კართან დამხვდა ცივი უარი.

120
წადი, ესტუმრე საროსავით აშოლტილ გოგოს,
ღვინო შესვი და ნუღარ განსჯი „რატომს" და „როგორს",
იჩქარე, თორემ შენს სიცოცხლეს სიკვდილის მგელი
ისე დაგიფლეთს, როგორც ქარი - მაისის კოკორს.

121
გადაივიწყე, რაც რამ იყო, რაც რამ იქნება,
ეგებ ჩვენც შევძლოთ სიხარულის წამის მიგნება?
ხვალ არყოფნაში შევაბიჯებთ და მაშინ ჩვენთვის
შვიდი ათასი წელიც წამად გარდაიქმნება.

122
ერთხანს რომ ვუმზერთ გაბრწყინებულ ცას გახელებით,
ვერაფერს ვხედავთ, თვალს ვიჩრდილავთ მხოლოდ ხელებით,
მზის ჩირაღდანი გვაბრმავებს და ამქვეყნად ვრჩებით
მხოლოდ შეშლილი სახეებით და სახელებით.

123
ჩვენს გარდა, ძმაო, ამ ხელადას არავინ დაცლის
და სიცოცხლესაც ერთ ქეიფში არავინ გაცვლის;
ის დროც დადგება, ეს მუხთალი წუთისოფელი
ღვინის კი არა, წყლის დალევას რომ აღარ გვაცლის.

124
ღვინის ძებნაში უნდა შევძრათ ცა და ხმელეთი,
რომ ჩვენს სახეებს აჩნდეს ვნების ელეთმელეთი,
აბეზარ ფიქრებს გავშორდეთ და გადავივიწყოთ
მოუსავლეთი, არყოფნა და უსაშველეთი.

125
როცა ვიძინებთ, სულს რომ ვანდობთ სიზმრებს სავსებით,
მიწაში მყოფებს ჩვენ ამ ძილით რომ ვემსგავსებით,
მაშინაც წასულ და არმოსულ არსებებს ვხედავთ
და ჩვენ ერთმანეთს არყოფნაზე ვეპაასებით.

126
გინდა ებრძოლე განგებას და გინდა ეჩოქე,
გინდ ერთ დღეს მოკვდი, გინდ ასი წლის იყავ მეტოქე,
ღვინის სმის გარდა, არაფერი შეგრჩება, რადგან
ერთხელ დაზგაზე შენც გადაგზელს დოქად მედოქე.

127
ამ წუთისოფლის შხამი მხოლოდ მისთვის დამტკბარა,
ღვინო და სატრფო ნუგეშივით ვინც თან ატარა;
დიდს თუ პატარა შიშს და იმედს როდემდე ვდიო?!
მე რომ მოვკვდები, დიდი იყოს გინდა პატარა.

128
მზის ნათელ სახეს ვერ დაბინდავს მიწა საზარი,
ვერც დროს გაჰყვება ჩვენი სევდა უზარმაზარი;
ჩემს ფიქრთა ზღვაში ერთ მარგალიტს რომ მივაგენი,
მის წიაღ შესვლით დამეცემა, ვიცი, თავზარი.

129
ბრიყვებს ჰგონიათ, რომ ბრძენი ვარ და ბრძენკაცი ვარ,
მე კი, ღმერთმანი, ამ ფიქრს ჯერ არ გავუტაცივარ;
თუკი სიკვდილის საგუბარში მელის დახრჩობა,
რაღად მჭირდება იმის ცოდნა, თუ რა კაცი ვარ?!

130
ჩვენ ვართ სიამის სათავე და დარდის წყარონი,
ქვეყანას ვფლობთ და დავწანწალებთ უსახლკარონი,
სიმდაბლესა და სიდიადეს, ავსა და კეთილს,
როგორც სარკეში, ჩვენში სჭვრეტენ ეს სამყარონი.

131
სახლში რომ არ მაქვს ღვინის მსგავსი ახლომახლო რამ,
არვის ეგონოს - უკადრისი ჩავისახლო რამ.
დღეს შენ ჩემს გულში სიყვარულით შემოხვედი და
არ მინდა, ჩემს გულს სხვა სიამით ხელი ვახლო რამ.

132
რა ვქნა, ძმობილო, მე ამქვეყნად ულვინოდ ვერ ვძლებ,
მე განა ვცოცხლობ, ტანს დავათრევ და ღვინოს ვეძებ;
ამწუთისოფლად ერთადერთ წამს დაემონები,
როცა მეტყვიან - დალიე! - და ველარ შევძლებ.

133
ვისაც აქვს ოქრო და „მდიდარი" - ეთქმის - მე ვარო,
ვინც რამეს შექმნის და ქვეყანას შეყრის - მე ვარო!
ვინც სიდიადის კოშკს აიგებს... მას ერთხელ კარზე
მიუკაკუნებს სიკვდილი და ეტყვის - მე ვარო.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პროზა

# ჩვენი ცხოვრების მდინარე

## გაბრიელ გარსია მარკესი



ბავშვობაში დაბრუნებას მხოლოდ ერთი მიზეზით ვისურვებდი: რათა კიდევ ერთხელ ვიმოგზაურო მაგდალენაზე. მდინარის გემით წელიწადში ორჯერ ვმგზავრობდი (ბოგოტასკენ და ბოგოტადან) – საშუალო სკოლაში სწავლის ექვსი წლისა და უნივერსიტეტში სწავლის პირველი ორი წლის განმავლობაში.

ყოველი მგზავრობისას გაცილებით უკეთ ვეცნობოდი ცხოვრებას, ვიდრე – სკოლაში. მდინარის წყალუხვობის პერიოდებში, ხუთი დღე სჭირდებოდა გემით მგზავრობას ბრანკილიადან პუერტო-სალგარამდე და, შემდგომ, მატარებლით ბოგოტამდე მიღწევას. წვიმების დროს, რაც არცთუ იშვიათი მოვლენა გახლდათ, მგზავრობა სამ კვირამდე გრძელდებოდა.

პუერტო-სალგარიდან ბოგოტისკენ მიმავალი მატარებელი მთაგორიან ადგილებში მიიკლაკნებოდა და კლდოვან ქედებზე დაბობღავდა. ციცაბო აღმართებზე ის უკან მიგორავდა, შემდეგ სიჩქარეს ავითარებდა და კვლავ წინ მიიწევდა. დრაკონივით მძლავრად ქშინავდა და ოხშივარს უშვებდა.

მატარებლის სვლის გასაიოლებლად მგზავრები ზოგჯერ ფეხით ადიოდნენ უახლოეს ქედზე. ლიანდაგის გასწვრივ ჩამწკრივებული გათოშილი, პირქუში სოფლელები ყიდდნენ შემწვარ ყვითელ წიწილებს და კარტოფილის პიურეს, საავადმყოფოს სუნით რომ ყარდა.

მატარებელი ბოგოტას აღწევდა საღამოს ექვსი საათისთვის, რომელიც ახლაც დღის ყველაზე უსიამოვნო მომენტად მიმაჩნია. ამ უხალისო, ცივ ქალაქში ტრამვაები ღრჭიალებდნენ და ყოველ მოსახვევთან ნაპერწკლებს ისროდნენ. ჭვარტლნარევი წვიმა არ წყდებოდა.

ქუჩებში შავქუდიანი კაცები ირეოდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ და სადღაც მიიჩქაროდნენ. არც ერთი ქალი არ ჩანდა. მთელი წელი ბოგოტაში უნდა გაგვეტარებინა სწავლის საბაბით, სინამდვილეში კი, სულმოუთქმელად ველოდით დეკემბერს, როდესაც მაგდალენაზე ხელახლა უნდა გვემგზავრა.

იმ დროს გემებს სამი გემბანი და ორი გრძელი საკვამლე მილი ჰქონდათ. ღამით ისინი გაჩირაღდნებულ პატარა ქალაქებს ემსგავსებოდნენ და სანაპიროს ჩაბნელებული სოფლების გასწვრივ მიცურავდნენ. მუსიკისა და ჯადოსნური ზმანებების შლეიფი არემარეს ეფინებოდა.

გემებს ჰქონდათ ადვილად დასამახსოვრებელი სახელწოდებები: „ატლანტიკო“, „მედელინი“, „კაპიტანი დე კარო“, „დავიდ არანხო“. კონრადის მოთხრობების პერსონაჟთა მსგავსად, კაპიტნები სიმკაცრით და, იმავდროულად, გულისხმიერებით გამოირჩეოდნენ. ისინი ხარბად, გარეული მხეცებივით ნთქავდნენ საჭმელს, მაგრამ თავიანთ პატარა კაიუტებში ღამღამობით მარტონი როდი იყვნენ. ეკიპაჟი კაპიტნებს „მეზღვაურებს“ უწოდებდა, თუმცა ბრანკილიას ბარებსა და ბორდელებში, ნამდვილ მეზღვაურთა გარემოცვაში, მათ „მენავეების“ სახელით იცნობდნენ.

მგზავრობისას დრო ნელა და საინტერესოდ გადიოდა. დღისით გემბანზე ვისხედით და ნაპირებს ვაკვირდებოდით. ჩრდილში გაწოლილ ალიგატორებს, ხის ტოტებს რომ ჰგავდნენ, ხახები ფართოდ დაეფჩინათ, თითქოს ელოდნენ, რომ მსხვერპლი თავისთავად ჩაუვარდებოდათ პირში. ვამჩნევდით ჩვენი ხმაურით დამფრთხალ უამრავ ყანჩას; წყალსავსე ჭაობებში მსხდარ გარეულ იხვებს; თევზთა გუნდებს. მეჩეჩებზე ლამანტინები შვილებს ძუძუს აწოვებდნენ და მათი გაბმული ყვირილი სიმღერასავით ჟღერდა.

ზოგჯერ დღის ძილს გვიკრთობდა ამაზრზენი სიმყრალე და ვხედავდით, როგორ მოჰქონდა დინებას ძროხის ვეება, გაბერილი ლეში, რომელზეც გრიფი დამჯდარიყო. მთელი მგზავრობის განმავლობაში რიჟრაჟზე გვაღვიძებდა მაიმუნების ყაყანი და გრძელკუდა თუთიყუშების გნიასი.

თვითმფრინავით მგზავრობისას ძნელად თუ შეიძენ ნაცნობებს. მაგდალენაზე ცურვის დასრულებისას კი, ერთ მრავალრიცხოვან ოჯახს წარმოვადგენდით. მომავალი შეხვედრებით ვხარობდით: ელიას ოჯახი კალამარში ამოვიდოდა გემზე, პენას და დელ ტოროს ჯალაბი – ლა-პლატაში; ესტორინოს და ვინას ცოლ-შვილი – მაგანგვაში, ვილაფანისა – ელ-ბანკოში.

ნავსადგურებში შეჩერებისას გემის არაერთი მგზავრის ბედი იცვლებოდა: ვინსენტ ესკუდერო, სტუდენტი-მედიკოსი, გამარაში დაუპატიჟებლად შეუერთდა მექორწილეებს, ნებართვის თხოვნის გარეშე იცეკვა ყველაზე ლამაზ ქალთან და ამ უკანასკნელის ქმრის ტყვიას შეეწირა. სამაგიეროდ, ბარანკაბერმეიაში მთვრალმა პედრო პაბლო გილიენმა ცოლად შეირთო პირველივე ქალიშვილი, რომელიც მოეწონა. ისინი ახლაც ბედნიერად ცხოვრობენ თავიანთ ცხრა შვილთან ერთად. შესანიშნავმა მუსიკოსმა ხოსე პალენსიამ ტენერიფეში მონაწილეობა მიიღო მედოლეთა კონკურსში და ჯილდოდ მიღებული ძროხა იქვე გაყიდა ორმოცდაათ პესოდ, რაც იმ დროს მნიშვნელოვან თანხას შეადგენდა.

ზოგჯერ გემი ორიოდ კვირით ქვიშიან მეჩეჩზე ჯდებოდა, მაგრამ უკმაყოფილებას არავინ გამოთქვამდა: გართობა ხომ კვლავ გრძელდებოდა. კაპიტანი მაძლევდა წერილობით, ბეჭედდასმულ ახსნა-განმარტებას სკოლაში წარსადგენად.

ჩემი უკანასკნელი მგზავრობის დროს, 1948 წლის ერთ ღამეს გაგვაღვიძა შემზარავმა ყვირილმა, რომელიც ნაპირიდან გაისმოდა. თურმე, დედალი ლამანტინი მეჩეჩთან ჩამოვარდნილ ხის ტოტებში გახლართულიყო. ჩვენმა კაპიტანმა კლიმაკო კონდე აბელომ (ერთ-ერთმა საუკეთესო კაპიტანმა) ეკიპაჟს უბრძანა, პროჟექტორებით გაენათებინათ მეჩეჩი. ეკიპაჟის წევრები წყალში ჩახტნენ და ლამანტინი გაათავისუფლეს. ეს იყო ოთხი მეტრი სიგრძის, ფანტასტური შესახედაობის არსება, რომელიც უცნაურად მოძრაობდა. გლუვი, ბაცი ფერის კანი ჰქონდა და დაბურული მკერდი ქალისას მიუგავდა. დიდრონი თვალებიდან ცრემლები სდიოდა.

სწორედ ამ კაპიტანმა განაცხადა ერთხელ, რომ მდინარის აუზში მცხოვრები ცხოველების დახოცვა ქვეყანას საშინელ საფრთხეს უქადდა. ის მგზავრებს ნადირობას უკრძალავდა და ყვიროდა, თუ ვინმეს მკვლელობის ჩადენა სურს, ეს თავის სახლში მოიმოქმედოს და არა ჩემს გემზეო.

სამწუხაროდ, მისი ნათქვამი არავინ შეისმინა.

ცამეტი წლის შემდეგ, 1961 წლის 19 ივლისს, მეხიკოში მეგობარმა დამირეკა და მაუწყა, რომ მაგანგუს ნავსადგურში გემ „დავიდ არანხოს“ ცეცხლი წაეკიდა და ერთიანად ნაცრად იქცა. როდესაც ყურმილი დავკიდე, დამეუფლა საშინელი გრძნობა, თითქოს ჩემი ახალგაზრდობა საბოლოოდ დამთავრდა და ჩვენს მდინარესთან დაკავშირებული მოგონებები გემთან ერთად ჩაიფერფლა.

ეს, მართლაც, ასე მოხდა.

ამჟამად მაგდალენა მკვდარი მდინარეა. მისი წყალი მოწამლულია, ხოლო ცხოველები ამოწყვიტეს. მთავრობის მიერ გარემოს დაცვის შესახებ დაწყებული მსჯელობა (რასაც ბიძგი მისცეს ამ საკითხით დაინტერესებულმა ჟურნალისტებმა) სხვა არაფერია, თუ არა ყურადღების გაფანტვის ულირსი ხერხი. მაგდალენას აღდგენას დასჭირდებოდა, სულ ცოტა, ოთხი თაობის ენერგიული ძალისხმევა, ე.ი. მთელი საუკუნე.

ადამიანები ხალისით საუბრობენ ტყეებით მაგდალენას ნაპირების განაშენიანების შესახებ, რაც საჭიროებს 59.1100000 ხის დარგვას. უკეთ გააზრების მიზნით სიტყვიერად გამოვთქვათ: ორმოცდაცხრამეტი მილიონ ათასი ხე. ამასთან, მთავარ პრობლემას წარმოადგენს არა ხეების რაოდენობა, არამედ, ტერიტორია, სადაც ისინი უნდა დაირგოს. თითქმის მთელ ვარგისიან მიწებს კერძო მესაკუთრეები ფლობენ და ტყეებით სრული განაშენიანება ნიშნავს ამ მიწების 90 პროცენტის დაფარვას.

ერთი ვიკითხოთ, რომელი ჭკუათმყოფელი მეპატრონე გვიბოძებს მისი მიწების 90 პროცენტს მხოლოდ ხეების დასარგავად და დათმობს თუ არა ის საკუთარი შემოსავლის 90 პროცენტს?

დაბინძურება მხოლოდ მდინარე მაგდალენას როდი ანადგურებს. მის შენაკადებს მოაქვს სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და ცხოველური ნარჩენები ეროვნული ნარჩენების გიგანტურ რეზერვუარში – ბოკა დე კენიზას სრუტეში.

1980 წლის ნოემბერში ჯარიდან გამოპარული ორი დეზერტირი მდინარე ბოგოტაში ჩახტა. ისინი მდინარის წყლისგან დაინფიცირდნენ და კინაღამ დაიღუპნენ. მაგდალენას ნაპირებზე მცხოვრები ადამიანები მდინარის წყალს არ სვამენ და არც სხვა საჭიროებისთვის იყენებენ. ისინი მაგდალენას თევზსაც არ ხმარობენ საკვებად, რადგან ეს იგივეა, მაპატიეთ ამ გამოთქმისთვის, რაც სკორეს ჭამა.

გარემოს დაცვის ამოცანა ძნელად განსახორციელებელია, მაგრამ საბოლოო ანგარიშში, რეალურია. საამისოდ საჭირო ღონისძიებები დეტალურადაა აღწერილი ჰოლანდიელ და კოლუმბიელ მეცნიერთა ერთობლივ გამოკვლევაში, რომელიც რამდენიმე წლის წინათ დასრულდა. გამოკვლევის ოცდაათი ტომი ეროვნული ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის არქივში იმტვერება. ამ მონუმენტური ნაშრომის დირექტორის მოადგილე გახლდათ ანტიოქიელი ახალგაზრდა ინჟინერი ხაირო მურილიო, რომელმაც თავისი სიცოცხლის ნახევარი შესწირა გამოკვლევას და სულიერი სიმშვიდე დაკარგა: ის თავისი ოცნებების მდინარეში ჩაიხრჩო.

თავისთავად ცხადია, რომ ახლო წარსულში პრეზიდენტობის არც ერთმა კანდიდატმა არ დაუთმო დრო ამ ამოცანის გადაწყვეტას.

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## უკვდავი პოეზია

### ეფემერა

ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები
ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით,
იყვნენ საუკუნენი, მაგრამ ვერ ვიხსენები
გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით.
ვწუხვარ: ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია
ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები,
ბედი – ქროლვის გარეშე – ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები.
ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება
ძახილით: გალაკტიონ! და ძნელია მიგნება.
სადაც ახლა ჯვარია და გვიანი მტევნები,
იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება.
რამდენი ქარავანი, მთებზე გადამართული,
გაიშლება – მცნობელი მღვრიე უდაბნოეთის,
წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის.
ო, რამდენი დაცხრება შურიანი თვალები,
რომ მარად იმარჯვებენ იდუმალი მშვენებით
ლექსთა შეჯიბრებაზე – მხოლოდ ინტეგრალები,
ცხენთა შეჯიბრებაზე – ისევ ლურჯა ცხენები!
აჰა! შორით მოისმის ქვეყნიური გუგუნი.
ელვა ელვას გაეკრა, დაელეკა ცას ღვარი,
გაქრა, როგორც ღუმელი, ცოდვით გადაბუგული,
უკანასკნელ ძებნათა სევდიანი საზღვარი.
კიდეები შეშლილი, ღამეები ველური
დაიტვირთონ წამებით, ღამე მთვარეს მოებას.
სულს სწყურია საზღვარი, ისევ ეფემერული,
სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას.
სთქვი, რას ნიშნავს ზენიტზე მდგარი შორი პალმები?
წინ! იმ უსაზღვრობაში მწუხარებას აიტან.
ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები,
ყოველმხრივ სივრცე იყოს, შველა კი – არსაიდან.
ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა,
დაისერა მსოფლიო გამოუცნობ წყლულებით.
კოშკებს სიზმარეთისას ნისლი გადაეცალა
და იქ მიექანება სული განწირულებით.
ნეტავ ჯოჯოხეთისა დარდმა გამიყოლიოს,
სადაც ვარდებს ბაღისას მაისობა უქრება.
მძიმე ქვების ქუსლებით დავეყრდნობი პოლიუსს,
როცა ქარი მოსკდება და ცას შეემუქრება.
როგორც უხვი მემკვიდრე, ვისვრი სავსე პეშვებით
ფანტასტიურ მკვლელობებს და ოცნებას მკათათვის,
წარსულში, მომავალში წყევლით გადავეშვები,
რომ ძეგლები ავმართო მღვრიე მშვენებათათვის.
თქვენ შეხედეთ: პირველი ჩნდება მერიდიანი,
ვეძებ ისევ დაღუპვას და დავცინი სიბერეს,
წარსულს სწყდება ფოთლების წყება იმედიანი,
შემოდგომის ქარვებმა გზები გადამიფერეს.
დე, თამაშის თუ ბრძოლის ვიყო ცქერით გართული,
იყოს მზეთა ორგია და მაგია მთვარისა,
ვიყო ამ ღრიანცელში მარად ხელაღმართული,
ლანდი – არაქვეყნურ დარდით გადამწვარისა.
დამრჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა ემბაზი,
ეფემერა მომექცეს, როგორც ღამეს ენებოს.
ცხენთა შეჯიბრებაზე! ცხენთა შეჯიბრებაზე!
ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა ცხენებო!




### გურიის მთები

წინ, მეეტლევ!
ეგ ცხენები გააქანე, გააქანე!
მსურს, რომ ერთხელ კიდევ ვნახო გაზაფხულის მთები მწვანე,
მსურს, რომ დაფნით გადავხლართო მძიმე ფიქრთა ოკეანე!..
წამიყვანე!
მთები! როგორ შვენით მათზე გაზაფხულის ბუჩქ-ფოთოლი!
როგორ შვენის ველზე ნამი, გამჭვირვალე, როგორც ბროლი!
ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუმკრთალი,
რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი.
კიპარისი ისე ღელავს, ისე ღელავს, ისე ღელავს,
ისე ტოკავს, ისე ტოკავს, როცა ქარი გადათელავს
წყარო კლდეში მოჩუხჩუხე, წვეთანკარა, ვით ცის ვნება,
დაფნის ბუჩქთა მწვანე ჩარჩოს ეომება, ეხეთქება
და ჩანჩქერი მთით ნასხლეტი, დაფლეთილი დილის სხივით,
ძირს ეშვება და იფრქვევა და გადადის რძის ქაფივით.
ვდგევარ მთაზე და სიჩუმის იდუმალი მესმის ენა,
და მიტაცებს სწრაფი ფრთებით პოეტური აღმაფრენა.
ვხედავ სურებს, ვხედავ დაფნარს, ვხედავ მდუმარ ნასაკირალს,
ვხედავ სოფლებს სიცოცხლისას, განახლების თვალით მზირალს.
ჩუმად!
ვიღაც მღერის მთაზე, რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში!..
არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში,
არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის ჟინი, ბრძოლის ქარი,
არსად ისე არ გადმოხეთქს უმანკობის ნიაღვარი,
და არსად, მთელ ქვეყანაზე არ ჰკოცნიან ისე ვნებით,
ისე ცეცხლით, ისე ჟინით და იმგვარი გატაცებით,
ვერსად ისე ვერვინ გაგხვევს გამოუცნობ ცეცხლის ტბაში,
როგორც ლერწამქალწულები – აქ, ამ წარმტაც ქვეყანაში!
და, მეეტლევ,
თუ მათ ალერსს
ვერ ველირსე, გეთაყვანე,
საალერსოდ ისევ მიწვევს გაზაფხულის მთები მწვანე
მაშ, გარეკე ეგ ცხენები,
სადმე შორს, შორს წამიყვანე,
გამაქანე,
გამაქანე!

### მზეო თიბათვისა

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები.
ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ,
სული მოუვლინე ისევ შენმიერი,
დილა გაუთენე ისევ ციურიდან,
სული უმანკოთა მიეც შვენიერი.
ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,
მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა ამას გევედრები.

### სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი.
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.
შემოიღამებს მთის ნაპრალები,
და თუ როგორმე ისევ გათენდა –
ღამენათევი და ნამთვრალევი,
დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან!
ღამენათევი და ნამთვრალევი
მე მივეყრდნობი სალოცავ კარებს,
შემოიჭრება სიონში სხივი
და თეთრ ოლარებს ააელვარებს.
და მაშინ ვიტყვი: აჰა! მოვედი
გედი დაჭრილი ოცნების ბაღით!
შეხედე! დასტკბი ყმაწვილურ ბედის
დაღლილ ხელებით წამებულ სახით!
შეხედე! დასტკბი! ჩემი თვალები
წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით, –
ღამენათევი და ნამთვრალევი
სავსეა ცრემლთა შურისძიებით!
დასტკბი! ასეა ყველა მგოსნები?
შენს მოლოდინში ასეა ყველა?
სული, ვედრებით განაოცები,
შენს ფერხთქვეშ კვდება, როგორც პეპელა.
სად არის ჩემთვის სამაგიერო?
საბედნიერო სად არის სული?
ვით სამოთხიდან ალიგიერი,
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული!
და როცა ბედით დაწყვეტილ გზაზე
სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,
განსასვენებელ ზიარებაზე
ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!
დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით
გამაქანებენ სწრაფი ცხენები!
ღამენათევი და ნამთვრალევი
ჩემს სამარეში ჩავესვენები.
დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე!

### მერი

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!
აფეთქებული და მოცახცახე
იწოდა ნათელ ალთა კრებული,
მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე
იყო იდუმალ გაფითრებული.
იწვოდა ტაძრის გუმბათი, კალთა,
ვარდთა დიოდა ნელი სურნელი,
მაგრამ ლოდინით დაღალულ ქალთა
სხვა არის ლოცვა განუკურნელი.
მესმოდა შენი უგონო ფიცი...
მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა...
ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი:
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?
ლოდებთან ვიღაც მწარედ გოდებდა
და ბეჭდების თვლებს ქარში კარგავდა...
იყო ობლობა და შეცოდება,
დღესასწაულს კი ეს დღე არ ჰგავდა.
ტაძრიდან გასულს ნაბიჯი ჩქარი
სად მატარებდა? ხედვა მიმძიმდა!
ქუჩაში მძაფრი დაჰქროდა ქარი
და განუწყვეტლად წვიმდა და წვიმდა.
ნაბადი ტანზე შემოვიხვიე,
თავი მივანდე ფიქრს შეუწყვეტელს;
ოჰ! შენი სახლი! მე სახლთან იქვე
ღონე-მიხდილი მივაწექ კედელს.
ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები
აშრიალებდნენ ფოთლებს ბნელხმიანს,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.
და შრიალებდა ტოტი ვერხვისა,
რაზე – ვინ იცის! ვინ იცის, მერი!
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა –
ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი.
სთქვი: უეცარი გასხივოსნება
რად ჩაქრა ასე? ვის ვევედრები?
რად აშრიალდა ჩემი ოცნება,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?
ან ცას ღიმილით რად გავცქეროდი,
ან რად ვიჭერდი შუქს მოკამკამეს?
ან „მესაფლავეს“ რისთვის ვმღეროდი,
ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და ღამეს“?
ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული
და მე ავტირდი – ვით მეფე ლირი,
ლირი, ყველასგან მიტოვებული.

ქართული სიტყვა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## პოლიტიკა

**ევროკავშირი საქართველოს, მართლმსაჯულების სექტორის რეფორმირებისათვის, 50 მილიონ ევროს გამოუყოფს, რომლის მიზანიც დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტური მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა იქნება. დამკვიდრდება თუ არა საქართველოში კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებათა დაცვა საერთაშორისო სტანდარტებით? - ამ შეკითხვებით „ქართულმა სიტყვამ“ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, კობა ნარჩემაშვილს მიმართა, რომელმაც საუბარი შსს-დან უშიშროების სამსახურის გამოყოფით დაიწყო. ყოფილი მინისტრი მიიჩნევს, რომ შსს-ს ტრანსფორმაცია აუცილებელია და ეს მხოლოდ შიდა კი არა, გარე ფაქტორებითაცაა განპირობებული.**

# „5 თვეში, უკრაინაში ქართული დესანტიც შეთხელდება!“




## კობა ნარჩემაშვილი: „ოცნება“ ხელისუფლებაში უმრავლესობით ველარ მოვა!“

**„დილეტანტიზმი აგრესიას შეერია, „ზონდერებიც“ ჩარჩნენ და ყველაფერმა ამან უარყოფითი როლი ითამაშა, რისთვისაც ხელისუფლება პასუხს არჩევნებზე აგებს. ბევრი დამნაშავე არათუ დასჯილია, არამედ, ისევ სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობს. ვერავინ დამარწმუნებს, რომ „ნაცმოძრაობა“ ამდენ ინფორმაციას საჯარო არხებიდან იღებს. დარწმუნებული ვარ, რომ ინფორმაციას ის ადამიანები აწვდიან, რომლებიც სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებს იკავებენ.“**

კობა ნარჩემაშვილი: - იმ შსს-ს ადგილზე, რომელიც დღეს გვაქვს, შესაძლებელია, 4-5 ახალი სამსახური შეიქმნას. ისე, ძალიან ცუდია, რომ შსს-ს და უშიშროების გაყოფაზე უმეტესად არაკომპეტენტური ადამიანები ლაპარაკობენ. შინაგან საქმეთა და უშიშროების უწყებების საქმიანობა ერთმანეთისგან თვისობრივად განსხვავდება. შსს-ს მოვალეობა გამოძიების წარმართვაა, უშიშროების სამსახური კი, გამოძიებაში მხოლოდ უკიდურესად აუცილებელ შემთხვევაში ერთვება. უშიშროების საქმე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეკრება და მოსალოდნელი საფრთხეების გააზრებაა.

დამოუკიდებლობის 25 წელმა ბევრი გამოწვევის წინაშე დაგვაყენა, მხედველობაში მაქვს საზოგადოების შიდა კონფრონტაცია, მძიმე ფონი და არათანაბარი სოციალური გარემო. კონფლიქტები თუ ტერიტორიული პრობლემები კი, უსაფრთხოების სისტემის გამოწვევაა. ამიტომ, არ შეიძლება, ამ გამოწვევების დაძლევა მხოლოდ უსაფრთხოების სპეციალური სუბიექტებისთვის, ანუ სამართალდამცავი ორგანოებისთვის განვიხილოთ. ეს მთელი პოლიტიკური სისტემის პრობლემაა და საკითხის სრულყოფილად გადაჭრაც პოლიტიკურ სისტემას ხელეწიფება. საერთოდ, უსაფრთხოება მეტ-ნაკლებად მოგვარებული მაშინაა, როცა პოლიტიკური სისტემა მდგრადია, პოლიტიკური პარტიები ფინანსურად და იდეოლოგიურად ძლიერები არიან. ნებისმიერი მექანიკური გაყოფების, ან შეერთების წინააღმდეგი ვარ, თუ ამ პროცესს არ ახლავს ინსტიტუციური გარანტია, რომ გაყოფა, ან შეერთება მაღალი ხარისხით იმუშავებს. ამ სტრუქტურების ინსტიტუციური დეპოლიტიზაციისთვის პირობა უნდა შევქმნათ. შესაძლოა, უშიშროების ხელმძღვანელი 6 წლით ავირჩიოთ, მაგრამ მისი მუშაობის ვადა აღმასრულებელი და საკანონმდებლო უწყებების მუშაობის ვადას არ უნდა ემთხვეოდეს, რაც გარკვეულწილად, დამოუკიდებლობის მიმანიშნებელია, მაგრამ ასეთი სახის გადაწყვეტილებები უმეტესად მყარი დემოკრატიული სისტემის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

თუკი საზოგადოებრივი და საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები იარსებებს, მაშინ ამის წინააღმდეგ არ წავალთ და ამას ისე განვიხილავთ, როგორც ტექნიკურ საკითხს.

**- ყველაფერ ამაში გამოძიების როლი როგორი იქნება?**

- ამ გაყოფასა თუ შეერთებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გამოძიების საკითხია, რადგან გამოძიება ის ინსტიტუციაა, რომელმაც საზოგადოებაში წესრიგის, სტაბილურობისა და სამართლიანობის განცდა უნდა განაპირობოს. როცა დამდგარია განაჩენი, უნდა არსებობდეს განცდა, რომ გამოძიების პროდუქტი მაღალკვალიფიციურია. სამწუხაროდ, არ მომისმენია, რომ გამოძიებაზე ვინმეს ემსჯელოს, არადა, გამოძიება რამდენიმე სტრუქტურაში - პოლიციაში, პროკურატურასა თუ თავდაცვის სამინისტროშია გაბნეული. ასეთ დაყოფას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები და ვთვლი, რომ სასამართლოებში ის მძიმე ვითარება, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში შეინიშნება, სწორედ ამის ბრალია - საზოგადოების მოლოდინია, რომ დამნაშავე, ბოლოს და ბოლოს, დაისჯება, თუმცა მაინც გამამართლებელი განაჩენები დგება.

კიდევ ერთი საკითხი გამომძიებლის როლის გაზრდაა: დღეს გამომძიებლის სტატუსი, მართლაც, კატასტროფულ მდგომარეობაშია - გამომძიებელი თავის როლს მტკიცებულებების აღმოჩენაშიც კი არ ასრულებს. დღეს საპროკურორო ზედამხედველობას მხოლოდ 150 მოსამართლე ახორციელებს, არადა, ათასეულობით საქმეა. გამომძიებელს დამოუკიდებლად საპროცესო გადაწყვეტილების მიღების უფლებაც არ აქვს.

**- თქვენი აზრით, გამოძიებას რომელი უწყება უნდა ატარებდეს?**

- გამოძიება ცენტრალიზებული ორგანო უნდა იყოს ერთი, რომელიც ძლიერი საპროკურორო და საპარლამენტო ზედამხედველობის ქვეშ იმუშავებს. გამომძიებელი უნდა იყოს მთავარი ფიგურანტი, რომელმაც უნდა აღმოაჩინოს და შეაფასოს მტკიცებულებები. პიროვნება, რომელიც დაცვისა და ბრალდების მხარეს იქნება შუამავალი, მიიღებს დაცვის და ბრალდების მტკიცებულებებს, ყველაფერ ამას შეაფასებს და, პროკურორის ზედამხედველობით, საქმეს სასამართლოში წარმართავს. ამის გარეშე მექანიკურ შეერთებას, ან დაყოფას მერწმუნეთ, შედეგი არ ექნება. ეს უნდა იყოს ტრანსფორმაციის და არა რეფორმირების პროექტი, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი იქნება და პოსტსაბჭოურ სისტემასთან ბმა არ ექნება.

**- პროკურატურაზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაზრდა მართებულია?**

- მთავარია, პროკურატურის ფუნქციები შეჯერდეს, თორემ ვინ უნდა დანიშნოს პროკურორი, ან როგორი უნდა იყოს მასზე საპარლამენტო კონტროლი, ტექნიკური საკითხია, რომლის გადაწყვეტაც მარტივია. პრინციპში, პროკურატურა უფრო სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებაა, ვიდრე - აღმასრულებლის. ამიტომ ის, ძლიერი დამოუკიდებელი სტრუქტურა უნდა იყოს, რომელსაც მაღალი უფლებამოსილება და დიდი საპარლამენტო კონტროლი ექნება. აუცილებელია, პროკურატურას მაღალი თანამდებობის პირების, მათ შორის, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების, საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლების, უშიშროებისა და შსს-ს მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირების საქმიანობის გამოძიების უფლება ჰქონდეს, თუმცა ასეთი პროექტი უფრო ღრმა მუშაობას საჭიროებს.

**- პროკურორს მაღალი ლეგიტიმაცია რომ ჰქონდეს, ვინ უნდა დანიშნოს?**

- მთავარი პროკურორი აუცილებლად პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს.

**- ბატონო კობა, საუბრის თემას შევცვალი და, მას მერე, რაც ხელისუფლება შეიცვალა, სამხედრო აღლუმი აღარ ჩატარებულა. ამას მართებულად თვლით?**

- არც იმის მომხრე ვარ, რომ აღლუმი ყოველწლიურად ტარდებოდეს, თუმცა გარკვეული ინტერვალით, როცა სამხედრო სფეროში ხდება მიღწევები, ამის დემონსტრირება აუცილებელია.

**- სააკაშვილი, რომელზეც საქართველოში შიდა ძებნაა გამოცხადებული, ოდესის გუბერნატორი გახდა, თუმცა ეს დასავლეთს არ გაუპროტესტებია. ამას რითი ხსნით?**

- როგორც ჩანს, დასავლეთის გარკვეული პოლიტიკური ძალებისგან სააკაშვილის მხარდაჭერა ხდება, რაზეც სამწუხაროდ, პირდაპირი გავლენა ევრაზიული კავშირის მომხრე 31%-საც აქვს. ამიტომ, არ გაგიკვირდეთ, თუ ვიტყვი, რომ დასავლეთი ერთი ხელით გვეხმარება, მეორეთი კი, - ძებნილებს უკრაინაში თანამდებობებზე ნიშნავს, ზოგსაც ინტერპოლის ძებნილთა სიიდან ხსნის. ყველაფერი ეს საზოგადოებაში ანტიდასავლურ განწყობას ბადებს.

**- ვიდრე სააკაშვილი ოდესის გუბერნატორი გახდებოდა, ინტერნეტმედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინელები ჯანდაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილის მუშაობით უკმაყოფილონი არიან და მის მოსახსნელად პროცედურები იწყება. ითქვა ისიც, რომ ეკა ზღულაძესთანაც არსებობს შეკითხვები..**

- ცოტაც უნდა მოვითმინოთ და ყველა ქართველს, რომელიც უკრაინის მთავრობაშია, ჯოხით გამორეკენ! პროცესები სწორედ აქეთკენ მიდის. ამ ადამიანებს უკრაინა საქართველო ჰგონიათ და თავის ჭკუაზე არიან მიშვებულნი. ბევრი უკრაინელი თვლის, რომ უკრაინაში კომპეტენტური ხალხის დეფიციტი არაა და ვერ გაუგია, პოსტები მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლებმა რატომ დაიკავეს. 5 თვეში, უკრაინაში პოლიტიკური სიტუაცია ძალიან შეიცვლება და ქართული დესანტიც შეთხელდება.

**- ისევ საქართველოს რომ დავუბრუნდეთ, ბატონო კობა, თქვენი აზრით, „ოცნებამ“ სამართლიანობის აღდგენის დაპირება რატომ ვერ შეასრულა?**

- დილეტანტიზმი აგრესიას შეერია, „ზონდერებიც“ ჩარჩნენ და ყველაფერმა ამან უარყოფითი როლი ითამაშა, რისთვისაც ხელისუფლება პასუხს არჩევნებზე აგებს. ბევრი დამნაშავე არათუ დასჯილია, არამედ, ისევ სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობს. ვერავინ დამარწმუნებს, რომ „ნაცმოძრაობა“ ამდენ ინფორმაციას საჯარო არხებიდან იღებს. დარწმუნებული ვარ, რომ ინფორმაციას ის ადამიანები აწვდიან, რომლებიც სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებს იკავებენ.

**- ხელისუფლებას აქვს შანსი, რომ არჩევნებამდე შეცდომები ნაწილობრივ მაინც გამოასწოროს?**

- არჩევნებამდე წელიწადნახევარზე ცოტა დროა დარჩენილი და ვფიქრობ, ხელისუფლებას ამ ინერციის შებრუნება გაუჭირდება. შესაძლოა, „ოცნება“ არ დამარცხდეს, მაგრამ ხელისუფლებაში უმრავლესობით ველარ მოვა!

**ესაუბრა ნათია ლებანიძე**

## სტენოგრამა

# 2014 წელს რეკლამაზე ყველაზე დიდი თანხა „ქართულმა ოცნებამ“ დახარჯა

პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, გასულ წელს პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველომ“ რეკლამაზე 2 850 616 ლარი დახარჯა, მათ შორის, სატელევიზო რეკლამაზე – 830 273 ლარი.

რაც შეეხება სხვა პოლიტიკური პარტიების მიერ რეკლამაზე გაწეულ ხარჯებს, „ერთიანმა ნაციონალური მოძრაობამ“ რეკლამაზე 952 985 ლარი დახარჯა, აქედან, 207 041 ლარი სატელევიზიო რეკლამაზე მოდის.

314 307 ლარი დახარჯა რეკლამაზე „პატრიოტთა ალიანსმა“, აქედან 159 012 ლარი – სატელევიზიო რეკლამაზე.

396 662 ლარი შეადგინა „გაერთიანებული დემოკრატების“ მიერ რეკლამაზე გაწეულმა ხარჯმა, აქედან 14 538 ლარი სატელევიზიო რეკლამაზე მოდის.

**„ინტერპრესნიუსი“**



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პოლიტიკა

# თემო მურვანიძე: „სააკაშვილს, დაჭერის შიშით, პანიკური შეტევები ემართება!“

**აი, ასე: მოხდა ის, რასაც, ალბათ, არავინ ელოდა: მიხეილ სააკაშვილმა, ოდესის გუბერნატორობის სანაცვლოდ, საქართველოს მოქალაქეობა დათმო. რატომ გადადგა ყოფილმა პრეზიდენტმა ეს ნაბიჯი? - ამ შეკითხვაზე არაერთგვაროვანი პასუხი არსებობს. პოლიტიკოსი თემურ მურვანიძე თვლის, რომ სააკაშვილმა „საპატიმროს სუნი“ იგრძნო და საქართველოს მოქალაქეობა ამიტომაც დათმო. მურვანიძის მსჯელობა ლოგიკურია, მით უმეტეს, რომ დაჭერაზე აქცენტი თავად მიშამაც გააკეთა და აღნიშნა, დღეს ჩემთვის საქართველოს მოქალაქეობა „მატროსოვის ციხეში“ ჯდომას ნიშნავსო... მოკლედ, რა ჩაიფიქრა სააკაშვილმა? - „კვირის“ შეკითხვებს თემო მურვანიძე პასუხობს.**



**- ბატონო თემო, რას ნიშნავს, როცა ქვეყნის ყოფილი მმართველი საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე უარს ამბობს? ისე, მსოფლიოს უახლესი ისტორია მსგავს პრეცედენტს იცნობს?**

- ერთი მაგალითიც არ მახსენდება, რომ რომელიმე ქვეყნის მმართველს მშობლიური ქვეყნის მოქალაქეობაზე უარი საკუთარი სურვილით ეთქვას. ეს კი არადა, საკუთარ სტატუსს ქვეყნიდან სახელმწიფო გადატრიალებებითა თუ რევოლუციებით გაძევებული, ან გაქცეული მმართველებიც სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებენ და ამის ბევრი მაგალითი არსებობს.

ჩემთვის, როგორც ერთი ქართველისთვის, ნოე ჟორდანიას, ზვიად გამსახურდიას მძიმე ხვედრისა და სხვა ასეთი მაგალითების შემდეგ, სააკაშვილის უპასუხისმგებლობის ატანა ძნელია, თუმცა მისი მხრიდან არაფერი მიკვირს, მით უმეტეს, ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვინც 2005 წლიდან ვამტკიცებდი, სააკაშვილი სამარცხვინო და თვითმარქვია პრეზიდენტია-მეთქი. საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმით ყველაფერი ეს დაადასტურა!

**- ისე, ალბათ, ბედის ირონიაა, რომ მიხეილ სააკაშვილი იმ სიტუაციაში აღმოჩნდა, რა სიტუაციაშიც თავის დროზე ბიძინა ივანიშვილი იყო... მოქალაქეობაზე უარის თქმით, როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი ახალ პიარს ხომ არ დაიწყებს და მტკიცებას მოჰყვება, აი, „ოცნება“ მდევნისო...**

- სააკაშვილი, დიდი ხანია, ცდილობს, მსოფლიოს სხვადასხვა ლიდერი დააჯეროს, რომ უკანონოდ დევნიან, მაგრამ, როგორც ხედავთ, ჩვენი პროკურატურა მის კანონიერ დაპატიმრებას მიუახლოვდა და ყოფილ პრეზიდენტს ჰგონია, რომ თავს მოქალაქეობაზე უარის თქმით გადაირჩენს... სააკაშვილი იმ დანაშაულობებზე, რაც ერისა და ღმერთის წინაშე მიუძღვის, პასუხს ნებისმიერ შემთხვევაში აგებს!

რაც შეეხება თქვენს მიერ დასახელებულ პარალელს, ყველას გვახსოვს, თუ როგორ ცდილობდა სააკაშვილი, რომ თავის დროზე ბატონი ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობა ჩამოერთმია, მაგრამ ბატონი ბიძინა ღირსეულ ქართველად და საქართველოს მოქალაქედ დარჩა, დიდი საფრთხის მიუხედავად, ბოლომდე იბრძოლა და საკუთარ ხალხს ქვეყნის გათავისუფლებაში დაეხმარა. ეს ნამდვილი ვაჟკაცობის მაგალითია!

ისე, მაშინ საქართველოს მოქალაქეებმა ხელმოწერებიც შეაგროვეს, რომ იმდროინდელ ხელისუფლებას ბატონი ბიძინასთვის მოქალაქეობა შეენარჩუნებინა, თუმცა არ მგონია, ხალხს მსგავსი სურვილი სააკაშვილთან მიმართებაშიც გაუჩნდეს!

**- ბატონო თემო, იზიარებთ მოსაზრებას, რომ მიშა ამერიკელებმა გაწირეს და ამიტომ, იძულებული გახდა, სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიეღო?**

- ეს ამერიკელებმა და მიშამ იციან, თუმცა მე თუ მკითხავთ, მიშა, ულირსი საქციელის გამო, ქართველმა ერმა გაწირა და ყველა დანაშაულისთვის საკადრისადაც დაისჯება!

**- თქვენი აზრით, „ნაცმოძრაობიდან“ ოთხი ე.წ. სახის წასვლა და სააკაშვილის ბოლოდროინდელი უკრაინული აქტივობა ერთმანეთს, უბრალოდ, დაემთხვა თუ ყველაფერი ერთი სცენარის ნაწილია?**

- ეს ადამიანები სადღაც, ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობენ - რაღაცას მოიფიქრებენ, მერე, ვითომ ამ ჩანაფიქრს ანხორციელებენ და ჰგონიათ, რომ ხალხის განწყობას მართავენ, მაგრამ რეალურად, ეს ძალიან არასერიოზულია და, ალბათ, ყველაზე გვიან მიხვდებიან, რომ ამ ქვეყანაში მათი გავლენა სამუდამოდ დამთავრდა!

**- უშვებთ ალბათობას, რომ პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სააკაშვილს ორმაგი მოქალაქეობა მიანიჭოს და თუკი ასე მოხდება, ამით მარგველაშვილ-„ოცნების“ უთანხმოება სერიოზულ ომში ხომ არ გადაიზრდება?**

- ვერ გეტყვით, თუ რა ნაბიჯს გადადგამს ბატონი პრეზიდენტი, თუმცა მას შემდეგ, რაც გააკეთა, სააკაშვილი საქართველოს თუნდაც ორმაგ მოქალაქეობას აღარ იმსახურებს!

**- ხომ არ დაუშვა ხელისუფლებამ შეცდომა, როცა სააკაშვილზე ინტერპოლით ძებნა თავიდანვე არ გამოაცხადა?**

- რას ნიშნავს თავიდანვე? ყველაფერს თავისი კანონიერი პროცედურები აქვს. ჩვენი პროკურატურაც სწორედ პროცედურებსა და კანონს მიჰყვება. ვნახოთ, რა შედეგები დადგება.

**- გამორიცხავთ, რომ სხვა ძებნილებმაც, მაგალითად, ზურაბ ადეიშვილმაც მიიღოს უკრაინის მოქალაქეობა და ამით ქართულ მართლმსაჯულებას თავი დააღწიოს?**

- სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება ავტომატურად მართლმსაჯულებისაგან თავის დაღწევას არ ნიშნავს. ამ შემთხვევაში, საქმე სხვა პროცედურებსა და ნაბიჯებთან გვექნება.

**- პოროშენკოს მხრიდან სააკაშვილის აღზევება რითი აიხსნება?**

- უფრო იმ აზრისაკენ ვიხრები, რომ ეს გლობალური პოლიტიკური თამაშის ნაწილია და სააკაშვილი უკრაინაში საკუთარ რესურსს მალე ამოწურავს.

**- ზოგის აზრით, მიშას ოდესის გუბერნატორობა იმას ნიშნავს, რომ ოდესა რუსების გახდება. ბატონო თემო, თქვენ რას იტყვით?**

- ჩვენი გამოცდილების გათვალისწინებით, გეთანხმებით, რომ ამის დიდი ალბათობა არსებობს.

**- ისე, როგორ ფიქრობთ, სააკაშვილს დაჭერის ეშინია?**

- ძალიან და თუ მისი ფსიქოტიპის გათვალისწინებით ვიმსჯელებთ, დარწმუნებული ვარ, შიშის პანიკური შეტევებიც ემართება - მედიცინაში ასეთი გამოცდილება არსებობს...

**- ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, როგორ ფიქრობთ, კოჰაბიტაცია „ოცნების“ მთავარი შეცდომა ხომ არაა?**

- კოჰაბიტაციაც უფრო ხელოვნურად შექმნილ თემას ჰგავს, „ოცნებამ“, იმ დღიდან, როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდა, სააკაშვილის შეცდომების გამოსწორება და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყო. გარკვეულმა ძალებმა კი, სწორედ მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პროცედურების „კოჰაბიტაციად“ წარმოჩენა მოისურვეს და ეს გარკვეულწილად გამოუვიდათ კიდეც...

„კვირა.გე“

სტოპკადრი

# თინა ხიდაშელი: „რომ ვარსებობთ, ეს უკვე პრობლემაა რუსეთისთვის!“

**„მიზანმიმართულად უნდა ვიმოძრაოთ, იმისგან დამოუკიდებლად, როდის, რომელ დღეს, რა ინიციატივით გამოვა ვლადიმერ პუტინი,“ — ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, თინა ხიდაშელმა ნატო-ს გენერალურ მდივანთნ შეხვედრის შემდეგ განაცხადა.**

ხიდაშელის თქმით, მნიშვნელობა არ აქვს, ამ ზაფხულს გაიხსნება ნატო-ს საწვრთნელი ცენტრი საქართველოში თუ არა, „ფაქტები ადასტურებს ერთადერთ რამეს, რომ ვარსებობთ, ეს უკვე პრობლემაა რუსეთისთვის“.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციის გზაზე, შეიძლება, კიდევ ბევრი სხვა ამბავი მოიფიქროს რუსეთის პრეზიდენტმა, რომ გააჩინოს და გაზარდოს საფრთხის განცდა და შექმნას გარემო, რომელიც ხელის შემშლელი იქნება ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციისთვის.

„მთავარი, რაც მუდმივად უნდა გვახსოვდეს ამ გზაზე, როგორც კი ამ თემებზე მსჯელობებს დავიწყებთ, არის ის რეალობა, რომელშიც 25 წლის განმავლობაში ვართ. არც ნატო და არც ნატო-ს საწვრთნელი ცენტრი არ არსებობდა საქართველოში და საერთოდ არანაირი ურთიერთობა ნატო-სააქართველოს შორის არ არსებობდა 1990 წელს, როდესაც ცხინვალში დაიწყო ომი. არც 1991-92 წლებში, როდესაც აფხაზეთში მიმდინარეობდა ომის ცხელი ფაზა. არც 1994 წელს, იმავე აფხაზეთში ომის დროს. ამიტომ, თავისთავად, ის ფაქტი, რომ საქართველომ აირჩია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ფორმირების გზა, უკვე არის იმის მიზეზი რუსეთისთვის, რომ იყოს გაღიზიანებული და იყოს მომართული და აწყობილი იმაზე, რომ პრობლემა შეგვიქმნას. ჩვენი არჩევანი ასეთია, ეს არჩევანი არ გადის იმაზე, რა პაკეტს მივიღებთ უელსის სამიტზე, ან ვარშავის სამიტზე. ეს არჩევანი გაცილებით უფრო ფუნდამენტურ საკითხზე გადის. გვინდა, ვიყოთ თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო, სუვერენული ქვეყანა, რომელიც თავად წყვეტს საკუთარ ბედს და მომავალს. თავად აკეთებს არჩევანს თავის სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებით“, — აღნიშნა ხიდაშელმა.

თავდაცვის მინისტრის თქმით, ამ კითხვაზე პასუხი თუ დადებითია, მაშინ „ჩვენ სისტემურად, მიზანმიმართულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, აბსოლუტური თავდადებით, მაღალი პროფესიონალიზმით და მაღალი გულწრფელობით უნდა მივდიოთ ამ გზას და მივიყვანოთ იგი ლოგიკურ დასასრულამდე, რაც საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანებით დასრულდება“.

„ინტერპრესნიუსი“

№ 22 (286)
3 – 9 ივნისი 2015

ქართული სიტყვა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პოლიტიკა

# „ევროპაში მიშას პუტინის „სასარგებლო იდიოტს“ ეძახიან!“

**არასამთავრობო ორგანიზაცია „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე ამბობს, რომ საქართველოს სახელმწიფოში მართვის სისტემაა შესაცვლელი. როგორ განვითარდა სააკაშვილის მიერ დამკვიდრებული მერიტოკრატია, რომელ სამინისტროებზე უნდა ვთქვათ უარი, რას ფიქრობს ყოფილი პრეზიდენტის ოდესის გუბერნატორად დანიშვნაზე და მიიჩნევს თუ არა რუსეთს ოკუპანტად საფრანგეთის ეროვნული ღირსების ორდენის კავალერი? — „ქართული სიტყვა“ პეტრე მამრაძეს ესაუბრა:**



**პეტრე მამრაძე ფილმ „9+1“–ის კონსულტანტად მუშაობს?**

**„სააკაშვილმა საქართველოში დარჩენილ „ნაცებზე“ გავლენა დაკარგა. ამასთან, დარწმუნდა, რომ „ნაცებს“ ამ ეტაპზე არავითარი პოლიტიკური პერსპექტივა არ აქვთ. სწორედ ამიტომ, „ნაცებიდან“ გასული „შესანიშნავი ოთხეული“ არ გააკრიტიკა და სრულიად ნეიტრალური კომენტარით შემოიფარგლა“.**

— დასავლეთში, პოლიტოლოგები სააკაშვილს ხშირად პუტინის „სასარგებლო იდიოტს“ უწოდებენ. საერთოდ, ეს დამკვიდრებული ტერმინია და ასე გავლენის ისეთ აგენტებს ეძახიან, რომლებიც თვითონ ვერ ხვდებიან, რომ სწორედ იმ ძალას ემსახურებიან, რომელსაც თავის ჭკუაში, ებრძვიან. პუტინის „სასარგებლო იდიოტმა“ სააკაშვილმა ოდესის ოლქის ადმინისტრაციის უფროსად ყოფნისას, ცხადია, შეიძლება, დიდი ზიანი მიაყენოს ოდესის ოლქს და მთელ უკრაინასაც. ისე, საინტერესოა, რატომ დასთანხმდა ამ თანამდებობას. ვინ იცის, სააკაშვილი პოროშენკოს შეეხვეწა კიდეც, დამნიშნეო... ვფიქრობ, ეს ორი მიზეზით გააკეთა: ჯერ ერთი, საქართველოში დარჩენილ „ნაცებზე“ გავლენა დაკარგა. ამასთან, დარწმუნდა, რომ „ნაცებს“ ამ ეტაპზე არავითარი პოლიტიკური პერსპექტივა არ აქვთ (სწორედ ამიტომ, „ნაცებიდან“ გასული „შესანიშნავი ოთხეული“ არ გააკრიტიკა და სრულიად ნეიტრალური კომენტარით შემოიფარგლა).

მეორე მიზეზი კი ისაა, რომ სააკაშვილს ციხეში მოხვედრის აკვიატებული შიში აქვს. გაიხსენეთ, როგორ ლაპარაკობდა, რომ საქართველოში „მატროსოვის 6 კვმ–იან საკანში“ მოუწევს ჯდომა. სააკაშვილს კარგად ვიცნობ და ეჭვი არ მეპარება, რომ ეს პერსპექტივა კოშმარულ სიზმრად ექცა. ყველაზე კარგად მან იცის, თუ რამდენი და როგორი სიმძიმის დანაშაული აქვს ჩადენილი და ამ ჩადენილის ნაწილიც რომ დაუმტკიცდეს, უვადო პატიმრობა არ ასცდება. სააკაშვილმა ისიც იცის, რომ დააპატიმრებენ თუ არა, ყველაფერს ტირილით დაფქავს. აი, ამ ფონზე, ჰგონია, რომ უკრაინის მოქალაქეობა საქართველოში ექსტრადიციისგან საიმედოდ იცავს. იმას კი ვერ ხვდება, საქართველოდან, რომ ივანიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, გაასწრო, მაგრამ უკრაინიდან გაქცევა შეიძლება, ვეღარ შეძლოს.

...სააკაშვილის სადისტური რეჟიმის დროს შექმნილი სისტემის მავნე ზემოქმედება დღემდე გრძელდება. დავიწყოთ იქედან, რომ საქართველოს მთავრობას, პრემიერის ჩათვლით, ოცი მინისტრი ჰყავს და ეს მაშინ, როცა ქვეყანაში სამი მილიონ შვიდასი ათასი ადამიანია დარჩენილი. ჩვენზე გაცილებით დიდი ტერიტორიების მფლობელ და უფრო განვითარებულ ქვეყნებში კი, 13-14 სამინისტრო ფუნქციონირებს.

**— ბატონო პეტრე, თქვენი ნება რომ იყოს, რომელი მინისტრის პოსტს გააუქმებდით?**

— ყველა სახელმწიფო მინისტრის პოსტი გასაუქმებელია. ამ აპარატებს მიხეილ სააკაშვილი საკუთარი ძალაუფლების მხარდასაჭერად ხელოვნურად ქმნიდა. ბიუროკრატიული კლასი მასზე იყო დამოკიდებული და მართვაც უადვილდებოდა. ეს, სააკაშვილის გაგებით, მერიტოკრატია იყო.

**— მერიტოკრატია რას ნიშნავს?**

— ესაა სისტემა, როცა ყოველი ადამიანი ფასდება და სამართლიანი კონკურენციის პირობებში, სამსახურეობრივად დაწინაურდება, მაგრამ სააკაშვილის მიერ დამკვიდრებული რეალობა სხვანაირი იყო — ბრძანებას, როგორც წესი, ზეპირად გასცემდა. მისი ნებისმიერი დავალება, რაოდენ დანაშაულებრივი და უკანონოც უნდა ყოფილიყო, შემსრულებელთ უფასდებოდათ, რაც მაღალ ხელფასებში, პრემიებში, ძვირადღირებულ ჯიპებსა და ოჯახის წევრებისთვის ბიზნესწილების გადაცემაში გამოიხატებოდა. ვიმეორებ, ბრძანებები ზეპირად გაიცემოდა, ამიტომაც უჭირთ „ნაცებთან“ შეკრულ უნიათო „ქოცებს“ გამოძიებების წარმოება და დამნაშავეთა დასჯა. დაპირებული სამართლიანობის აღდგენაც არ მოხერხდა. სააკაშვილის დროს ყველა დანაშაულებრივ ქმედებას „ტროიკა“ წყვეტდა. ისე, სიტყვა „ტროიკა“ უკვე საერთაშორისოა.

**— „ტროიკის“ წევრები ვინ იყვნენ?**

— სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი. დანაშაულებრივ ზეპირ ბრძანებებს სწორედ ისინი გასცემდნენ.

**— გინდათ თქვათ, რომ დღეს ისევ სააკაშვილის მიერ შექმნილი სისტემა მოქმედებს?**

— ბიძინა ივანიშვილის წყალობით, ბევრი რამ შეიცვალა — ხალხს აღარ აწამებენ, საკუთრების უფლების მასობრივი შელახვის ფაქტებიც აღარ ფიქსირდება. ღამღამობით ერთი და იგივე ნოტარიუსთან ქონების ჩუქება აღარ ხდება.

**— მართვის სისტემაში რა შეიცვალა?**

— აქ კი, დღევანდელი ხელისუფლება მოიკოჭლებს. მიმაჩნია, რომ ყველა სახელმწიფო მინისტრის პოსტი უნდა გაუქმდეს. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო სააკაშვილმა სპეციალურად თავისი ერთგული თანაპარტიელის, შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორის, ლადო ვარძელაშვილისთვის შექმნა... ყველა უმაქნისი სამინისტრო, რომელიც ქვეყანას ხარჯად აწევს, გასაუქმებელია, მათ შორის დიასპორის სახელმწიფო მინისტრის აპარატი და ზოგიერთი სხვაც.

**— ბატონო პეტრე, რა ამის პასუხია და, როგორც გავიგე, ფილმ „9+1“–ის კონსულტანტი ხართ, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ინციატივით უნდა გადაიღონ...**

— ბატონ გოგა ხაინდრავასთან მქონდა რამდენიმე შეხვედრა, ვიხსენებდით ფაქტებს, სულ ეს იყო.

**— გადაცემა „20/30“-ს უყურებთ?**

— სიმართლე გითხრათ, ქართულ ტელევიზიებს არ ვუყურებ, ახალ ამბებს მხოლოდ ელექტრონული მედიით ვიგებ და ეს დროის დიდ ეკონომიას მაძლევს. ერთხელ, ბატონ ბიძინასთან ვრცელი ინტერვიუ ვნახე, რომელიც სწორედ ამ გადაცემას მისცა.

**— რიგის სამიტის შედეგები და საქართველო...**

— ამ სამიტზე მედიაში დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი, რასაც „პროვინციულ წუმპეში“ ატეხილ აჟიოტაჟს დავარქმევდი. ჩვენი რეალისტურად განწყობილი მოსახლეობა არ დაინტერესდა, ვინაიდან ამ სამიტისაგან არაფერს ელოდა. ჩართავდი ტელევიზორს და ისმოდა შეკითხვა: მოგვცემენ თუ არა ვიზალიბერალიზაციის რეჟიმს? რიგის სამიტზე, რა თქმა უნდა, არ მოგვცეს და თავიდანვეც ცხადი იყო, რომ ასე მოხდებოდა. სხვათა შორის, ამის შესახებ საერთაშორისო მედია წინასწარ ინფორმაციას აქვეყნებდა.

**— რას უნდა ველოდოთ?**

— სრულიად გაურკვეველია, რა მოხდება, რადგან თავად ევროპულ გაერთიანებას სერიოზული პრობლემები აქვს. ბრიტანეთის ხელისუფლება უკვე ღიად საუბრობს, ბრიტანეთმა ევროგაერთიანების წევრად დარჩენაზე რეფერენდუმი ჩაატაროს თუ არა. საერთო ვალუტამ ევროპის ქვეყნები ვერ გააერთიანა. ეკონომიკურ კრიზისში მყოფმა საბერძნეთმა, დახმარების სახით, 200 მილიარდ ევროზე მეტი მიიღო, მაგრამ ვალებს ვერ იხდის. ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი და სხვა ექსპერტები ამტკიცებენ, საბერძნეთს საკუთარი ვალუტა რომ ჰქონოდა, ამ დღეში არ იქნებოდაო. საერთო ვალუტა საერთო ფისკალური პოლიტიკის გარეშე არ არსებობს. შეგახსენებთ, თუ როგორი ზარზეიმით და „შალახოს“ თანხლებით მოვაწერეთ ხელი ევროგაერთიანებასთან თავისუფალი ყოვლისმომცველი ვაჭრობის თაობაზე ასოცირების ხელშეკრულებას.

**— ამ პროცესში ქვეყნისთვის მიუღებელი რა არის, ბატონო პეტრე?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ თბილისში აკრედიტებული ევროგაერთიანების წარმომადგენლები ხარხარებდნენ, როცა ღია ეთერში საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერის ბიჭურ, ბავშვურ კამათს ისმენდნენ, ხელი არა მე უნდა მოვაწერო, არა — მეო.

**— თქვენი შეხედულებით, ხელი ვის უნდა მოეწერა?**

— საქართველოს კონსტიტუციით, ამას მთავრობა წყვეტს და პრეზიდენტმა ხელი შეიძლება, მაშინ მოაწეროს, თუ მთავრობა გადაწყვეტს. ისე, ამ ხელშეკრულებაზე ხელი ბარემ ოცდაათ ქვეყანას აქვს მოწერილი, მათ შორის, სირიას, სადაც ვიცით, რაც ხდება. ამ ხელშეკრულების ხელმომწერი ქვეყანა ეკონომიკისა და სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების თვალსაზრისით, შესაბამისი განვითარების დონეზე უნდა იყოს. ჩვენი მეგობარი ისრაელი, ებრაელი ექსპერტების შეფასებით, მსგავსი ხელშეკრულებიდან, სულ ცოტა, 15 მილიარდი დოლარის სუფთა მოგებას ნახულობს. ირაკლი ღარიბაშვილმა კი რეალისტური ფრაზა თქვა, მუხლჩაუხრელად ვიშრომებთ ხელშეკრულების მუხლების შესასრულებლადო, მაგრამ ხელისუფლებამ დროული ნაბიჯები არ გადადგა. ექსპერტ ლევან ბოძაშვილის აზრით, ევროგაერთიანებასთან ასოცირების ხელშეკრულების რამდენიმე მუხლი ჯობს, შეჩერდეს, რადგან ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, საქართველო ყოველ წელს მილიონობით ზარალს მიიღებს. ეს ჩვენი უნიათო, არაპროფესიონალურად მოქმედი მთავრობის შედეგია, რომელიც ძვირადღირებულ ჯიპებსა და 13-ათასიან ტელეფონებზეა ორიენტირებული.

გაგრძელება მე-11 გვ.

**„სააკაშვილის მიერ დამკვიდრებული რეალობა სხვანაირი იყო — ბრძანებას, როგორც წესი, ზეპირად გასცემდა. მისი ნებისმიერი დავალება, რაოდენ დანაშაულებრივი და უკანონოც უნდა ყოფილიყო, შემსრულებელთ უფასდებოდათ, რაც მაღალ ხელფასებში, პრემიებში, ძვირადღირებულ ჯიპებსა და ოჯახის წევრებისთვის ბიზნესწილების გადაცემაში გამოიხატებოდა. ვიმეორებ, ბრძანებები ზეპირად გაიცემოდა, ამიტომაც უჭირთ „ნაცებთან“ შეკრულ უნიათო „ქოცებს“ გამოძიებების წარმოება და დამნაშავეთა დასჯა. დაპირებული სამართლიანობის აღდგენაც არ მოხერხდა. სააკაშვილის დროს ყველა დანაშაულებრივ ქმედებას „ტროიკა“ წყვეტდა. სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი დანაშაულებრივ ზეპირ ბრძანებებს გასცემდნენ“.**

## პოლიტიკა

მე-10 გვერდიდან

ისე, ყველაფერი ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან საქართველოში პოლიტიკური სპექტრი არ არსებობს. ქართულ პოლიტიკას პოლიტიკური პარტიები კი არა, დაჯგუფებები ქმნიან, რომელთა მიზანია, ხელისუფლება შეინარჩუნონ, ფინანსურ–ეკონომიკურ სფეროებზე წვდომა ჰქონდეთ და ბუნებრივ რესურსებზე განახორციელონ კონტროლი. პარლამენტარებისგან ბევრჯერ მომისმენია, თუ აქ არ ხარ, დიდ ფულზე ვერ გახვალო. მაჟორიტარებს კი „მილიონერთა კლუბის“ წევრებად მოიხსენიებენ.

**— მაჟორიტარული სისტემის რეფორმა დაიწყო...**

— ვნახოთ, რა იქნება. პოლიტიკოსი კი არა, „პოლიტიკანი“ ხალხს ბევრ რამეს ჰპირდება, სინამდვილეში, გულში დიდ ფულზე წვდომა უდევს. უცხოეთში ბიზნესმენებს პარლამენტში ვერ შეიყვან, ჩვენთან სხვა ვითარებაა — ბიზნესმენი პარლამენტის გარედან საკუთარ ბიზნესს ვერც დაიცავს და ვერც განავითარებს. ვიდრე ქვეყანაში პატრონ–კლიენტური დამოკიდებულებაა, სამოქალაქო საზოგადოება ვერ ჩამოყალიბდება. არჩევნების წინ ბიძინა ივანიშვილი ამბობდა, ოცი წელია, საქართველო მანკიერ წრეზე დადის და ეს წრე უნდა გავარღვიოთო. ამ მიზნით საზოგადოება „მოქალაქე“ ჩამოაყალიბა.

**— ისე, ივანიშვილის მიერ მოყვანილი პარლამენტიც ხომ მანკიერი წრეა.**

— „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“. ჩვენი მოსახლეობა იმ კოკის შიგთავსია, საიდანაც მეოთხედი საუკუნეა, ერთი და იგივე საუბარი გადმოდის, ჩვენი ბედი სხვაგან წყდება, ვაშინგტონში, ან მოსკოვშიო. ამ ტყუილის ბევრს სჯერა, ბევრსაც აწყობს.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ პირადი პასუხისმგებლობა აიცილოს. აბა, ვინ შედის იმ 97 პროცენტში, ვინც ხმა სააკაშვილს მისცა? ეს ხომ აშშ–ს დახმარების გარეშე მოხდა. „ვარდების რევოლუციის“ წინ, აშშ–ს ელჩი, რიჩარდ მაილსი ლიდერებს კატეგორიულად აფრთხილებდა, რომ მათი ზეწოლა შევარდნაძეზე უკანონო იყო და თუკი შევარდნაძე ვადაზე ადრე გადადგებოდა, ამით „ნაცმოძრაობის“ ლიდერები ორ რამეს მიაღწევდნენ: ქვეყანას რთული მდგომარეობა შეექმნებოდა და რევოლუციის მეთაურები კარიერას შევარდნაძეზე გაცილებით უარესად დაასრულებდნენ.

**— ასეც მოხდა...**

— დღესაც არასახარბიელო პროცესები მიდის. კოალიცია „ქართული ოცნება“, რომელსაც ბოლოს „ქოციონალები“ შეარქვეს და „ნაცმოძრაობა“ ერთგვარ ტანდემში არიან. თავიდანვე აშკარა იყო, რომ „ქოცების“ ნაწილს მოწინააღმდეგე ძალაში უფრო ბევრი ახლო ადამიანი ჰყავდა, ვიდრე - თავისიანებში. ხალხისთვის დაპირებული სამართლიანობის აღდგენაზე არც უფიქრიათ. კოალიციის პოლიტიკური ლიდერები თავის დროზე ერთმანეთს დედას აგინებდნენ, რაც მთელმა მოსახლეობამ საკუთარი ყურით მოისმინა. პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს იმედგაცრუებულმა ბიძინა ივანიშვილმა „აბსურდში ჩარჩენილი“ უწოდა.

**— ბატონო პეტრე, „ოცნება“ მოსახლეობას, სამართლიანობის აღდგენის პარალელურად, პრემიერ ზურაბ ჟვანიას ბურუსით მოცული გარდაცვალების სიმართლის თქმასაც ჰპირდებოდა... აცხადებთ, რომ მკვლელობის ვერსიის არ გჯერათ...**

— დიახ, განვაცხადე, არ მაქვს საფუძველი, მქონდეს ეჭვი, რომ ეს მკვლელობა იყომეთქი.

**— იმედი გაქვთ, რომ გამოძიება ოდესმე დასრულდება?**

— არა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ექსპერტი ლევან ჩაჩუა, ავადმყოფი კაცი თვეების განმავლობაში ციხეში ამყოფეს, მერე გაათავისუფლეს და აღმოჩნდა, რომ პროკურატურას უფლება არ ჰქონდა, დაეკავებინა. უცხოელები ეჭვს გამოთქვამდნენ, რომ ექსპერტი ზეწოლის მიზნით დააკავეს.

**— ბატონო პეტრე, „ენ-დი-აი“-სა და „აი-რა-ი“-ს ბოლო კვლევებით, ევრაზიული კავშირის მომხრეთა რიცხვი 31 პროცენტამდე გაიზარდა. არადა, მოსახლეობამ თავის დროზე, რეფერენდუმზე ევროპული არჩევანი გააკეთა, ანუ საქართველოს მოსახლეობის 31% პრორუსია?**



— ჩემი აზრით, საქმე ინფორმაციის ნაკლებობასთან გვაქვს. მოქალაქეებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ნატო-ზე, ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირზე. ამ უკანასკნელის შესახებ ინტერნეტში ინფორმაციას ვერ იპოვით. ბუნებაში ასეთი კავშირი არ არსებობს და ამ თემაზე საუბარი მარაზმს ემსგავსება. შეკითხვა ევრაზიულ კავშირზე ივანიშვილსაც დაუსვეს და შესანიშნავად უპასუხა, რომ ჯერ ავწონ–დავწონოთ, შევისწავლოთ და თუ კარგი აღმოჩნდა, რატომაც არაო?! „ნაცებმა“ და საზოგადოების ნაწილმა, ჩვეულებისამებრ, ივანიშვილის განცხადება კრიტიკულად მიიღეს.

ისევ ზურაბ ჟვანიას გავიხსენებ, რომელმაც ერთხელ, საჯაროდ თქვა, სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკა ხშირად რომელიმე პროვინციული ქალაქის გარეუბნის სამზარეულოში ჭორაობას ჰგავსო. ევროკავშირის შესახებ საიტზე ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი დევს, არაფერია დაფარული, თუმცა აჟიოტაჟი მაინც ატყდა, რომ საქართველო ე.წ. ლგბტ პირების უფლებების დაცვის დოკუმენტს აწერს ხელს. აშშ-ს ყოფილმა ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა, რომელსაც საქართველოში ხუმრობით „რადიკალური ოპოზიციის ლიდერი ვანო ბასიშვილი“ უწოდეს, ერთხელ, აშშ-ში გაკეთებულ მოხსენებაში ქართული საზოგადოების დახასიათებისას თქვა, ჯერჯერობით ესაა საზოგადოება, რომელიც ჭორებს უფრო უჯერებს, ვიდრე — ფაქტებსო.

**— საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის თემა კვლავ აქტუალურია...**

— „ოცნებამ“ თავიდანვე შეცდომა დაუშვა, როცა აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის საკითხი საარჩევნო კამპანიაში ჩართო. გახსოვთ, რა ამბავი ატყდა მეგობარი აზერბაიჯანისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან?! რუსეთმა კი მხრები აიჩეჩა, თუ საქართველოს სურს, აფხაზეთს და ე.წ. სამხრეთ ოსეთს ისე ელაპარაკოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, მე რა შუაში ვარო?!

**— რუსეთ–საქართველოს აგვისტოს ომი თავის დროზე ავანტიურად შეაფასეთ. ამ ავანტიურას გაგრძელება ექნება?**

— 2008 წლის აგვისტოს ომი სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების სამხედრო– პოლიტიკური ავანტიურა გახლდათ, რომელსაც მსოფლიოში ცნობილმა პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა უმწვავესი შეფასებები მისცეს. კოლინ პაუელის სიტყვებით, სააკაშვილმა დენთით სავსე კასრში ანთებული ასანთი ჩააგდო. ლინკოლნ მიტჩელის თქმით კი, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს პუტინს თავისი აგენტი რომ შეეგზავნა სათანადო დავალებით, იმდენს ვერ გაუკეთებდა, რაც სააკაშვილმა საკუთარი ხელით გაუკეთა.

**— ახლა იგივეს უკრაინაში აკეთებს?**

— რა თქმა უნდა. მიხეილ სააკაშვილს ახლოს ვიცნობ და თუკი 2008 წლამდე რუსეთის წისქვილზე წყალს გაუცნობიერებლად ასხამდა, შემდეგ, საქართველოს საზიანოდ და რუსეთის სასარგებლოდ განზრახ მოქმედებდა.

**— რატომ?**

— მიხვდა, რომ რუსეთის გარეშე ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებდა. ამიტომაც გახშირდა ვანო მერაბიშვილის ვიზიტები ყალბი პასპორტებით ქვეყნის გარეთ, სადაც რუსული სპეცსამსახურების თანამშრომლებს ხვდებოდა. ამ შეხვედრებს მოჰყვა სტრატეგიული დანიშნულების, განსაკუთრებით, ენერგოობიექტების რუსეთზე გასხვისება. 2008 წლის დეკემბერში, ფარული გარიგება შედგა ენგურჰესთან დაკავშირებით, რომლის შინაარსიც საქართველოს მოსახლეობისთვის საიდუმლოა. ამიხსენით, როგორ შეიძლება ასეთი ტიპის გარიგება ჩვენი მოქალაქეებისთვის საიდუმლო იყოს, ქვეყნის პირსისხლიანი მტრის, ოკუპანტი პუტინისთვის კი — არა?! ისტორიას წაგებულ–მოგებულ მხარეებს შორის მრავალნაირი შეთანხმება ახსოვს და გასაკვირი არაფერია, მაგრამ როცა ოკუპანტსურიგდები და საკუთარ ხალხს ამას უმალავ, ეს სამშობლოს ღალატია.

საქართველოს ნაწილი რუსეთს „კა–გე–ბე“–ს ჯარების ეფრეიტორმა, მიხეილ სააკაშვილმა ლანგრით მიართვა. ამ ეფრეიტორს პოლკოვნიკ ვლადიმერ პუტინის მიმართ კომპლექსები დღესაც არ ასვენებს!

**— ბატონო პეტრე, რა ამის პასუხია და, თქვენს ბიოგრაფიაში საინტერესო პასაჟებია — ფიზიკოსი ხართ და თავის დროზე აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომელი იყავით. ამბობდნენ, რომ ობსერვატორიის ხელმძღვანელი ევგენი ხარაძე უკიდურეს გასაჭირში ცხოვრობდა და შიმშილით გარდაიცვალა...**

— ეს ქართული საზოგადოების ერთ–ერთი მითია. ისე, ამის შესახებ ერთხელ შევარდნაძემაც მკითხა. ბატონი ევგენი მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი გახლდათ — სოროსის სტიპენდიანტი და სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველყოფილი იყო.

**ესაუბრა ნათია გოგიტიძე**

**„დიახ, განვაცხადე, არ მაქვს საფუძველი, მქონდეს ეჭვი, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება მკვლელობა იყო–მეთქი... ექსპერტი ლევან ჩაჩუა, ავადმყოფი კაცი თვეების განმავლობაში ციხეში ამყოფეს, მერე გაათავისუფლეს და აღმოჩნდა, რომ პროკურატურას უფლება არ ჰქონდა, დაეკავებინა. უცხოელები ეჭვს გამოთქვამდნენ, რომ ექსპერტი ზეწოლის მიზნით დააკავეს“.**

№ 22 (286)
3 – 9 ივნისი 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

თემის გაგრძელება

# „პატარკაციშვილი მოკლულია!“

## ყოფილი დეპუტატი სკანდალურ ინფორმაციებს ასაჯაროებს - ვისი დავალებით უთვალთვალებდა სომხეთის უშიშროება ირანში

**უზენაესი საბჭოს ყოფილმა დეპუტატმა, მირიან მირიანაშვილმა, რომლის ინტერვიუც „ქართულ სიტყვაში“ ორი კვირის წინ გამოქვეყნდა და რომელიც თავს „ნაციონალური მოძრაობის“ დამფუძნებლად აცხადებს, თანამშრომლობა შემომთავაზა, საინტერესო ამბებს კიდევ მოგიყვებიო. დავთანხმდი, რაღაც საკითხებს გავშლით და განვავრცობთ-მეთქი. საერთოდ, ადამიანებს რაღაცები ფრაგმენტულად ახსენდებათ და ეს შემთხვევაც ასეთია – ნაცნობ საკითხებში უცნობი ასპექტები და ფაქტები გამოიკვეთა... საუბარი „ნაცმოძრაობიდან“ 4 წევრის წასვლით დავიწყეთ.**



**მირიან მირიანაშვილი:** - ჩემი ცხოვრების 15 წელი ამ პარტიის შექმნა-გაძლიერებას, შემდეგ კი, ბრძოლას შევალიე და კარგად ვიცი, რომ ამ ბანდას მხოლოდ ერთი განმკარგავი, მიხეილ სააკაშვილი ჰყავს. იქ მიშიკოს გარეშე არაფერი ხდება, არავისი აზრი და გადაწყვეტილება არ აინტერესებთ. მიშას თავისი ინფორმატორები ჰყავს და ყველაზე, ვინც მისი ინტერესის სფეროში მოხვდება, კომპრომატებს მათგან იღებს. ამიტომ არ მჯერა, რომ „ნაციონალებს“ შორის რამე იდეური შეუთავსებლობაა. ყველაფერი ეს ბლეფია. მიშა ამას დროდადრო აკეთებს, რათა „ნაცების“ დასუსტების იმიტაცია შექმნას და ოპონენტები მოადუნოს. მაინტერესებს, სად გამქცევია ხაჩიძე, ან კუბლაშვილი, რომელი ერთია ტალეირანი?!. მათ დამოუკიდებლად არაფრის მოფიქრება შეუძლიათ.

**– ერთი ვერსიით, ოთხეული გაერთიანებას საზოგადოება „ივერიასთან“ გეგმავს...**

- „ივერია“ მიშა სააკაშვილის სატელიტური წარმონაქმნია. ამ საზოგადოების შექმნის შესახებ მანამდე ვიცოდი, ვიდრე მიშასგან ვაშაძე გაიგებდა - მომივიდა ინფორმაცია, რომ ეძებდა „სტერილურ“ ადამიანს. სააკაშვილმა გადახედა, გადმოხედა და ვაშაძე აარჩია - მაინც, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრია და იმ კალიბრის ფიგურა, ასეთი საქმე რომ ჩაებარებინა, სხვა ვერავინ ნახა. მიშამ ისიც გათვალა, რომ მისი სატელიტი დასავლეთთან კარგ ურთიერთობაში მყოფი პიროვნება უნდა ყოფილიყო, რათა არჩევნებზე მეტი შანსი ჰქონოდა.

„ნაცმოძრაობიდან“ წასულ კვარტეტს უნდოდა, რაღაც კავშირი „ოცნებასთანაც“ დაემყარებინათ, თუმცა დეტალურად არ ვიცი, რა მოხდა. მოკლედ ვიტყვი, რომ ყველაფერი ეს მიშიკოს მოგონილია და მის გარეშე არაფერი ხდება.

**– ისევ კომპრომატები ახსენეთ, იქნებ, თქვათ, მიშას ვისზე და რა სახის კომპრომატები აქვს?**

- მთელი მისი გარემოცვა კომპრომატებზე „ზის“. როცა მიშა ხელისუფლებიდან წავიდა, პარტიაში ისეთი არავინ იყო, ვისაც თამაში დამოუკიდებლად შეეძლო.

**– ბატონო მირიან, შეკითხვას გიმეორებთ: სააკაშვილს ვისზე და რა სახის კომპრომატები აქვს?**

- ეს კომპრომატები პირადი ცხოვრების ამსახველ დეტალებს ეხება. ძირითადად, სექსუალური ხასიათის მასალებია. ჩვენი უშიშროების მთავარი ფუნქცია, 9 წლის განმავლობაში, კომპრომატების მოძიება იყო. ამას დაემატა მიშას გარშემო მყოფი მანდილოსნების კომპრომატები... მიშამ ქალების შესახებ არსებული კომპრომატებით ლამის ბანკი გახსნა, თან ერთი ჰობიც ჰქონდა: ქალი რომ მობეზრდებოდა, თავის ჩინოვნიკებს აიძულებდა, ცოლად მოეყვანათ, ეს მონები კი, უარის თქმასაც ვერ ბედავდნენ, ეს იყო მათი „ლოიალობის“ ტესტი. აი, ამ მეთოდებით დაიმონა გარემოცვა. ამას, შეიძლება, სიამოვნების მიღების მიზნითაც აკეთებდა. საქმე გვქონდა მომზადებულ ავაზაკთან, რომელსაც 30-იანი წლების სსრკ-ს უშიშროების ხერხები ჰქონდა შესწავლილი.

**– მიშაზე ვის ან რა მამხილებელი მასალები აქვს?**

- არ ვიცი, ჟვანიას სეიფში ნაპოვნ კომპრომატებს რა ბედი ეწია. ის სეიფი გამოაცარიელეს და ახლა, კაცმა არ იცის, სადაა. თავის დროზე, როცა ზურა სააკაშვილს „მტენიდა“, მახსოვს, ვუთხარი, რომ გადაგვაგდოს, მერე სად მიდიხარ-მეთქი. ამაზე ზურა სიცილით მოკვდა და მიპასუხა, მაჯის სისქე ჯაჭვით მყავს დაბმულიო.

ისე, კომპრომატებს თავი დავანებოთ და საინტერესოა, მიშასთან დაახლოებული პირების სიკვდილიანობის ლოგიკური ჯაჭვი: ჯერ პატარკაციშვილი მოიშორეს - ჩემი აზრით, ბადრი მოკლულია. საჯაიამაც თავი ზუსტად მაშინ მოიკლა, როცა ეს ჟვანია-სააკაშვილის დუეტს აწყობდა.

**– ამ დუეტს საჯაიას მოცილება რა ხელს აძლევდა?**

- საჯაიას ჟვანია-სააკაშვილზე რაღაც მასალები ჰქონდა!

**– მაინც, რა მასალები?**

- არ ვიცი, მაგრამ საჯაიას სეიფის შიგთავსი მომენტალურად გაქრა, თუ თავს იკლავდა, მაშინ სეიფი რატომ ადარდებდა? რატომ არავინ იძიებს ამ მკვლელობას? ნახონ უშიშროების საბჭოს იმდროინდელი თანამშრომლების სია, ვინ ვისი ცოლი გახდა, ვინ რა თანამდებობაზეა და ყველაფერს მიხვდებიან. ეს მკვლელობა სააკაშვილის საჭიროებასთან სინქრონიზირებული იყო. მიშას უნდოდა, რომ ძალოვანი სტრუქტურები მის ხელში ყოფილიყო და ერთადერთი ხელისშემშლელი საჯაია გახლდათ. ამ მკვლელობის შემდეგ, ყველაფერს სააკაშვილი აკონტროლებდა.

ერთხელ, ჩემი სასამართლოს საქმე კანცელარიაში ერთ ჩინოვნიკს მივუტანე. შემდეგ, ჩემმა ნაცნობმა, რომლის ვინაობასაც ვერ ვიტყვი ამ ადამიანთან საუბრის ჩანაწერი მომასმენინა...

**– ის ჩინოვნიკი, რომელთანაც მიხვედით, ვინ იყო?**

- ვინაობა რომ გავასაჯაროვო, ამ პიროვნების ნებართვა მჭირდება.

**– კანცელარიას ვინ უსმენდა?**

- ხაბურძანიას სტრუქტურა და ჩანაწერებს სააკაშვილის მაგიდაზე დებდა.

ისე, წინა ინტერვიუში არ დაწერეთ, სააკაშვილს პანჩური რომ ამოვარტყი: მიშა პირველი იყო, ვისაც სკოლის მერე მოვარტყი - გამიძალიანდა და მიიღო.

**– ბატონო მირიან, „ნაცებს“ პარტიის წა-**

გაგრძელება მე-13 გვ.



„საჯაიამაც თავი ზუსტად მაშინ მოიკლა, როცა ეს ჟვანია-სააკაშვილის დუეტს აწყობდა... საჯაიას სეიფის შიგთავსი მომენტალურად გაქრა, თუ თავს იკლავდა, მაშინ სეიფი რატომ ადარდებდა? რატომ არავინ იძიებს ამ მკვლელობას? ნახონ უშიშროების საბჭოს იმდროინდელი თანამშრომლების სია, ვინ ვისი ცოლი გახდა, ვინ რა თანამდებობაზეა და ყველაფერს მიხვდებიან. ეს მკვლელობა სააკაშვილის საჭიროებასთან სინქრონიზირებული იყო. მიშას უნდოდა, რომ ძალოვანი სტრუქტურები მის ხელში ყოფილიყო და ერთადერთი ხელისშემშლელი საჯაია გახლდათ. ამ მკვლელობის შემდეგ, ყველაფერს სააკაშვილი აკონტროლებდა“.

## თემის გაგრძელება

„ივერია“ მიშა სააკაშვილის სატელიტური წარმონაქმნია. ამ საზოგადოების შექმნის შესახებ მანამდე ვიცოდი, ვიდრე მიშასგან ვაშაძე გაიგებდა - მომივიდა ინფორმაცია, რომ ეძებდა „სტერილურ“ ადამიანს. სააკაშვილმა გადახედა, გადმოხედა და ვაშაძე აარჩია - მაინც, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრია და იმ კალიბრის ფიგურა, ასეთი საქმე რომ ჩაებარებინა, სხვა ვერავინ ნახა. მიშამ ისიც გათვალა, რომ მისი სატელიტი დასავლეთთან კარგ ურთიერთობაში მყოფი პიროვნება უნდა ყოფილიყო, რათა არჩევნებზე მეტი შანსი ჰქონოდა. „ნაცმოძრაობიდან“ წასულ კვარტეტს უნდოდა, რაღაც კავშირი „ოცნებასთანაც“ დაემყარებინა, თუმცა დეტალურად არ ვიცი, რა მოხდა. მოკლედ ვიტყვი, რომ ყველაფერი ეს მიშიკოს მოგონილია და მის გარეშე არაფერი ხდება“.



მე-12 გვერდიდან

**რთმევას ისევ უპირებთ?**

- ახალ პროკურორს წერილი მივწერე, ერთი ხელმოწერის ექსპერტიზას ვითხოვ და ამით „ნაციონალების“ დასასრულის დასაწყისი დაიწყება.

სააკაშვილის წრემ, ხელისუფლებაში მოსვლით გათამამებულმა, ძალიან ბევრი ბნელი საქმე გააკეთა. ხელმოწერის გამყალბებელი სამხარაული მოკლეს, რომელიც ამ საქმეში მიშას მხარის ადვოკატი იყო. „ვარდების რევოლუციიდან“ გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა საქართველოში დავბრუნდი, სამხარაულზე მითხრეს, „ნაცებთან“ საქმე კარგად ვერ აქვსო. კახეთში ჩასვლას და დალაპარაკებას ვაპირებდი და უცბად მოკლეს. როცა პარტია წამართვეს და სარჩელის დაბრუნების აქტს აყალბებდნენ, ვანოს უთხრეს, ვითომ დედაჩემი იყო „ჩამოსული“, არადა, თვითონ ჩამოჰყვა კარტოფილის „გრუზავიკს“ და ყველა თავისნაირი ჰგონია.

**- ეს რა შუაშია?**

- მოკლედ, ხელმოწერა კოლმეურნისას მიამგვანეს. ამ ხელმოწერის ექსპერტიზას ლონდონის გრაფოლოგიურ ინსტიტუტში გავაკეთებ, მაგრამ დედანს არ მაძლევენ. ბოლოს და ბოლოს, რა გაუხდა ხელისუფლებას ეს საქმე?! ყველანაირი სამხილი მაქვს, რომლითაც „ნაციონალებს“ პარტიას ჩამოვართმევ, თუმცა ვერ ვხვდები, მიშას ხელისბიჭების გარდა, ამ საქმის გაწელვა ვის აწყობს... ესე იგი, მიშას სამართალდამცავ სტრუქტურებში ლობი ჰყავს. „ოცნების“ პერიოდში, როცა პარტიის წართმევა პირველად გავასაჩივრე, მიშამ, ნათესავის პირით, მუქარა შემომითვალა. აი, ასე სწრაფად მუშაობდა მაგის ბნელი სისტემა.

**- მიშა ახლაც ხომ არ გემუქრებათ?**

- კი, უკრაინიდან მითვლის, შენ არ იცი, ვის წინააღმდეგ მიდიხარ და სასჯელს გამოგიტანენო. ისე, მახსოვს, მიშამ თქვა, დედიჩემისა ვჭამე, მირიანს რომ გადავეკიდეო. ეგონა, როგორც ყველა გაუწვა, მეც ისე გავუწვებოდი. „ვარდების რევოლუციის“ მერე შემომითვალა, შენი ხელით გამოიტანე სარჩელიო. ჰოდა, მეც ვუთხარი, დენიკინის ორ-შაურიანში ჩააფურთხე-მეთქი. ერთადერთხელ მივედი მიტინგზე, 2007 წლის ნოემბერში და, როცა შინ დავბრუნდი, ყველაფერი თავზე დამემსხვრა - მეორე სახლის სახურავიდან მესროლეს და ნატყვიარს ახლაც ხელუხლებლად ვინახავ.

**- ვინ გესროლათ?**

- 2007-ში გავარკვევდი? რა თქმა უნდა, ვერ გავარკვიე. ეს გაფრთხილება და დაშინების მცდელობა იყო.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანა დავტოვე და ირანში წავედი, რათა მიშასგან უსაფრთხოდ ვყოფილიყავი. იქ სომხეთის უშიშროება დამყვებოდა და ნეტა, სომხებს ჩემი გადაადგილება რატომ აინტერესებდათ? ერთ-ერთ ფორუმზე, სომხეთის უშიშროების ყოფილ მინისტრს, კარენ შახნაზარიანს ვეკამათე და უცებ, ანერვიულებულმა მითხრა, მიშას თავი დაანებე, ვიცით, სადაც ხარ და ფრთხილად იყავიო...

**- ანუ, საუბარი იქითკენ მიგყავთ, რომ სომხეთის უშიშროება მიშას დავალებით დაგყვებოდათ?**

- ეს არ ვიცი, მაგრამ ვერც იმას ვხვდები, სომხებს რა აინტერესებდათ...

ესაუბრა **დავით გალაშვილი**

## ნოტარიუსი გვაფრთხილებს!

# როგორ მივიღოთ სამკვიდრო მოწმობა

**რა უნდა ვიცოდეთ ჩვენი უფლებების შესახებ, როცა ნოტარიუსთან ვართ? „ქართული სიტყვა“ აგრძელებს რუბრიკას - „ნოტარიუსი გვაფრთხილებს“. ყველა საჭირბოროტო შეკითხვაზე პასუხს „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“ გაგვცემს.**

### სამკვიდრო მოწმობა

იმისთვის, რომ მემკვიდრეობით დანატოვარი ქონების მესაკუთრე გახდეთ, აუცილებელია, ნოტარიუსისგან მიიღოთ სამკვიდრო მოწმობა.

სამკვიდრო მოწმობის მისაღებად უნდა მიმართოთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნებისმიერ ნოტარიუსს მამკვიდრებლის (ქონების მესაკუთრის) გარდაცვალების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში და წარადგინოთ განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ.

ექვსი თვის გასვლის შემდეგ წარდგენილი განცხადების საფუძველზე, სამკვიდრო მოწმობას მიიღებთ მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში:

თუკი რეგისტრირებული ხართ იმავე საცხოვრებელ მისამართზე, სადაც მამკვიდრებელი ცხოვრობდა;

თუ ნოტარიუსს წარუდგენთ მამკვიდრებლის ანაბრის წიგნაკს, მისი კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ პასპორტს, ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ გაცემულ ცნობას ქონების ფლობის შესახებ და კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითარს (გადასახადები გადახდილი უნდა იყოს მამკვიდრებლის საკუთრებაში არსებული ქონების მისამართზე მისი გარდაცვალებიდან 6 თვის განმავლობაში);

თუ გაქვთ დანარჩენი მემკვიდრეების თანხმობა სამკვიდრო მოწმობის მისაღებად განაცხადის წარდგენის კანონით დადგენილი ვადის აღდგენაზე. ოღონდ, დანარჩენ მემკვიდრეებს თვითონ 6 თვის ვადაში უნდა ჰქონდეთ ნოტარიუსთან წარდგენილი განაცხადი.

სხვა შემთხვევაში, თუკი ექვსი თვის განმავლობაში არ შეიტანთ განაცხადს ნოტარიუსთან, უკვე სასამართლოსთვის მიმართვა მოგიწევთ.

სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა, თუ ვადის გადაცილების მიზეზებს საპატიოდ მიიჩნევს.

### სამკვიდრო მოწმობა გაიცემა ექვსი თვის გასვლის შემდეგ

ექვს თვეზე ადრე სამკვიდრო მოწმობას მიიღებთ იმ შემთხვევებში, თუ ნოტარიუსს მოეპოვება ცნობა, რომ თქვენს გარდა, სხვა მემკვიდრეები არ არსებობენ.

ამასთან, შეგიძლიათ უარი თქვათ სამკვიდროს მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში აღარც თქვენ და აღარც თქვენს მემკვიდრეებს შემდგომში სამკვიდროს მიღების მოთხოვნის უფლება აღარ გექნებათ.

**სამკვიდრო მოწმობის მიღების შემდეგ,** ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დარეგისტრირებას ნოტარიუსი თქვენს ნაცვლად უზრუნველყოფს. ამ დამატებით მომსახურებაში საფასურის გადახდა აღარ მოგიწევთ, მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფასურს გადაიხდით.

### ვინ მიიჩნევა მემკვიდრედ

**პირველ რიგში:** გარდაცვლილის შვილები, ნაშვილები, მეუღლე, მშობლები;

შვილიშვილები, მათი შვილები (თუ შვილიშვილი გარდაცვლილია);

მშვილებელი და მისი ნათესავები.

**მეორე რიგში:** გარდაცვლილის დები, ძმები, დისწულები, ძმისწულები, როცა ეს უკანასკნელნი გარდაცვლილნი არიან - მათი შვილები.

**მესამე რიგში:** ბებია და პაპა, როცა ეს უკანასკნელნი გარდაცვლილნი არიან - მათი მშობლები.

**მეოთხე რიგში:** ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები.

**მეხუთე რიგში:** ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, როცა ეს უკანასკნელნი გარდაცვლილნი არიან - მათი შვილები.

### სანოტარო მედიაცია

**რატომ უნდა ვისარგებლოთ სანოტარო მედიაციით?**

სანოტარო მედიაცია საქართველოში 2013 წლიდან ამოქმედდა. ჯერჯერობით, აღნიშნული სერვისით სარგებლობის მხოლოდ რამდენიმე ფაქტი აღინიშნა.

### რა არის სანოტარო მედიაცია

2013 წლიდან ნოტარიუსს მედიატორის ფუნქცია მიენიჭა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეზობლებთან, ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან (ასევე, სხვა ქონებრივი და არაქონებრივი) დავის დროს, შეგიძლია, სასამართლოს ნაცვლად, ნოტარიუსს მიმართო. მედიატორი ნოტარიუსი გეხმარება, რომ პრობლემა მარტივად, კონფიდენციალურად მოაგვარო. ამასთან, ხშირად, მორიგების პროცესი შერიგებითაც სრულდება.

**რა უპირატესობა აქვს სანოტარო მედიაციას**

დავა გვარდება სწრაფად და იაფად - შენ და დავის მეორე მხარეს აღარ გიწევთ სასამართლოში წასვლა, მიდიხართ ნებისმიერ მედიატორ-ნოტარიუსთან, იხდით ნაკლებს (მედიაციის საზღაური ნოტარიუსსა და მხარეებს შორის მოლაპარაკების შედეგად განისაზღვრება);

მედიაცია არის ნებაყოფლობითი და არა იძულებითი პროცესი - ნოტარიუსთან დავის მოსაგვარებლად ყველა მხარე საკუთარი ნებით მიდიხართ, თქვენ არავინ გაიძულებთ მოსალაპარაკებელ მაგიდასთან დაჯდომას;

მედიაციის დროს ნებისმიერი მხარე თანასწორუფლებიანია - მედიატორი-ნოტარიუსი, როგორც მიუკერძოებელი, ობიექტური მრჩეველი, თითოეული თქვენგანის ინტერესს თანაბრად იცავს და შეთანხმების მიღწევაში გეხმარებათ;

კონფიდენციალობა - ნოტარიუსს არ აქვს უფლება, გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის მედიაციის განხორციელებისას გახდა ცნობილი;

მედიაციის დასრულებით კონფლიქტი სრულდება - სანოტარო მედიაცია არა მხოლოდ მორიგების, არამედ შერიგების გარანტიაცაა;

დავის მოგვარების შემდგომ, ნოტარიუსი ადგენს მორიგების აქტს და სანოტარო წესით გიმოწმებს. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია მოდავე მხარეების მოვალეობები. ხოლო თუკი მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ შესრულდა, ნოტარიუსი სააღსრულებო ფურცელსაც გასცემს, რისთვისაც, ასევე, აღარ გჭირდება სასამართლოსთვის მიმართვა.

**როგორ მოვიძიოთ მედიატორი ნოტარიუსების კოორდინატები**

სანოტარო მედიაციას სერტიფიცირებული ნოტარიუსები ახორციელებენ.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებით, ნოტარიუსებმა შესაბამისი მომზადება გაიარეს.

მედიატორი ნოტარიუსების კოორდინატები შეგიძლია, მოიძიო საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებგვერდზე:

www.notary.ge

№ 22 (286)
3 – 9 ივნისი 2015
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

**ხალხი სამართალს ითხოვს!**

# „გვიშველეთ, მოსალოდნელია თავდასხმა!“

## „5 ივლისს სასამართლოს წინ, პროტესტის ნიშნად, ფლეშმობს გავმართავ!“ - ადვოკატი ელზა ჯმუხაძე მთავარ პროკურორთან შეხვედრას ითხოვს

**„გვიშველეთ, მოსალოდნელია თავდასხმა,“ - წერს ადვოკატი ელზა ჯმუხაძე საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე გაგზავნილ საჩივარში, რომელიც სოციალურ ქსელშიც გამოაქვეყნა და რომელშიც საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის თანამშრომლებს აშკარა დანაშაულის დაფარვასა და მტკიცებულებების გაყალბებაში ამხელს. შეკრულია თუ არა საგამოძიებო სტრუქტურებში არსებულ დამნაშავეთა ჯგუფთან საქართველოს მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი, რატომ ალაპარაკდა ადვოკატი მოკვლის საშიშროებაზე და რა სამხილები არსებობს კონკრეტული პერსონების წინააღმდეგ? - გთავაზობთ სკანდალურ ინტერვიუს ადვოკატ ელზა ჯმუხაძესთან.**



**- ქალბატონო ელზა, თქვენი საჩივრის კითხვისას, პირველ რიგში, თვალშისაცემი ისაა, რომ მოსალოდნელ თავდასხმაზე საუბრობთ...**

- დიახ, ჩემს წინააღმდეგ...

**- ვიდრე დეტალებზე გადავალთ, სოციალურ ქსელში დააანონსეთ, რომ საჩივარს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრსაც გაუგზავნიდით. უკვე გაუგზავნეთ?**

- არა, ჯერ ვერ მოვახერხე, მაგრამ წესით, ეს საჩივარი უკვე საქართველოს მთავარი პროკურორის, გიორგი ბადაშვილის მაგიდაზე უნდა იდოს! სხვათა შორის, ყველა საჩივარი გიორგი ბადაშვილის სახელზე დავწერე, მაგრამ მასთან ერთიც არ მისულა.

**- რა იცით, იქნებ, მივიდა?**

- ეჭვი მაქვს, რომ არ მისულა. გიორგი სხარტი გონების ადამიანია - მასთან შეხება მქონდა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა. როცა ერთ-ერთ საგამოძიებო ნაწილში გამომძიებელს თეთრზე ვუმტკიცებდი, თეთრია-მეთქი და არ ესმოდა, გიორგი შემოვიდა, მაშინ იმ ნაწილის უფროსი იყო, ყველაფერი გაიგო და ის საქმეც ბოლომდე პირადად მიიყვანა. ამიტომ, პატივს ვცემ და მისი მჯერა. ეს საჩივარი მის ხელში რომ მოხვედრილიყო, დარწმუნებული ვარ, რეაგირება მოჰყვებოდა, მაგრამ ბექა, იცი, სისტემა როგორ მუშაობს? - შესულ წერილებს პირდაპირ ბადაშვილს ვინ ჩააბარებს?! ვიღაც მდივანმა უნდა გადაანაწილოს და... ჩემი განცხადება ბადაშვილამდე არა და არ მიაქვთ. კანცელარიაში მითხრეს, პირდაპირ მის მისაღებში ვაგზავნით და აღარ ვიცით, შემდეგ რა ხდებაო.

**- საჩივარში წერთ, რომ საქართველოს პროკურატურის გენერალური ინსპექციის თანამშრომლები შეკრულები არიან და აშკარა დანაშაულს მალავენ. ჰოდა, თქვენს საჩივარს ბადაშვილი იქნებ, კითხულობს, მაგრამ ისიც შეკრულია?**

- ამიტომაც, ბადაშვილს პირადად უნდა შევხვდე, გავესაუბრო და თუ კიდევ არ მოჰყვება რეაგირება, მერე, შემეძლება, ვთქვა, რომ ისიც შეკრულია. არ მგონია, გიორგი ბადაშვილმა ის იცოდეს, რაც უნდა ვუთხრა და სწორედ ამიტომ ვწერ, რომ მოსალოდნელია ჩემზე თავდასხმა!

**- თავდასხმას ვისი მხრიდან ელოდებით?**

- მათი მხრიდან, ვინც უნდა ვამხილო!

**- ქალბატონო ელზა, მითხარით, ბოლოს და ბოლოს, ვინ უნდა ამხილოთ?**

- პროკურატურის სისტემაში მოქმედი პროკურორები, რომლებიც სახელმწიფოსა და პირადად გიორგი ბადაშვილს ყელში დანას უსვამენ!

**- კონკრეტულად, რომელი პროკურორები?**

- მათი გვარები არაერთხელ დავაფიქსირე და შედეგად ჩემს ტელეფონზე ჩუმი, უხმო და ამოუცნობი ზარები მივიღე. ვიცი, ასე იწყება...

**- ასეთი ზარები ახლაც გრძელდება?**

- დიახ, გრძელდება. მოგკლავთო, არავინ მეუბნება, მაგრამ დაფარული ნომრებიდან მირეკავენ და... დუმან... ჯერ ვერ ბედავენ, მოკვლით დამემუქრონ. ვამბობ, რომ ჩემი მოკვლით ისინი ვერ გადარჩებიან, პირიქით, უარესს მიიღებენ, რადგან არსებობს ადამიანი, რომელმაც იცის, რა უნდა გააკეთოს, თუკი რაიმეს დამიშავებენ. ის ყველა მტკიცებულებასა და კონკრეტულ ადამიანებს გამოააშკარავებს.

**- იქნებ, იმ ადამიანების ვინაობა, ვინც უნდა ამხილოთ, ერთხელ კიდევ დაასახელოთ...**

- მაგალითად, კონკრეტულად, ადეიშვილის საქმესთან დაკავშირებით გეტყვით. ბექა, ყველას ჰგონია, იმისთვის ვიბრძვი, რომ ვთქვა, ადეიშვილი დამნაშავე არ იყო-მეთქი. ამ კაცს თავი დავანებოთ, განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული და ჩემი საჩივარი იმას არც შეეხება, ადეიშვილს მკვლელობის მცდელობა ჰქონდა თუ არა. ვჩივი, რომ პოლიციელებმა და პროკურორებმა ჩაიდინეს დანაშაული. აი, სახელი და გვარი რომ გინდოდათ, პირდაპირ ვამბობ: გამომძიებელმა უჩა გოგოლაშვილმა გამოსცა დადგენილება და დანიშნა ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზა. სწორედ ამ ექსპერტიზას უნდა დაედასტურებინა, სასიკვდილო ჭრილობები ლევან ადეიშვილის დანით იყო მიყენებული თუ არა. გაგიკვირდებათ და, ამ ექსპერტიზის დასკვნა საქმეში არ არის! როცა საქმეს გავეცანი, პარალელურად, დავწერე საჩივარი პოლიციელების და გამომძიებლების მიერ დანაშაულის დაფარვაზე, მტკიცებულებების გაყალბებასა და უფლებამოსილების გადამეტებაზე. ეს საჩივარი შეეხება, თუნდაც, კონკრეტულად, უჩა გოგოლაშვილს. ის ან დებილი და არაკვალიფიციურია, ან გულგრილია და ასეთი მნიშვნელოვანი ექსპერტიზის პასუხი დაკარგა. ახლა მხოლოდ იმის გამოძიება შეიძლება, ასე რატომ მოიქცა.

**- უჩა გოგოლაშვილის გარდა, კიდევ ვის და რაში ადანაშაულებთ?**

- გოგოლაშვილი გამომძიებელია, რომელსაც ჰყავს საპროცესო ზედამხედველი-პროკურორი. კარგი, ეს გოგოლაშვილი იდიოტია, მაგრამ პროკურორი რას აკეთებს? რატომ არ ეუბნება, ეს ექსპერტიზა რომ დანიშნე, პასუხი სად წავიდაო?! პროკურორს კიდევ ცალკე უფროსი ჰყავს...

**- იქნებ, ყველამ ყველაფერი იცის და ერთ აზრზეა, ანუ ასე ვთქვათ, შეიკრნენ? საქმის პროკურორი ვინ იყო?**

- პროცესებზე პროკურორად ინგა გოგია გამოდიოდა.

მოკლედ, ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზა გამომძიებლის დადგენილებით დაინიშნა, მაგრამ საექსპერტო დაწესებულებიდან მომწერეს, კი დაგვინიშნეს, მაგრამ ჩვენ არ ჩავატარეთო.

**- ესე იგი, გულგრილობა ჩვენ გამოვიჩინეთო?**

- არა, საჭიროდ არ ჩავთვალეთ, კომპლექსური ექსპერტიზის დანარჩენმა ნაწილმა პასუხი ყველაფერს გასცა და აზრი აღარ ჰქონდაო. არადა, როდესაც კომპლექსური ექსპერტიზა ტარდება, რომელშიც 4 სხვადასხვა პროფესიის ექსპერტი მონაწილეობს და რომლის მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილია ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზა, ერთ ექსპერტსაც არ აქვს უფლება, მეორე ექსპერტის დასკვნის შინაარსი იცოდეს. ახლა, ვკითხულობ, საიდან იცოდა ფიზიკო-ტექნიკურმა ექსპერტიზამ დანარჩენი ექსპერტიზების პასუხი? საიდან იცოდა, რა შეკითხვებზე გაიცა პასუხი და რაზე - არა? შენ რა უფლება გაქვს, რომ დანიშნული ექსპერტიზა აღარ ჩაატარო?! ეს პირდაპირ ექსპერტის დანაშაულია! ამ კონკრეტულ ფაქტს რა გამოძიება სჭირდება, როცა თავად ამბობს, მე გადავწყვიტე, არ ჩამეტარებინაო. ამაზეც არავის აქვს რეაქცია.

**- ქალბატონო ელზა, ის საფრთხე, რომელზეც საუბრობთ, შეიძლება, უჩა გოგოლაშვილისგან მოდიოდეს?**

- არ ვიცი, კონკრეტულად უჩასგანაა თუ არა. უჩას ზევით, იცით, კიდევ რამდენია?

**- რამდენი?**

- მთელი არმია.

**- და ის ადამიანები ვინ არიან, რომლებმაც, შეიძლება, თქვენი საჩივარი ბადაშვილამდე არ მიიტანონ?**

- პირობითად რომ ვთქვა, იგივე უჩა გოგოლაშვილისა და ინგა გოგიას ახლობლები.

**- ესე იგი, რა გამოდის: უჩა გოგოლაშვილმა დანაშაული ჩაიდინა, მისმა ზემდგომმაც ბანი მისცა და სოფელიც აშენდა?**

- ასე გამოდის. ახლა, ადეიშვილის საქმეს თავი დავანებოთ და ჩემს ახლანდელ საქმეზე მოგახსენებთ: თამაზ ელიზბარაშვილი, რომელსაც აბრალებდნენ, რომ თავისი შვილის საბრალდებო დასკვნა გააყალბა, ექსპერტები მოისყიდა და მინისტრის მოადგილეს ქრთამი მისცა, ოჯახის წევრებთან ერთად, 2010 წელს დაკავებული იყო. ელიზბარაშვილისა და მისი ოჯახის წევრების საქმე ცალკე წარმოებად დარჩა, მაგრამ ექსპერტების საქმე სხვა არის და ახლა ამაზე მოგახსენებთ: ეს კაცი ყველა ბრალდების ყველა ეპიზოდში პირველი ინსტანციის სასამართლოდან გამართლებული გამოვიდა, ანუ დადგინდა, რომ თამაზს არც მინისტრის მოადგილე მოუსყიდია და არც - ექსპერტები, მაგრამ არის ადამიანი, ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე, მერაბ ქორჩილავა, რომელსაც ელიზბარაშვილმა ვითომ ქრთამი მისცა და რომელსაც შავბნელმა „ნაციონალებმა“ ჩვენება თავის დროზე ძალით დააწერინეს. ახლა ეს კაცი საპროცესოთია გამოშვებული. „ექსპერტების საქმე“ კი მიმდინარეობს. 2010 წელს დაწყებული საქმიდან 5 ივლისს 5 წელი გადის, რომელიც ბოლომდე არცაა მიყვანილი და ვაპირებ, ამ დღეს სასამართლოს წინ ფლეშმობი გავმართო. თუ როგორი იქნება ეს ფლეშმობი, ამას ყველა ნახავს!

**- „ექსპერტების საქმე“ როგორ შეიკრა?**

- ამ საქმესთან დაკავშირებით განაჩენიც მაქვს, ბრალდების მხარედ მთავარი პროკურატურა გამოდიოდა, რომელმაც დაინახა რა, რომ დამარწმუნებელი განაჩენი იყო, აღარც გაასაჩივრა და მეორე ინსტანციამდე საქმე არც მისულა. პროკურატურამ აღიარა, რომ ელიზბარაშვილს ექსპერტები არ მოუსყიდია და ბრალი უკან წაიღო. ესე იგი, საქმის ამ ნაწილში დაგვეთანხმა. ახლა კი, ქალაქის პროკურატურა გამხეცებული მებრძვის, რომ ექსპერტებს ბრალი დაუმტკიცდეთ. არადა, განაჩენი უტყუარად დადგენილია - არანაირ მოსყიდვას ადგილი არ ჰქონია. თუ ფული არავის მიუცია, მაშ, როგორ აიღებდნენ?! ქალაქის პროკურორს, მიხეილ შაყულაშვილს მივწერე, რომ ამ საქმეზე ძალაშია კანონიერად შესული განაჩენი და შენ რაღას მეომები-მეთქი?! არა... მაინც მებრძვიან.

**- მთავარმა პროკურატურამ თუ არ გაასაჩივრა, ვეღარ გავიგე, ქალაქი უკან რატომ არ იხევს, ეხალისება?**

- ბექა, მეც მაგას ვამბობ. მაიმუნობას და ტილების ჩაქუჩით დევნას თავი უნდა დაანებონ და საქმეს მიხედონ, ისედაც იმდენი საქმეა გამოუძიებელი. ამას პროცეზებზეც ვეუბნები და ხმას ვერ იღებენ. ყოველთვის უსაქმურობაში ვადანაშაულებ. ვეუბნები, რომ ეს საქმე ივლის, ივლის და ბოლოს, სტრასბურგამდე მივა, სადაც ისევ სახელმწიფოს მოსთხოვენ, რომ კომპენსაციის სახით, თანხა გადაიხადოს და ეს ისევ სახელმწიფო ბიუჯეტს მოაკლდება-მეთქი, მაგრამ ესეც არ ესმით. პროკურორი იჯდა და თავჩაღუნული მისმენდა. ვერც ვეღარაფერს ამბობენ, უკანაც არ მიაქვთ და რამეს არც ბადაშვილს ეკითხებიან, თორემ ის ეტყოდა, დაამთავრეთო. ამის და იმ ყველაფრის გამო, რაზეც უკვე ვილაპარაკე, მინდა, პირა-

გაგრძელება მე-15 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ქართული იდეა

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

3 – 9 ივნისი 2015 | № 22 (286)



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## ხალხი სამართალს ითხოვს!

დად გიორგი ბადაშვილს შევხვდე.

**– რომ დაურეკოთ, ან სხვა ფორმით დაეკონტაქტოთ?**

– იყო დრო, ჩემს ზარებს პასუხობდა და ველაპარაკებოდი, მაგრამ ახლა ის ნომერი, რომელიც ვიცოდი, აღარ არსებობს და ვერ ვუკავშირდები.

**– საჩივარში ამბობთ, კონკრეტული მტკიცებულებები მაქვსო. რა მტკიცებულებებს გულისხმობთ?**

– მხოლოდ გამომძიებლის დადგენილება, რომლითაც ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზა დაინიშნა და საექსპერტო დაწესებულების პასუხი, საჭიროდ ჩავთვალე და ექსპერტიზა აღარ ჩავატარეო, სავსებით საკმარისია, უჩა გოგოლაშვილისა და საექსპერტო დაწესებულების იმ თანამშრომლების დასაჭერად, რომლებმაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს.

**– ქალბატონო ელზა, ყველაფერ ამას რეაგირება ისევ რომ არ მოჰყვეს, რას გააკეთებთ?**

– კიდევ ვიმეორებ: თუ ბადაშვილთან პირადი კონტაქტის საშუალება არ მომეცა, ვიტყვი, რომ ეს ადამიანი ბლოკირებული, ცუდი მენეჯერი ან შეკრულია. ეს დანაშაულებრივი უმოქმედობაა!

**– კარგი, ქალბატონო ელზა... შეხვედრამდე მითხარით, „ფეისბუქთაღლითებზეც“ უნდა გითხრათ რაღაცო...**

– „ფეისბუქზე“ თაღლითობასთან დაკავშირებით, მართლაც, მინდა, გითხრათ და საზოგადოებას გავაგებინო. თაღლითები „ფეისბუქზე“ ვინმეს მისწერენ ხოლმე, იწყებენ ურთიერთობას, ამ საუბარში იცნობენ ადამიანს, სწავლობენ მის მდგომარეობას, არკვევენ, ვისი ეშინია - ძმის, დედის, მამის თუ ქმრის და შემდეგ, აშანტაჟებენ.

**– უფრო კონკრეტულად მომიყევით...**

– ჩემი ნაცნობის მაგალითზე მოგიყვებით: ისე, თავიდან ჩვეულებრივ იწყება... ან რაიმეს იწონებენ შენს გვერდზე, ან გეუბნებიან, ეს რა კარგი სურათი გააზიარეო და შემდეგ გრძელდება საუბარი... ერთ-ერთ ასეთ მიწერ-მოწერისას იმ თაღლითმა მამაკაცმა ჩემს ნაცნობს ჰკითხა, შენი სურათები რატომ არ გაქვს ატვირთულიო. მანაც უპასუხა, სურათები რომ ავტვირთო, ჩემი ქმარი ხომ გაგიჟდება... შენც ხომ იცი, რამდენი კაცი უშლის ასეთ რამეს თავის ცოლს. ეს სამწუხარო რეალობააო. ერთი სიტყვით, იმ კაცმა ამით გაიგო, რომ ამ ქალს ეჭვიანი ქმარი ჰყავდა.

**– უკაცრავად, საიდან იცით, რომ თაღლითი, მაინც და მაინც, კაცი იყო? თავად ჰქონდა „საკუთარი“ სურათები ატვირთული?**

– მამრობითი სქესი ჰქონდა მითითებული, სურათი საერთოდ არ ედო და დახურული პროფილი ჰქონდა, თუმცა იყო თუ არა ზუსტად კაცი, არ აქვს მნიშვნელობა.

**– განაგრძეთ...**

– შემდეგ, რაღაც-რაღაცებზე რომ ისაუბრეს, ჩემს ნაცნობ ქალს უთხრა, რადგან ასეთი კარგი მოსაუბრე ხარ, შევხვდეთ და ერთმანეთი პირადად გავიცნოთო. ამან, რა თქმა უნდა, უარი უთხრა, ჩემი ქმარი გაგიჟდება და ასეთი ურთიერთობაც საკმარისიაო. „ფეისბუქთაღლითები“ მსხვერპლს არც უხეშად და არც უხამსი სიტყვებით არ ესაუბრებიან. ჰოდა, როცა ამ კაცმა დააფიქსირა, „ჩემი ქმარი გაგიჟდებაო“, უცებ, თავად გაქრა და ამავე პროფილით ასეთი შეტყობინება მოუვიდა ჩემს ნაცნობს: „შე გათახსირებულო, რას მიშვები, ოჯახს მინგრევ?! მე ამ კაცის ცოლი ვარ და შენ განახებ ახლა სეირს!“

არ ვიცი, თავიდანვე ეს ქალი იყო თუ ცოლ-ქმრობა გაითამაშეს, მაგრამ ახლავე გეტყვით, შემდეგ რაც მოხდა: თაღლითები „გავიდნენ“ ამ გოგოზე, დაადგინეს, სად მუშაობდა, დაიწყეს მასთან სამსახურში რეკვა... არ მინდა, ყველაფერი გავშიფრო, რადგან შეიძლება, ქმარი მიხვდეს - ახლაც არაფერი იცის. მოკლედ, თანამშრომლებმაც იცოდნენ, რომ ეჭვიანი ქმარი ჰყავდა.

შემდეგ, ნაცნობმა ქალმა დამირეკა, ყველაფერი მომიყვა და მითხრა, იმ კაცის ცოლს ჩემთან შეხვედრა უნდაო. ჰო, განცხადება ჩემი ნაცნობის წინააღმდეგ პოლიციაშიც შეუტანია, ოჯახს მინგრევსო. ეს ისე ნერვიულობდა, კინაღამ მოკვდა. მივიდა პოლიციაში და დაწერა ჩვენება, რომ არც არავის ოჯახს ანგრევდა და იმ მიწერ-მოწერაშიც ისეთს არაფერს ამბობდა. აღარც მიუწერია იმ კაცისთვის, ბოდიშიც კი მოიხადა, „ფეისბუქიდანაც“ წაშალა, მაგრამ ის ქალი არ ჩერდებოდა... ეუბნებოდა, „ფეისბუქის“ მინაწერები ამოვბეჭდე და შენს ქმარს უნდა ვაჩვენო, თუ პირადად არ შემხვდებიო. საქმე იმაში იყო, რომ ამის ქმარი მართლა გაგიჟდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იქ ისეთი არაფერი იყო.

მოკლედ, ამ გოგომ დამირეკა და მითხრა, მიშველეო.

სისხლის სამართლის კანონში ამას იძულება ჰქვია. რადგან ჩემს ნაცნობს არც თავისი სურათი ჰქონდა ატვირთული და, შესაბამისად, ის ქალიც ვერ ამოიცნობდა, მის მაგივრად შეხვედრაზე მე წავედი... წავიყვანე ჩემი მეგობარი, რომელიც ვითომ ჩემი ქმარი იყო.

მოკლედ, კარგად გავითამაშეთ... მივედით და ვუთხარი, მე ვარ ის ქალი, ოჯახის დანგრევას რომ აბრალებ და ეს ჩემი ქმარია, აჩვენე, ერთი, რისი ჩვენება გინდოდა-მეთქი. მანაც ამობეჭდილი მიწერ-მოწერა ჩემს „ქმარს“ მიაწოდა. ამ უკანასკნელმა წაიკითხა და იმ ქალს მიუტრიალდა, კი, მაგრამ ამაში ცუდს რას ხედავო? მე ჩემს ცოლს ვენდობი, „ფეისბუქზეც“ ბევრი მეგობარი ჰყავს და სტუმრადაც კი დადიან ჩვენთან. ასე რომ, წინააღმდეგი არ ვარ და თუ შენ ხარ, მაშინ შენს ქმარს მიხედეო. ის ქალი დაიბნა და გაშრა. ელოდებოდა, რომ ჩემი „ქმარი“ გაგიჟდებოდა და ყვირილს დაიწყებდა, რადგან ხომ იცოდა, რომ წესით, ეჭვიანი უნდა ყოფილიყო. ჰოდა, რომ გაოგნდა და გაიშიფრა, ვუთხარი, იცი, ვის ელაპარაკები? იმ ქალის ადვოკატი ვარ, შენ რომ შანტაჟი მოუწყვე და გინდოდა, რაღაცის გაკეთება გეიძულებინა, ეს საუბარი ჩაწერილი მაქვს და დედას გიტირებ, აქედან დაიკარგე და აღარ გამოჩნდე-მეთქი.

**– ამით მორჩა?**

– კი, ასე დამთავრდა. უბრალოდ, კიდევ კარგი, რომ ჩემს ნაცნობს ჭკუა ეყო, ჩემი ნომერი იცოდა, დამირეკა და მითხრა, თორემ ვინ იცის, შანტაჟითა და მუქარით რის გაკეთებას მოსთხოვდა ის გამომძალველი... თაღლითობა პროფესიად გადააქცია ხალხმა და ამით დაიწყო ფულის შოვნა.

სხვათა შორის, თაღლითობა ე.წ. ბიზნესგარიგებებშიც ხშირია. ვიღაცას შესთავაზებენ, ჩემს ბიზნესში ფული ჩადე, ვითომ მეგობრები და ძმები ვართ უკვეო, წაიყვანენ, ობიექტს აჩვენებენ, ვითომ მათია და ეტყვიან, სწრაფად დავიწყოთ, რომ მალე ვიშოვოთ ფული, ჩვენს შორის დასამალი რაღა არისო. ხალხიც ემოციურ ნიადაგზე, აქაოდა, ყველაფერი გამოვიდა, გამიმართლა და ბიზნესს ვიწყებო, ანკესზე ეგება.

**– კი, მაგრამ ხომ არსებობს რეესტრი, სადაც ყველა ოფიციალური დოკუმენტი შეგიძლია ნახო და დარწმუნდე, მართალს გეუბნება თუ არა?**

– საქმეც მაგაშია. თაღლითებს მსხვერპლი მაქამდე არ მიჰყავთ. თავგზას უბნევენ, ათას მიზეზს ეუბნებიან, რაღად გვინდა გადამოწმება, აგერ, შენც ხედავ, რაც ხდება, იქნებ, მალე დავიწყოთო. მერე, რესტორანში მიჰყავთ, აქეიფებენ, საქმის დაწყებას აღნიშნავენ და მსხვერპლსაც ოფიციალური მხარე ავიწყდება. ოფიციანტს მოელაპარაკებიან, რომ მოვალთ, ასე და ასე მომმართეო. მსხვერპლიც ხედავს, რომ შემოვიდა ოფიციანტი, გიორგევიჩ, დღეს რა მოგართვათო, კითხულობს და ჰგონია, რომ მისი „ბიზნესპარტნიორი“ საკუთარ რესტორანშია. ნდობა უფრო ულრმავდება და გადამოწმება ავიწყდება.

თაღლითებმა კანონი კარგად იციან და მელასავით იქცევიან. ყოველ მომდევნო ნაბიჯზე „კუდით“ შლიან კვალს. ასე რომ, როცა ჩანაფიქრი გამოუვათ, შემდეგ თითქმის შეუძლებელია, მათი ბრალეულობა დაამტკიცო. მინდა, მივმართო საზოგადოებას: როცა ასეთ რამეს გადააწყდება, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებს, ადვოკატთან გაიაროს კონსულტაცია. ისე, კარგი გამომძიებელი „კუდით“ წაშლილ დანაშაულს ყოველთვის ხვდება.

**– ჩვენ კარგი გამომძიებლები გვყავს?**

– ასეთი ვერ ვიპოვე.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ქალბატონო ელზა... 5 ივლისს ფლეშმობს ველოდები!

**ესაუბრა ბექა ლიბრაძე**

## განათლება

# 161-ე სკოლის დირექტორი ე.წ. სასკოლო ბანკეტების ალტერნატიული იდეით გამოდის

**„მთელი ჩვენი უბედურება, რაც წლების განმავლობაში გვჭირს, პოლიტიკური იქნება თუ სოციალური, გაუნათლებლობასა და უმეცრებიდან მოდის“, - ამბობს 161-ე საჯარო სკოლის დირექტორი მიხეილ მინდაძე, რომელმაც სკოლის გამოსაშვებ საღამოებზე, ანუ ე.წ. ბანკეტებზე ერთგვარი კვლევა ჩაატარა:**

– ისე ნუ გაიგებთ, რომ თითქოს წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ბანკეტის ფორმა მიუღებელია - ყველაფერი რაღაც შეჯიბრში გადაზრდილია, ვინ მეტს გადაიხდის და დახარჯავს. ბანკეტი შესანიშნავია - ბავშვი გარემოს, წესს, სტილს იცვლის, ბავშვობიდან დიდობაში გადადის და სულ სხვა ცხოვრებას იწყებს და ეს, რა თქმა უნდა, აღსანიშნავია, მაგრამ იმ ფორმით, რაც ბანკეტმა მიიღო, აღშფოთებული ვარ.

**– რა ფორმას გულისხმობთ?**

– მაგალითად, ბიჭს ბანკეტი 700-800 ლარი უჯდება.

**– გოგოს?**

– გოგოს, ალბათ, სამჯერ მეტი - მაკიაჟი, კაბა... რესტორნები, იმის ნაცვლად, რომ ბევრი კლიენტი ჰყავთ და ფასი დასწიონ, მომსახურეობას აძვირებენ. არადა, ვაჭრობის კანონია: თუ მოთხოვნა დიდია, ფასი ეცემა. ისეთი რა რესტორანი უნდა იყოს, რომ თითო ადამიანზე 300 ლარი გადაიხადო, თან 300 ლარი ყველაზე დაბალი თანხაა. ქვეყანაში ამდენი გაჭირვებულია და, წარმოიდგინეთ, რამდენს უხდება ვალის აღება იმის გამო, რომ შვილი ბანკეტზე გაუშვას? მშობლისთვის ძალიან ძნელია, რომ ბავშვი მსგავს დღეს გამოაკლდეს.

ბანკეტი ჩემს დროსაც იყო, ოღონდ ასეთი ძვირი არ ჯდებოდა. დღევანდელი

ბანკეტი დიდი ღრეობაა - ბევრი გოჭითა და ღვინით. ბავშვები ბევრს სვამენ, რაც უმეტესობისთვის პირველი მოთელვაა და ცუდად ხდებიან.

სინამდვილეში, ბავშვებს სულ სხვა რამ უნდათ. მივცეთ დარბაზი, მუსიკა და საშუალება, რომ კარგი დრო გაატარონ. სკოლამ უნდა შექმნას რაღაც დღესასწაული, მაგალითად, სკოლის დამთავრების დღეს ჩაიკეტოს ქალაქი - რა მოხდება, ერთი დღე მანქანების ღრიალი რომ არ იყოს? ნუ დავარქმევთ ამ დღეს მინცდამაინც 8 მარტს, ან 7 ნოემბერს. ეს დღესასწაული ფიქსირებული არ იყოს, მაგრამ მოხდეს პოლიციის მობილიზება... ჩვენ სკოლას დარბაზი, ან იმხელა ბუფეტი არ აქვს, რომ ბავშვებს ყველაფერი ეს მოვუწყოთ. ფული ათას რაღაცაში იხარჯება და არ შეიძლება, ამაზეც რომ დაიხარჯოს?

ბავშვები მოდიან, პერანგებსა და წინსაფრებზე ხელს გვაწერინებენ, ცდილობენ, ტრადიცია შეინარჩუნონ, ეს სიმბოლურია. სამაგიეროდ, ატესტატის გადაცემის ტრადიცია მოვსპეთ. გახსოვთ, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ ატესტატს ტაშით და მუსიკით რომ გადასცემენ? ეს ბავშვისთვის დიდი მოვლენაა. ახლა კი, სკოლადამთავრებული ატესტატს რეესტრში იღებს. მესმის, რომ ბიუროკრატია კარგადაა, ასე ვთქვათ, მოგვარებული, მაგრამ საცხოვრებელი ადგილის ცნობა და ატესტატი ერთი და იგივე ხომ არ არის, რომ ორივე რეესტრმა გასცეს?!

**– ბატონო მიხეილ, შარშან, ერთ-ერთმა სკოლის მოსწავლეებმა, ბანკეტისთვის განკუთვნილი თანხა საქველმოქმედო ფონში გადარიცხეს...**

– დიახ, მახსოვს და ამას რა ჯობია, მაგრამ ქველმოქმედება იძულებითი აქტი არაა, ადამიანს ქველმოქმედების სურვილი უნდა ჰქონდეს...

**ესაუბრა სალომე ხუნაშვილი**

## ძველი ამბავი

# „უკნიდან ვიღაცა მომეპარა... მაღალი იყო... ხელი უშნოდ ჰქონდა მოხრილი...“

**1999 წელი რუსთაველებისთვის მტკივნეული და შიშისმომგვრელი იყო - აქაურებს დღემდე ახსოვთ ე.წ. რუსთაველი მანიაკის მიერ ჩადენილი მკვლელობები. ამ თემაზე მოსახლეობა ახლაც დაზაფრული ლაპარაკობს და მშობლები ბავშვებს ისევ აფრთხილებენ, რომ ქუჩაში უცხო ადამიანს ლაპარაკი არ გაუბან... თავის დროზე „რუსთაველ მანიაკად“ სხირტლაძე გამოაცხადეს და დააკავეს, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ის უდანაშაულო იყო და გაათავისუფლეს... 2001 წელს, ამავე ბრალდებით, მარტვილში ვინმე პირტახია დააპატიმრეს. ამბობენ, ბრალდებული დანაშაულს აღიარებდაო, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა... 2012 წელს, რუსთავის მოქალაქეები პანიკამ ისევ მოიცვა - ქალქში მანიაკი ისევ გამოჩნდა...**

**ირაკლი, 26 წლის, რუსთავის მკვიდრი:** - 2012 წლის ზამთარი იყო... ციოდა... შინ მეჩქარებოდა... გზირიშვილის ქუჩაზე ვიყავი, უკნიდან ვიღაცა მომეპარა და... მხოლოდ ის მახსოვს, რომ მაღალი იყო. ხელი რაღაც უშნოდ ჰქონდა მოხრილი, ვფიქრობ, დანა, ან რამე საგანი ეჭირა... შემეშინდა და გავიქეცი... უბანში რომ მოვედი, ბიჭებს ვუთხარი, რაც მოხდა... იმ დროს, ქალაქში მანიაკებზე ლაპარაკობდნენ... არ ვიცი, მანიაკი დამესხა თუ არა, მაგრად შემეშინდა.

**ლელა, 53 წლის, რუსთავის მკვიდრი:** - 1998-1999 წლები იყო... აი, რომ ვიხსენებ, შვილებს გეფიცებით, ახლაც მბურძგლავს... გავიგე, რომ ვიღაცას 13 წლის გოგო ჯერ გაუუპატიურებია, მერე კი, სასტიკად უწამებია და მოუკლავს... გავგიჟდი, რადგან ჩემი ნინიკოც მაშინ 13-14 წლის იყო... სიმშვიდე დამერღვა, ბავშვს გარეთ მარტო აღარ ვუშვებდი, სკოლასთან ველოდებოდი... რაღაც ფობიასავით გამიჩნდა - სულ თან დავყვებოდი. მერე, ვიღაც დაიჭირეს და ეს ამბავიც დავიწყებას მიეცა... მერე, ახალი მანიაკი გამოჩნდა, ეს უკვე 2011-2012 წლები იქნებოდა... მოსვენება კვლავ დავკარგე...

**მარიამი, 21 წლის, რუსთავის მკვიდრი:** - 2012 წელი იყო, აბიტურიენტი ვიყავი, მამა შინ შეშინებული დაბრუნდა და მკაცრად გამაფრთხილა, მარიამ, მასწავლებლიდან რომ გამოხვალ, დამირეკე, მოვალ და წამოგიყვანო. ბავშვობაში კი დედა მაფრთხილებდა ხოლმე, მარიამ, თუ ვინმე სადმე გაყოლას, ან რამის ყიდვას შემოგთავაზებს, არ დასთანხმდე, ქალაქში მანიაკი დადისო.

**ანი, 27 წლის, რუსთავის მკვიდრი:** - იმ საშინელ პერიოდს რა დამავიწყებს - ყველას ოჯახში სრული ქაოსი იყო. წარმოიდგინეთ, 90-იანები, უშუქობა, უწყლოობა, მუშათა ქალაქში მკვლელობა მკვლელობაზე ხდება... ჩემხელა გოგონებს სასტიკად კლავდნენ. 2-3 წლის წინაც თქვეს, რუსთავში მანიაკი დაბრუნდაო და ქუჩაში გვიან გასვლას ვერიდებოდი...

**ზაზა, 47 წლის, რუსთავის მკვიდრი:** - ძალიან კარგად მახსოვს 1999 წელი, მთელი ქალაქი დაშინებული იყო. ისიც ძალიან კარგად მახსოვს, ეზოში კაცები რომ ვისხედით, ბავშვებს ვეუბნებოდით ხოლმე, აქაურობას არ გასცდეთო! ორი გოგო და ერთი ვაჟი მყავს, საღამოს, შინ რომ მივიდოდი, ვაფრთხილებდი, რომ მარტო არსად წასულიყვნენ, არც - მაღაზიაში. ერთი-ორმა ახლახანსაც თქვა, ღამე ვიღაც მომეპარაო, მაგრამ არ ვიცი, რამდენად მართალია...

**მოამზადა სალომე ხუნაშვილმა**

№ 22 (286)
3 – 9 ივნისი 2015
ქართული მწერლობა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

კულტურა

# ვთამაშობთ იბსენს?..

**გაორება რომ ცუდია, შესანიშნავად მესმის, მით უმეტეს, როცა საქმე შემოქმედებითი ნაწარმოების შეფასებას ეხება. ასეთი გაორების მსხვერპლი გავხდი მუსიკისა და დრამის თეატრში თამარ გომართელის მიერ დადგმული ჰ. იბსენის „ჰედა გაბლერის“ ნახვის შემდეგ: ერთის მხრივ, ჩემს წინაშე გათამაშდა წარმოდგენა, სადაც ყოველ პერსონაჟს თავისი ზუსტი ადგილი ჰქონდა მიჩნეული, მსახიობიც, ასევე, ზუსტად და ზედმიწევნით ასრულებდნენ რეჟისორის მიერ მიცემულ დავალებას და, უფრო მეტიც, ყველა მათგანის შესრულება, მართლაც, აღფრთოვანებას იწვევდა ჩემში, მაგრამ... მეორეს მხრივ, იყო თუ არა ეს ჰენრიკ იბსენის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პიესის ავტორისეული კონცეფციის სცენაზე ზუსტად გადმოტანა? - ეს ჩემში ეჭვს დღესაც იწვევს, რაც თავისთავად, გაორების საფუძველია.**

ვეცდები, ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვე და იქნებ, მსჯელობის ლოგიკამ ერთ დასკვნამდე მიმიყვანოს.

„ჰეგა გაბლერს“ იბსენის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია  და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მთავარი მოქმედი პირი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს (როსმერიც თავს „როსმერხოლმში“ იკლავს). ამ ნაწარმოებით იბსენმა შეძლო, ზუსტად აესახა ის განწყობა, რაც იმდროინდელ ევროპაში, მათ შორის, ნორვეგიაშიც, კერძოდ კი, საზოგადოებაში ქალი პიროვნების როლზე სუფევდა. დრამატურგის თითქმის ყველა ნაწარმოებში მამაკაცები, ქალებთან შედარებით, ბრძოლისუნარიანობას მოკლებულნი არიან და მხოლოდ იბსენის პიესების ქალები იბრძვიან ცხოვრების იმ ბურჟუაზიული წესის წინააღმდეგ, რომელიც ინდივიდუალიზმის გამოვლენასა და თავისუფლებისკენ ლტოლვას უპირისპირდებოდა. ეს საფუძვლად ედო თუნდაც რენესანსულ თეატრალურ სისტემას. ამ ორი დაპირისპირების გასაყარზე მდგარი იბსენი ქმნის ახალ დრამატურგიას, მისი ყველა პიესის პერსონაჟები ბურჟუაზიულ გარემოსთან ბრძოლას ხელახლა იმისთვის იწყებენ, რომ საბოლოოდ, სამწუხაროდ, დამარცხდნენ.

ამიტომაცაა, რომ პიესის ყველაზე მთავარი, მძაფრი და არსებითი მეორე მოქმედების დასასრულის ჰედასა და თეას სცენა, რომელიც სამწუხაროდ თ. გომართელის სპექტაკლში იმდენად შეკვეცილია, რომ გამოტოვებულია მთავარი ფრაზა და ამ პიესის ერთ-ერთი დედა-აზრიც, როდესაც ჰედა ამბობს: „მსურს, ერთხელ მაინც ცხოვრებაში ადამიანის ბედი მეპყრას ხელში“. დიახ, ჰედა გაბლერს იმხელა გავლენა ჰქონდა ლევბორგზე, რომ თეათი მისი ჩანაცვლება სრულიად მიუღებელი გახდა. ამიტომაცაა, მის მიმართ ასე მძაფრად განწყობილი.

რეჟისორ თ. გომართელის დადგმა ნამდვილად ნოვატორულად უნდა ჩაითვალოს. მას მაყურებელთან ურთიერთობის ორიგინალური ფორმა შემოაქვს, სადაც ბერტა (ცისია მეტრეველი) კონფერანსიეცაა, მოახლეც და, თუ გნებავთ, სპექტაკლის ინტერაქტიური წამყვანი და შემფასებელიც. გავიხსენოთ თუნდაც მისი ჩართვები: „როგორ თამაშობ? „თავისუფალ თეატრში“ ხომ არ გგონია თავი?“, ან მისი მეოხებით მაყურებელთა ჩართვა ქმედებაში უამრავი სანთებელის ანთებისა და ჩაქრობის მიზნით, ან ის შეგონება, რომ საქართველოში ქალებზე ძალადობას აქვს ადგილი, ან ის, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ნორვეგიას, თურმე, ჰქონია „კულტურის პოლიტიკა“, რაზეც ჩვენ ახალა ვმუშაობთ და ა.შ. და ა.შ.

ბერტას შემდეგ, ასესორი ბრაკისა და ლევბორგის მიკროფონით ასეთი ჩართვები წარმოდგენას საკონცერტო ნომრების იერს აძლევს, თუმცა რეჟისორი წარმოდგენის ერთ ხაზად „შეკვრას“ მაინც ახერხებს.

სცენა შავ ყუთს მოგვაგონებს (სცენოგრაფი ბიძინა ქავთარაძე), პრაქტიკულად, ყოველგვარი დეკორაციის გარეშე, სადაც საქორწილო მოგზაურობიდან დაბრუნებულთა ჯერ კიდევ გაუხსნელი ყუთებია მიმობნეული. ყუთს მხოლოდ ორჯერ გახსნიან და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მისი დახურვით დიდი ხმაური გამოიწვიონ. ძველი როიალი, პატარა მაგიდა სეკრეტერის ფუნქციით, მასზე წყლით სავსე გრაფინი და უშველებელი, აქა-იქ ფანჯარაჩამსხვრეული, ან უფანჯრო შუშაბანდი, რომლის ერთი კარი ბაღში გადის. ბაღიც ბნელია და ავისმომასწავებელი, სადაც  რამდენიმეჯერ საბედისწერო სცენები გათამაშდება.

ქალბატონი იულიანა ტესმანი (ნინო გომართელი) ახალგაზრდა იორგენ ტესმანის გულშემატკივარია, უფრო მეტიც, მის ჩამოყალიბებაში, ოჯახის შექმნასა და სახლის მოწყობაშიც დიდი როლი შეუსრულებია. მზრუნველი მამიდაა, რომელმაც ამ სახლის ხალიჩებით მორთვისთვის ქონებაც კი დააგირავა და, როგორც სპექტაკლის ბოლოს ირკვევა (რეჟისორის ვერსიით), ამ მზრუნველობის საფუძველი მხოლოდ ნათესაური გრძნობები არაა. მისი პირველი, ძალზე ემოციური შემოსვლა გროტესკულია. სახის ასეთი ჰიპერბულირება საინტერესოა, თუმცა ძნელად თუ შეეფერება შინაბერა ნორვეგიელი ქალის წყნარ ბუნებას.

ამ სცენასა და, საერთოდ, სპექტაკლში ხაზგასმულია მძაფრი ტემპერამენტი, ხმაური, ფანჯრების ბრახუნი - დახურვა-გახსნა, როიალის ტრიალი, მასზე ასვლა, ზედ წამოწოლა და დაძინებაც კი სახლში მიმდინარე მოვლენებს თანადროულს ხდის.

გენერალ გაბლერის ოჯახში გაზრდილ ჰედას იარაღი უფრო იტაცებს, ვიდრე - ქალური აქსესუარები და ქუდები. ჰედასთვის მთავარი თავისუფლებაა, რის გამოც ერთხელ უკვე უარი თქვა აილერტ ლევბორგზე და თავიდან იარაღის მუქარით მოიშორა. ტესმანთან შეუღლებაც ამ თავისუფლების ნაწილია, რადგან მასზე თავის უპირატესობას აშკარად გრძნობს. მის ცხოვრებაში ხელახლა შემოჭრილი ლევბორგი და თეა არღვევენ მყუდროებას. ჰედა კვლავ ცდილობს, დაიბრუნოს მათზე ზეგავლენა, მაგრამ გარეშე ძალებისა და ფაქტორების გამო, ისევ ფიასკოს განიცდის. ასესორი ბრაკის გავლენის ქვეშ მოქცეული, რომელიც იმ საიდუმლოებას ფლობს, რაც ჰედას თავისუფლებას შეზღუდავს, მას მიმართავს: „ახლა მთლიანად თქვენს მეუფეობაში ვარ!“

ჰედა თავს იკლავს არა იმიტომ, რომ ლევბორგი დაკარგა, ან იმიტომ, რომ მისი იარაღით თავი ლამაზად ვერ მოიკლა, არა იმიტომ, რომ თეა შეძლებს დამწვარი ხელნაწერის აღდგენას. არამედ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თავისუფლება დაკარგა და სამუდამოდ ასესორი ბრაკის ზეგავლენის ქვეშ ყოფნა აშინებს.





ჰედა (სალომე ჭულუხაძე) მაღალყელიანი ჩექმებით, შორტებითა და გრძელი თეთრი პერანგით, თავზე რქებივით შეკრული კიკინებით, უფრო კოლეჯის თინეიჯერ გოგონას, ან ბიჭუნას მოგვაგონებს, ვიდრე - ფრაუ ტესმანს. მისი ჭირვეული და მკაცრი ხასიათი პირველი ფრაზებიდანვე ვლინდება. მიხვრა-მოხვრაც თავნება გოგონასი აქვს ისევე, როგორც უტაქტო სიტყვები, მიმართული იულიანა ტესმანისადმი. მის ყოველ ქმედებას გულგრილობისა და უინტერესობის კვალი ატყვია. ჩანს, რომ ამ ოჯახში ბედნიერება ძალიან შორსაა. მთელი პირველი მოქმედების განმავლობაში, მისი განწყობა ხშირად იცვლება: ხან დამყოლია და მორჩილი, ხან - მეამბოხე და ჭირვეული, ხან - ცინიკოსი და ბოღმიანი, ხან კი, - შურისძიებით აღსავსე.

განწყობის ასეთი ცვალებადობა იმის მანიშნებელია, რომ ტესმანთან ერთწლიანმა ცხოვრებამ სიყვარული და ბედნიერება ვერ მოუტანა, ვერც სხვა საქმით დაკავდა, ვერც მეუღლის მეცნიერული მოღვაწეობით დაინტერესდა. პროფესორ ტესმანის კარიერა და მაღალი თანამდებობა კი (საქორწინო გარიგების თანახმად), ჰედას სურვილების დაკმაყოფილებისთვის სჭირდებოდა - პირადი მოახლე, საკუთარი ცხენი, ახალი როიალი და თუ ყველაფერ ამაზე უარის თქმა მოუწევს, არ დანებდება და აუცილებლად იბრძოლებს მათ მოსაპოვებლად, თუმცა ამჯერად, ყველაფერს მოკლებულს, ერთი გასართობი დარჩენია: კვლავ მამის, გენერალ გაბლერის მიერ დატოვებული იარაღი, რასაც ძალიან ხშირად პირდაპირი დანიშნულებით იყენებს. ჯერ, ახალგაზრდობაში, მისი სამიზნე ლევბორგი ხდება, მოგვიანებით კი, - ასესორი ბრაკი, რომელიც შემთხვევით გადაურჩება მის ნასროლ ტყვიას.

ჰედა არ უშვებს საკუთარ თავზე სხვის ზემოქმედებას, თვითონ ცდილობს, ყველაზე მაღლა დადგეს და ყველა დაიმორჩილოს: ტესმანი, ლევბორგი, თეა... მხოლოდ ასესორ ბრაკთან აგებს ბრძოლას, რაც მისთვის საბედისწერო ხდება.

ფრაუ თეა ელვსტედთან (ნინო მითაიშვილი) საბრძოლველად კი, სულ სხვა იარაღს იყენებს: ჯერ მზადაა, თმა დააგლიჯოს, როგორც ერთად სწავლის დროს, ან უფრო მეტიც, თმაზე ცეცხლი წაუკიდოს, შემდეგ კი, ერთად ეწევიან სიგარეტს, მაგრად ჩაეხუტება და დიდხანს კოცნის... ტუჩებში. მისი მთავარი ამოცანაა, დაიმორჩილოს თეა, შეურაცხჰყოს და გაანადგუროს. თეაც ვერ უწევს წინააღმდეგობას. იგი სუსტია და სასოწარკვეთილი. ლევბორგში შეყვარებული მხოლოდ მისით და მისი მომავალი წიგნით სულდგმულობს. ამიტომაც, ადვილად ეგება მახეში. ჰედამ ბოლომდე მოიპოვა მასზე ზეგავლენა და მხოლოდ მაშინ, ბოლოსკენ, როცა ჰედა ყველასგან მიტოვებული წინა სასიკვდილო კონვულსიებს განიცდის, თეა მისგან თავისუფლდება...

თეა, ჩაცმულობით და ქცევით, უფრო თანამედროვე შოუ-ბიზნესის წარმომადგენელს, ან „X ფაქტორის“ მონაწილეს უფრო ჰგავს (კოსტიუმების მხატვარი ნინო ჯაში), ვიდრე - ლევბორგის ბედით დამწუხრებულ არცთუ უნიჭო ქალბატონს, რომლის უშუალო დამსახურებაა მეცნიერის მიერ შექმნილი წიგნი, რამაც იორგენ ტესმანი ჯერ აღაფრთოვანა, შემდეგ კი, დაამწუხრა. ხელნაწერი საბედისწერო აღმოჩნდა, როგორც ავტორისთვის, ასევე, ჰედა გაბლერისთვის.

რეჟისორმა ძალიან ორიგინალურად გადაწყვიტა ჰედას და ლევბორგის გამომშვიდობების სცენა, როცა ჰედა ლევბორგს არჩევანს სთავაზობს: ან ხელნაწერი, ან რევოლვერი. ეს სცენა ორიგინალური იმდენადაა, რამდენადაც ასეთი შეთავაზება პიესაში არ არის (ჰედა ხელნაწერს ჯერ მალავს, შემდეგ კი, წვავს).

სპექტაკლის მიხედვით, ლევბორგი თვითონ ამბობს უარს ხელნაწერზე, რისი ლოგიკური გაგრძელებაც თვითმკვლელობაა (არა ისე ლამაზად, როგორც ჰედას სურდა), მაგრამ მაინც...

პიესაც და მუსიკისა და დრამის თეატრის სპექტაკლიც აგებულია მთავარ მოქმედ პირთა სამკუთხედებზე: ტესმანი-ჰედა-ლევბორგი, ტესმანი-ჰედა-ასესორი ბრაკი, ჰედა-ლევბორგი-თეა.

პირველ აქტში ასესორი ბრაკის მიერ იატაკზე მოხატული სამკუთხედიც ამის ნიშანია, მაგრამ სპექტაკლის ბოლო სცენები, სადაც იკვეთება ასესორი ბრაკის ახლახან მოპოვებული უპირატესობა და გავლენა ჰედაზე, ტესმანისა და თეას მცდელობები ხელნაწერის აღდგენისთვის, აშკარად არღვევს სამკუთხედის პრინციპს. ხდება ახალი გადაწყვილება: თეა-ტესმანი, ჰედა-ასესორი ბრაკი, იულიანა ტესმანი-იორგენ ტესმანი (ძალიან საკვირველი ინცესტური განაცხადი?!).

ასესორი ბრაკი თავისთავში დარწმუნებული, ძლიერი, მოხერხებული და გამჭრიახი მაჩოა, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რომ დასახულ მიზანს მიაღწიოს. ჰედას ნასროლი ტყვიით შეშინებულიც არ კარგავს, ან თუ კარგავს მხოლოდ რამდენიმე წამით თვითდაჯერებულობას და ცოტა ხანში ჰედას სასიყვარულო სამკუთხედს სთავაზობს, რომელიც მალე მოსწყინდება და მის დამორჩილებას განიზრახავს, როგორც მორალურად, ასევე, ფიზიკურად, რასაც წარმატებით აღწევს კიდეც. ზ. ჩიქობავას ბრაკი ცბიერია, მოქნილი. ადვილად აღწევს სხვათა თვალში მაღალი პრესტიჟის მოპოვებას, რის გამოც ყველაფრის საქმის კურსშია, რაზეც ტელეფონის გამუდმებული ზარიც მეტყველებს. სპექტაკლის ფინალში, საყოველთაო ფერხულში ჩაბმულიც ლიდერია და

გაგრძელება მე-17 გვ.

## კულტურა

მე-16 გვერდიდან

ყველა საწადელს მიღწეული, გამარჯვებას ზეიმობს.

აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ ზალიკო ჩიქობავას მიერ განსახიერებული ეს როლი საუკეთესოდ მიმაჩნია ამ თეატრში შესრულებულ როლებს შორის - მსახიობმა ზუსტად გამოსახა ასესორი ბრაკის იბსენისეული სახე.

ფრუ თეა ელსტედი, ერთის მხრივ, გულუბრყვილო, ქარაფშუტა ქალს მოგვაგონებს, ყოველ შემთხვევაში, სპექტაკლის პირველ აქტში, რომელიც სიყვარულის გამო იმ დამცირებაზეც კი მიდის, რომ ტეამანების ოჯახს თხოვნით ესტუმრება, თუმცა სკოლის დროიდან მშვენივრად ახსოვს ჰედას დამოკიდებულება.

მეორეს მხრივ, იგი საკმაოდ ჭკვიანი და ძლიერი აღმოჩნდა - შეძლო, არა მარტო შეეცვალა ლევბორგის ხასიათი და სწორ გზაზე დაებრუნებინა, არამედ, მოახერხა, მასში კვლავ გაეღვივებინა მეცნიერული ძიების სურვილი, რის შედეგადაც შეიქმნა ჯერ ერთი წიგნი, მოგვიანებით კი, - „მომავლის კულტურის პოლიტიკის“ პროექტიც.

თეაში იმდენად ძლიერი აღმოჩნდა წარმატებისკენ სწრაფვა, რომ ლევბორგისგან უარყოფილი მაინც პოულობს ძალას, იორგენ ტესმანის მხარეს გადავიდეს და მასთან მეცნიერულ შრომაში მოიპოვოს ბედნიერება. ახლა ტესმანი უკვე ქვრივია და თავისუფალი.

სპექტაკლში, პიესის ტექსტუალური მასალიდან, რამდენიმე არსებითი სცენაა გამოტოვებული: ჰედასა და თეას დიალოგის თაობაზე ზემოთ უკვე აღვნიშნე. ასევე, მნიშვნელოვანია სცენა, როდესაც ჰედა თითქმის აიძულებს ლევბორგს, ორი ჭიქა პუნში მიირთვას, რაც შემდგომ მისი ტრაგედიის მიზეზი ხდება - ყოფილი ალკოჰოლიკი ველარ უძლებს ცდუნებას და ყველაფერი, რაც თავს გადახდება, სწორედ ჰედას ამ საქციელის შედეგია.

ასევე, შემოკლებულია ჰედას თვითმკვლელობის წინა სცენა - რეჟისორი ასესორი ბრაკის მხოლოდ ერთი ფრაზით შემოიფარგლა: „ვიდრე ჩუმად ვარ, არაფერი გემუქრება“, რაც აუცილებელი იყო, მაგრამ არა საკმარისი და მაყურებლისთვის ბუნდოვანს ხდის ჰედას თვითმკვლელობის მოტივაციას.

ბატონი იორგენ ტესმანი (შაკო მირიანაშვილი) უფრო ნევრასტენიკია, ვიდრე - ჩამოყალიბებული მეცნიერი. მისი პროფესორობისკენ ლტოლვა უფრო სოციალურია, ვიდრე - პატივმოყვარეობითი. მამიდის ვალების გადახდა და ჰედას კაპრიზების შესრულება წარმატებული კარიერის შედეგი უნდა გამხდარიყო. ამდენად, მისი ჯერ ისტერიკა, შემდეგ კი, მძიმე დეპრესია პროფესორის ადგილის დაკარგვის შიშით, სრულიად გასაგები და დამაჯერებლადაა შესრულებული მსახიობის მიერ.

ასევე, მაღალ ემოციური ნოტებითაა გამოხატული მსახიობის მიერ ის სიხარული, როცა შეიტყობს ლევბორგის აზრს, რომ წინ არ აღუდგება. შ. მირიანაშვილის ყოველი ჟესტი, ერთგვარი მანერულობაც, რასაც მსახიობი იორგენ ტესმანის როლის შექმნაში იყენებს, გვარწმუნებს, რომ საქმე ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობთან გვაქვს, რომელმაც მუსიკისა და დრამის თეატრის სცენაზე უკვე შექმნა ძალიან მნიშვნელოვანი სახასიათო როლები სპექტაკლებში - „დორიან გრეის პორტრეტი“ და „ფსკერზე“.

პიესისა და სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი აილერტ ლევბორგია, რომლის გარშემოც ვნებათაღელვა ტრიალებს. ჰედას ყოფილი მეგობარი, ტესმანის ყოფილი კოლეგა, თეასა და წითელთმიანი მომღერლის საყვარელი თავის დროზე იმედის მომცემ მეცნიერად სახელდებოდა. მისი შემოსვლა სცენაზე (ჯ. სხირტლაძე) საკუთარი თავის წარდგენითა და დიდი მონოლოგით იწყება. ასეთი აპარტე მსახიობს როლის თავისებურ ინტერპრეტაციაში თითქოს უნდა დაეხმაროს (გავიხსენოთ ბ. ბრეჰტის „განდგომის“ მეთოდი), თუმცა ჯ. სხირტლაძე მაინც მიჰყვება რეჟისორის მიერ შემოთავაზებულ სქემას.

ჰედასგან დაშინებული და გაქცეული ლევბორგი ალკოჰოლიზმისა და გარყვნილების მორევში გადაეშვება და მხოლოდ თეასთან შემთხვევითმა შეხვედრამ იხსნა - ახალმა პარტნიორმა და საყვარელმა მისცა ის, რაც ჰედასგან დააკლდა: თვითდაჯერებულობა და საკუთარი თავის პატივისცემა, მაგრამ ჰედასთან ხელახალი შეხვედრა ისევ აბრუნებს წარსულში. ჰედასა და ლევბორგის სცენებში იგრძნობა ურთიერთლტოლვა, ძლიერი ვნება, რომელსაც დროდადრო თვით ჰედა ეწინააღმდეგება, უფრო ხშირად კი გარეშე ფაქტორები (ტესმანი, ასესორი ბრაკი, თეა) უშლიან ხელს, ერთმანეთს ყველაფერი უთხრან, ან ცოტა ხნით მაინც განცალკევდნენ.

ჰედა მასზე კვლავინდებულად ძლიერია. ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი, როცა ჰედა ხელნაწერსა და რევოლვერს შორის არჩევანის გაკეთებას სთავაზობს, ლევბორგი იმ არჩევანს აკეთებს, რომელიც ჰედას სურს.

ამ სახლიდან გასულმა ლევბორგმა უარი თქვა საკუთარ მომავალზე, აღიარებაზე „თეასა და ლევბორგის ბავშვზე“, როგორც ისინი ამ ხელნაწერს უწოდებენ და სიკვდილი არჩია არცთუ ჰედას ზეგავლენის გარეშე. გარეთ გასული კი, ისევ სუსტი და უნებისყოფო აღმოჩნდა. ლამაზი თვითმკვლელობის ნაცვლად, შემთხვევით გავარდნილმა ტყვიამ იმსხვერპლა, რითიც ჰედა გაბლერს ოცნებები სრულად დაუნგრია, რაც ამ უკანასკნელის თვითმკვლელობის ერთ-ერთი საბაბი გახდა.





რომ არა ასესორი ბრაკი, მოიკლავდა თუ არა ჰედა გაბლერი თავს? ალბათ, - არა. მხოლოდ გარემომ - „რას იტყვის ხალხი“, მისი სახელის გარშემო ატეხილმა მოსალოდნელმა სკანდალმა უბიძგა ჰედას თვითმკვლელობისკენ.

ჰედა შავებითაა შემოსილი, ხელში იარაღი უჭირავს. დროდადრო თავს სპექტაკლის სხვა პერსონაჟები ესხმიან და სისხლს ადენენ. ჰედა თავსაც კი ვერ იცავს. ჰედას გვემა გრძელდება საერთო ფერხულისა და მუსიკის ფონზე, თითქოს დანარჩენნი - თეა, იორგენ ტესმანი, იულიანა ტესმანი, ასესორი ბრაკი მასზე უკეთესები იყვნენ და აქ ისევ იკვეთება იბსენისეული თეზა - ისინი, ვინც გარემოს (საზოგადოებას) უპირისპირდებიან, სასიკვდილოდ არიან განწირულნი!

რეჟისორმა თ. გომართელმა ჰ. იბსენის „ჰედა გაბლერის“ მოტივებზე შექმნა სპექტაკლი, სადაც ბევრი რამ ჰგავს ორიგინალს, უფრო მეტი კი, - არა. მიუხედავად ამისა, წარმოდგენა თავის ფორმით, ინტერმედიური ჩანართებით (მაგალითად, მატარებლის სცენა - ქალი დგას სადგურში), ზონგებით, გადახვევებითა და მსახიობთა ოსტატური შესრულებით, საინტერესო გამოვიდა, თუმცა მაინც უნდა ითქვას, რომ თუ კლასიკას (ჰ. იბსენი ასეთად ნამდვილად გვევლინება) ვკიდებთ ხელს, უკეთესი იქნება, დავდგათ ისე, როგორც ავტორს სურდა.

**გიორგი ყაჯრიშვილი**

№ 22 (286)
3 – 9 ივნისი 2015
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## არა-ჩვეულებრივი გვერდი

### 61 წლის კიმ ბესინჯერის წარუმატებელი ექსპერიმენტი



პაპარაცებმა 61 წლის კიმ ბესინჯერს კალიფორნიის შტატში, კერძოდ, სან-მონიკაში გამართულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე ფოტო გადაუღეს, თუმცა რომ არ ეთქვათ, ფირზე კიმია აღბეჭდილიო, ერთ დროს ჰოლივუდის სექსსიმბოლოს ვერავინ იცნობდა - „ცხრანახევარი კვირის“ ვარსკვლავის სახის გამომეტყველება აშკარად შეცვლილი აქვს და, როგორც ამბობენ, ზედა და ქვედა ქუთუთოების ბლეფაროპლასტიკა გაიკეთა, ანუ ზედმეტი ცხიმი მოიცილა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ღონისძიებაზე კიმს კავალრობას ახალგაზრდა უწევდა, თუმცა ჟურნალისტებმა მისი ვინაობა ვერ დაადგინეს. ერთი ვერსიით, უცნობი, შესაძლოა, სტილისტი მიტჩ სტოუნი იყო. ჰოლივუდური მედია წერს, რომ ვარსკვლავმა გაახალგაზრდავება შესაძლოა, სწორედ სტილისტისთვის გადაწყვიტა, თუმცა ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ბულვარულ მედიას კიმის დანახვაზე რენე ზელვეგერი გაახსენდა, რომლის გაახალგაზრდავების მცდელობაც თავის დროზე, ასევე, კრახით დამთავრდა.

### ქეთა თოფურიამ შესაძლოა, აშშ-ში იმშობიაროს

რუსეთში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა, ქეთა თოფურიამ ერთ-ერთ სოციალურ ქსელში მეუღლესთან, ლევ გეიხმანთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი გამოაქვეყნა. კადრში ლოს-ანჟელესის პეიზაჟიც ჩანს. შესაბამისად, გაჩნდა მოსაზრება, რომ ქეთამ შესაძლოა, აშშ-ში იმშობიაროს.

ცნობისთვის: ქეთა თოფურიასთვის ეს პირველი შვილია, მისი მეუღლისთვის კი, - მეორე. გეიხმანს პირველი ქორწინებიდან 15 წლის გოგონა ჰყავს.

### ბარაკ ობამას უფროსი ქალიშვილი შესაძლოა, კენიაში გათხოვდეს

პოტენციური სასიძო კენიელი იურისტი ფელიქს კიპრონოა, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტს, ქალიშვილის ხელის სანაცვლოდ, 70 ცხვარს, 30 თხას და 50 ძროხას სთავაზობს.

„მალიაზე გულწრფელად ვარ შეყვარებული და ივლისში, როდესაც ობამა კენიას ეწვევა, ჩემს გადაწყვეტილებას გავაცნობ. მე არც ხელისუფლებაზე მონადირე ვარ და არც - ფულზე. უბრალოდ, მალია ძალიან მიყვარს, რომელსაც სიამოვნებით ვასწავლი ძროხის მოწველასა და სიმინდის ფაფის მომზადებას“, - ამბობს კენიელი ახალგაზრდა.

### ენრიკე იგლესიასს კონცერტზე თითი გაეჭრა

მექსიკის ქალაქ ტიხუანაში, კონცერტზე, ცნობილმა ესპანელმა მომღერალმა, ენრიკე იგლესიასმა ხელის ტრავმა მიიღო. როგორც თვითმხილველები ამბობენ, მომღერალი მცირე ზომის მართვადი საფრენი აპარატის დაჭერას შეეცადა, თუმცა არ გაუმართლა: მარჯვენა ხელის რამდენიმე თითი ღრმად გაეჭრა და სისხლდენა დაეწყო.

ტრავმის მიუხედავად, ენრიკემ კონცერტი განაგრძო.

კონცერტის დასრულების შემდეგ, ენრიკე ლოს-ანჯელესში გაემგზავრა, სადაც ექიმებმა გასინჯეს. ამჟამად მომღერალი პოსტტრავმულ კურსს გადის და ისვენებს.



### ბენ აფლეკი ოჯახს ანგრევს

ჰოლივუდის ცნობილი წყვილი - 42 წლის ბენ აფლეკი და 43 წლის ჯენიფერ გარნერი, რომელსაც სამი შვილი ჰყავს, ოჯახს ანგრევს. მეტიც, როგორც ჟურნალისტები ამბობენ, ბენს გადაწყვეტილი აქვს, რომ ცოლს, ქორწინების 10 წლის იუბილემდე, ანუ 29 ივნისამდე გაშორდეს.

არსებული ინფორმაციით, განქორწინების შემთხვევაში, ერთ-ერთ მეუღლეს, კომპენსაციის სახით, შესაძლოა, 150 მილიონი დოლარის გადახდა მოუწიოს. ზოგი ამბობს, რომ ვარსკვლავური ოჯახის დანგრევის საბაბი ბენის აზარტული თამაშებით გატაცება გახდა. ჯენიფერმა, როგორც თავის დროზე ითქვა, ოჯახის გადარჩენის მიზნით, მეოთხე შვილის გაჩენა გადაწყვიტა, მაგრამ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

3 – 9 ივნისი 2015

№ 22 (286)



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## არა-ჩვეულებრივი გვერდი



### კირა ნაითლი დედა გახდა

ბრიტანელ მსახიობს, „ოსკარზე“ ორჯერ ნომინირებულ კირა ნაითლისა და მუსიკოს ჯეიმს რაიტონიას შვილი შეეძინათ, თუმცა ახალშობილის სქესი გასაიდუმლოებულია.

შეგახსენებთ: კირამ და მუსიკოსმა 2013 წლის 4 მაისს იქორწინეს. საქორწინო ცერემონია საფრანგეთის სამხრეთით მდებარე საკურორტო ქალაქ მაზანში გაიმართა.

### ბრედ პიტის სექსსკანდალი

თუკი დასავლელ ენაჭარტალებს დავუჯერებთ, სახელგანთქმულ ჰოლივუდელს, თანამედროვე მსოფლიოს სექსსიმბოლოდ აღიარებულ ანჯელინა ჯოლის თანამეცხედრეს, მხოლოდ ქალები კი არა, მამაკაცებიც აინტერესებს. საგულისხმოა, რომ ამ ინფორმაციას შამ იბრაგიმიც ადასტურებს, რომელიც აცხადებს, რომ ბრედი 10 წელია, კაცებითაა დაინტერესებული.

„პიტი რეგულარულად სტუმრობს მამაკაცების საიტს და, გართობის მიზნით, სასურველ პარტნიორს ეძებს. რამდენიმე წლის წინ, ბრედი პორნოვარსკვლავ კემერონ ფოქსს კალიფორნიაში, სასტუმრო „მონტერესში“ შეხვდა, პიტს არ მოეწონა. პორნოვარსკვლავს 1000 დოლარი გადაუხადა და ნომრის დატოვება მოსთხოვა“, – აცხადებს შამ იბრაგიმი.

ბრედ პიტს აღნიშნულზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

სხვათა შორის, არცთუ დიდი ხნის წინ, ტაბლოიდები ანჯელინა ჯოლის ბისექსუალობაზეც წერდნენ.

### ილჰამ ალიევს სიძე აღარ ჰყავს

აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის შვილი, ლეილა ადასტურებს, რომ მეუღლეს, მომღერალ ემინ აგალაროვს გაშორდა.

„აზერბაიჯანში საიდუმლო არავისთვისაა, რომ ჩვენი ქორწინება ფორმალობა იყო. დიდი ხანია, ცალ-ცალკე, სხვადასხვა ქალაქში ვცხოვრობდით. ახლა კი, მოვიდა დრო, განქორწინება ოფიციალურად გავაფორმოთ“, – ამბობს ლეილა, რომელიც ემინ აგალაროვს ცოლად 2006 წლის აპრილში გაჰყვა. 2008 წლის დეკემბერში კი, წყვილს ტყუპი ვაჟი შეეძინა.

### მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ქალი კვლავ ანგელა მერკელია

ჟურნალ „ფორბსის“ ბოლო რეიტინგით, მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ქალი, ტრადიციულად, გერმანიის კანცლერია.

მსოფლიოს გავლენიანი ქალების რეესტრში მეორე ადგილი აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივანსა და პრეზიდენტობის კანდიდატ ჰილარი კლინტონს ხვდა, მესამე კი – ბილი გეიტსის მეუღლე მელინდა გეიტსს.

### წლევანდელი „ევროვიზიის“ გამარჯვებულს ემუქრებიან

წლევანდელი „ევროვიზიის“ გამარჯვებული მონს ზელმერლევი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ აღმოჩნდა, თუმცა ამჯერად საქმე სიმღერას კი არა, პოლიტიკას ეხება.

მოკლედ, საქმე ისაა, რომ შვედმა მომღერალმა ერთ-ერთ სოცქსელში ფოტოსურათი გამოაქვეყნა, სადაც ნათლად ჩანს, რომ დივანზე წამოწოლილ მომღერალს ფეხებქვეშ ალბანეთის დროშა უდევს.

ამის გამო ალბანელებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს და მომღერალს ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ. ამის გამო მონსმა სამართალდამცავებს მიმართა.

მოგვიანებით, „ევროვიზია 2015“-ის გამარჯვებულმა ზემოხსენებული პროვოკაციული ფოტო სოცქსელიდან წაშალა. მისმა წარმომადგენლებმა კი, ალბანეთის მოქალაქეებს სთხოვეს, რომ ეს „სულელური შეცდომა“ შეურაცხყოფად არ მიეღოთ.

### ნატოში

რატომ გინდა,
რატომ შინ,
არ სჯობია
ნატოში?
კვლავ დარჩენას
ვნატრობ შინ,
ვინ მიმიღებს
ნატოში?

### მიშას ველოსიპედი

ვისი ცრემლი დაიღვრება,
მე არ ვიცი, მაგრამ
დავითის ძეგლს ავიღებ და
ველოსიპედს დავდგამ!

### სამში ერთს

ძმაკაცებში ჰპოვებ ტიხარს,
შენ ხარ „გავნო“, მტრის ერთგული,
ისე, კარგი პოეტი ხარ,
ასე, „გამოსირებული“.

### რუსეთუმეს

შენ ხარ პროვინციალი,
ქაჯი, ჩამორჩენილი,
თუმცა სტალინს ვერ იტან,
ძაან გიყვარს ლენინი.
იმ დიდ წარსულს ნუ ტირი,
ახლა ძაან პუტინობ,
პუტინია პუტინი,
შენ ხარ ნაღდი უტვინო!

### ისევ აფრენ?

შენ აფრენ თუ მე ვაფრენ,
ვერაფრით ვერ მივხვდი,
ვალის გარდა ყველაფერს,
სუყველაფერს იხდი.

### ჩემი რჩევა

ეს ცხოვრება არის კინო
წუთისოფლის წამების,
დამნაშავეს არ უკბინო,
თორემ მოიწამლები!

### ოქროს კათხა

ვახმე, ბიჭო,
ეს რა შავსვი,
რომ ვთქვა, გადაირევიან,
ლუდისტი ვარ,
მაგრამ მსგავსი
არსად არ დამილევია!



ზურა მეგრელიშვილის ფოტო




დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე.

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლეგანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით